FS 6562
1

3
65625
3.30/116

ვარლამ რუხაძე

ცხოვრების ყვავილები

წიგნი მესამე

გამოცემა კანტორა „განათლებისა“

თფილისი 1919

899.962.1-1
65623

ვარლამ რუხაძე

ცხოვრების ყვავილები

ხან ნაკრ

წიგნი მესამე

548/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ფ ი ლ ი ს ი
სტამბა ვ. ა. რუხაძისა, გაბაშვილის შესახვევი, № 1
1919

FS 6562
1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუსრულებელი ძიება

I

ბილიკს მივყვები მაღლობზე,
მივდივარ სვენებ-სვენებით,
ხან კლდე შემხვდება, ხან ხრამი,
ხან ველი, სავსე შვენებით,
ხან ნარი გამკრავს, დამნესტრავს
თავის წვეტიან ენებით.
მე მაინც წინ წინ მივდივარ,
მსურს ვნახო ლურჯი სამყარო,
სხივთა ჩანჩქერში შევცურდე,
სული და გული ვახარო,
და შემდეგ კაცობრიობას
მზის უკვდავება ვახარო.
მომწყინდა მუდამ ჭაობში
ხოხვა... ვაგლახის ყურება:
რა სიცოცხლეა სიცოცხლე,
თუ ნისლით დაიბურება,
ვერ ავა შვების მწვერვალზე,
ცრემლთა ზღვათ დაიწურება?!

II

აჰა, ავედი მწვერვალზე,
ლურჯ ცას რომ თავით ჰბჯენია
და ვიხედები გარშემო:
ღმერთო! რა რიგათ შვენია!
აქ აუნთია ბუნებას
შემოქმედების გენია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ბორბალი, სივრცეში
ბრუნავს და ბრუნავს კანდელი,
სხივი სხივს იჭერს, შუქი შუქს,
ტალღათ იშლება ნათელი...
ამ სიდიადეს ვერ აღწერს
ჩახრუხაძე და შავთელი!
მაგრამ, ეჰ, აქაც მომწყინდა,
სხვა სანახავი მწყურია;
მსურს გადვიხედო ცის იქით,
შავ ნისლს რომ დაუბურია:
ვინ იმყოფება? რა ძალა?
კარი რათ დაუხურია?

1917 წ.

დე, იტანჯე, ჩემო სულო!

გარს მარტყია ფიქრთა ქსელი, როგორც ღამე, შავი, ბნელი;
ხსნის ღმერთს ვუხმობ, მაგრამ არ სჩანს... ნესტარს მასობს
გულში გველი.

ფრთას შლის სევდა...

ვაი, დედა!
სად წავიდე? ვის მივმართო? სად არის ხსნა ტანჯულ სულის?
ნუთუ დაშრა სამუდამოთ მჩქეფრი წყარო სიხარულის?!

—

დილა არის, დილა უცხო, იღიმება ტკბილათ ზეცა,
იღიმება არემარე, იღიმება მწვანე ტყეცა,
იღიმება ბუჩქ-ბალახი... გავიღიმო მინდა მეცა,
მაგრამ, ხედავთ, ღიმის ნაცვლათ ცრემლი აგერ სად დაეცა?

—

ხარობს ველი, ნამით სველი,
ეგრიხება ვაზი ვაზსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყაყაჩო, ლაწვ-წითელი,
იას ჰკოცნის, ნაზი ნაზსა.
აგერ წყაროც ქვიდან ქვაზე
მოჰხტის, შხეფებს აპნევს მძივათ...
ეს ბუნების სილამაზე
რატომ ხვდება ჩემს გულს ცივათ?

—

მეც ბუნების შვილი არ ვარ, მის კალთაში გამოზრდილი?
მაშ, როცა ის ასე ლაღობს, ათასგვარად გადაშლილი,
რათ კვნესს სული,
სევდით კრული,
რათა?!.. მაგრამ რას ვკითხულობ: ან კი რა მაქვს სანეტარო,
როს ჯოჯოხეთს დაუპყრია და ჩაუნთქავს მთლად სამყარო?!

—

აქ ბორკილი მიჟღარუნებს, იქ მუშაობს სახრჩობელა...
ცოლი ქმარს ჰგლოვს, დედა—შვილსა, ცრემლში სცურავს,
ცრემლში, ყველა!
თუმც მომავლის ვარსკვლავებმა ჩაგრულთ ზეცაც ააჭრელა,
მაგრამ ჯერ კი მაინც არ სჩანს ხსნის სიმბოლო—ცისარტყელა!

—

დე, იტანჯე, ჩემო სულო:
ტანჯვა ცეცხლს შობს, ცეცხლი—ნათელს,
ნათელი კი, წამებულო,
შორს გაჰფანტავს ბურუსს, შავ-ბნელს;
და ვიხილავთ ჭეშმარიტ ღმერთს,
მზაკვრათ გულში ლახვარ მსობელს:
ხელი მივსცეთ მას ერთად ერთს,
ჯოჯოხეთის დამამხობელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი

I

აი ქალაქი, გაშლილი, ვრცელი,
სადაც ოქროს კერპს ტახტი დაუდგამს
და დიდი, მცირე, მეფე, თუ ბრძენი—
ყველა თაყვანს სცემს და სულს მით იდგამს.
თვალ-წინ იშლება ქუჩები გრძელი,
ხედავ დარბაზებს უცხოთ ნაშენებს,
ზოგს ყელს ავლია ჩუქურთმის გველი,
ზოგს ფერადები ამკობს, აშვენებს:
ეს თეატრია, ის სამკითხველო,
თანამედროვე კულტურის შვილი,
ჰა, ესეც კიდევ, ჩემო მკითხველო,
საროსკიპოა, ნამუს-ახდილი;
ეს საპყრობილე—ცოცხალთ საფლავი,
ისიც სამსჯავრო ბრძენ ფემიდასი,
მაგრამ სამართალს ოქრო სჭრის ავი,
ჭეშმარიტებას არა აქვს ფასი;
ეს კი სოვდაგრის სასახლე არის,
სადაც შუშხუნებს შამპანიური,
ხან ისმის კვნესა წკრიალა თარის,
ხან როიალის—ჰანგი ციური;
ხან მზე-ასული, გრძნობა-აშლილი,
ვნების ღმერთს ჰკოცნის, რაკრაკებს ტკბილათ
და ბროლის მკერდზე, უცხოთ გათლილი,
ბროლისვე ბურთნი უთრთიან წყვილათ;
ხან კი ბატონი ჩოთქითა ხელში
უზის მაგიდას დავთრებით წინა
და ანგარიშობს—თვის მახე-ქსელში
ვინ სად გააბა, რა შეიძინა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და როცა ხედავს სასურველ ჯამსა,
კმაყოფილებით უბრწყინავს სახე...
მას ვით მისწვდება ამ ნეტარ ჟამსა
მის მსხვერპლთა კვნესა და სივაგლახე!

II

აგერ ქარხანაც გრიალებს, გრგვინავს
და ეს გუგუნი, ეს ხმაურობა
ყველაფერს თავის სილრმეში სძირავს,
ვით ნაზ მუსიკას ხალხთ ზაურობა.
გრგვინავს და ბოლი ამონასროლი
მიიზლაზნება მაღლა ერთავათ
და, ვით ღრუბელი, მწვერვალზე მწოლი,
ქალაქის თავზე იშლება შავათ.
ამ ყრუ გუგუნში, ტანჯვის ალმურში
იხრაკებიან შვილები შრომის:
ერთი ცეცხლს უძრავს იქ, ბნელ ჯურღმულში,
მეორეს—ძალა არ შესწევს დგომის,
მესამე ქურას თავს დასტრიალებს,
თუჯის ზოდს ასხამს, ზედვე ადნება,
მეოთხე, ძალზე დანატრიალებს,
მანქანას მოჰყვა და აგერ ჰკვდება;
მეხუთე... მაგრამ რამდენი ერთი
უნდა მოვთვალო: ათი, თუ ასი?
ახ, როდის მოვა სიმართლის ღმერთი,
რომ კაცთ სიცოცხლეს დაედოს ფასი?!

III

ჰა ქოხმახებიც, ჩაგრულთ უბანი,
ჩაშავებული, ვით ღამე ბნელი,
სადაც გუზგუზებს ტანჯვის ვულკანი,
დღესასწაულობს სიკვდილის ცელი!
თვალწინ იშლება სურათი მწველი,
ხედავ ჩამომდნარს ბალღებს და დედებს,

ზოგს ტანს უფარავს კონკების ძველი,
ზოგი ამასაც ნატრულობს, ეძებს!
ჩუ! ყური უგდეთ... არ გესმით გლოვა
გულის მომწყვეტი, ვით შიშის ძრწოლა?
ეს ისინია, ვინც გამოსწოვა
ოქრომ და გარეთ გამოისროლა!
და დღეს, მისულნი სამარის პირათ,
დაწანწალობენ კარიდან-კარათ,
არა აქვთ საზრდო, არც ქოხი ბინათ,
უკანასკნელ წამს თავ-შესაფარათ.
ჰოი, ცხოვრებავ, უკმეხო ავო,
რამდენი ჰსხვერპლი შევიწირია;
რისთვის ვერ გაძეღ ამდენ ხანს, სვავო?
ამდენი ცრემლი რატომ გჭირია?!

IV

ახ, აგერ ისიც—ნაძალადევი,
თავისუფლების აკვანი, კერა:
აქ დაიბადა პატარა მდევი,
აქვე ისწავლა ბრძოლის სიმღერა!
ეს კარგათ იცნობს კატორღას, ციმბირს,
იცნობს მეტეხის ნესტიან კედლებს,
რომ წამომჯდარა ამაყათ მტკვრის პირს
და ემუქრება მომავლის მერცხლებს.
აქ არა ერთხელ ყოფილა ბრძოლა,
შრომას დასხმია უხეში ძალი,
გაჩაღებულა თოფების სროლა...
ჰა, აგერ ახლაც ჩანს სისხლის კვალი!
მაგრამ წითელი დროშა დიადი,
ისევ ფრიალებს, ისევ ირხევა
და, ვიდრე მეფობს ქვეყნათ წყვდიადი,
ისიც იქნება, არ დაიხევა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

ჰა, აგერ ქუჩაც—სარკე ქალაქის,
მარად რომ ღელავს, ივსებ-იცლება,
სადაც, ვით ტბაში თალი ლაჟვარდ ცის,
მთელი ცხოვრება მოსჩანს, იშლება:
აქ ხან ტრამვაის გაისმის ზარი,
ფუსფუსებს ხალხი, რიგსა სკვლის რიგი,
ხან გამოჩნდება ცხენით მხედარი,
ვინ გამოიცნობს სად მიჰქრის იგი;
ხან გაიქროლებს ავტომობილი,
ხან ეტლი ეტლზე გაიგრიალებს,
ხან მეგაზეთე, ქუჩის ძმობილი,
„აზრი“! „სახალხო“!—გაიხმიანებს;
ხან მძიმე ტვირთს ქვეშ მოხრილი მუშა
ჩაივლის ხვნეშით თვალ-სისხლიანი,
ხან ქალიშვილი, ნაზ-თმა ხუჭუჭა,
მიგოგავს: გულ-მკერდს უმკობს იანი;
ხან ბორკილი ჟღერს, ხან კუბო მოდის,
ხან ქუჩის ქალი თვალსა ჩაგიკრავს,
თითქო განიშნებს: მნახავო როდის?
ხომ იცი კარგათ, რომ შიმშილი მკლავს?

VI

შიგნით რა ხდება— ამას ნუ მკითხავთ,
ან რა აზრი აქვს კალმით დაწერილს?
თვით დაუკვირდით და წაიკითხავთ
დარბაზ-ქოხებზე წითლათ წარწერილს:
„მეექთამეობა, სისხლი, ღალატი,
შიშველი ხორცის ტრფიალი, ხვევნა,
ნამუსის ახდა სუსტის ძალათი,
გაუტანლობა, ძარცვა და დევნა“...
„წინსვლა, შეგნება, განვითარება,
ბრძოლა უკეთეს მომავალისთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმური კავშირი, სოლიდარობა,
ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“...
აი ქალაქის შვენიერება,
მისი სამოსი, მისი მანტია:
აქ იჭედება ბედნიერება!
ტანჯვის კოცონიც აქვე ანთია!
1916 წ.

მგოსანი და მზე

I

პარნასის მთიდან მოსული,
ხელში ლამაზი ქნარითა,
მიმოდიოდა მგოსანი,
სავსე ფიქრებით მწარითა.
გარს ერტყა ღამის წყდიადი,
განუჭვრეტელი თვალითა,
მზეს დაეძებდა, იწოდა
იმისი ტრფობის ალითა.
ხან აღმოსავლეთს გასცქერდა,
ხან დასავლეთის კიდესა,
მაგრამ ყოველგან ხედავდა
მხოლოდ სიბნელის რიდესა.
„მითხარით, — ეეედრებოდა
ცას, მიწას, არემარესა, —
როდის ვიხილავ ჩემს მნათობს
მოკაშკაშ-მოელვარესა?“
და სწრაფათ გადადიოდა
კლდით კლდეზე, მთიდან მთაზედა,
ხან მწვერვალს მოევლებოდა,
ხან დასცურავდა ზღვაზედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ უდრკებოდა განსაცდელს,
ცეცხლს აკვესებდა თვალითა...
გულ გატეხილი აწმყოზე,
ცოცხლობდა მომავალითა.

II

ციხკარმა წყვდიადს გულში ჰკრა
მკვეთრი ისარი სხივისა,
ლაჟვარდ სივრცეში ააგო
მან კოშკი ოქროს მძივისა.
ზედ გადმოჰკიდა ალამი,
ელვარე ალის ფერადა,
წითლათ დაღება ლრუბლები,
ცა უცხოთ ააფერადა.
სიცოცხლე იგრძნო ბუნებამ,
ტოროლამ ფრთები გაშალა,
თავსა მოევლო მთა-ბარსა,
ფრინველთა ჯარი აშალა.
და გადმოსძახა მაღლიდან:
წყვდიადი სულს ლევს, კვდებაო,
იხარე, ჩაგრულთ ქვეყანავ,
შენთვისაც გათენდებაო!
და ეს ნეტარი ჰანგები
მოედო ყოველ მხარესა,
ბარმა მაღალ მთას გადასცა,
მთამ—ზეცას, მან კი—მთვარესა ..
და ახმაურდა მსოფლიო,
რა იგრძნო წამი დიადი,
შეძახა: ვაშა სინათლეს!
ძირს სულის მღრღნელი წყვდიადი!

III

გათენდა. მზე შუქ-მოსხმული
გადმოდგა მთისა წვერზედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამალა ოქროს დალალნი,
ბარს მოახვია ყელზედა.
ისე დაშვენდა მიდამოს,
ვით ცას ვარსკლავი ცისკრისა,
კორდს—ბუჩქნი, წალკოტს—ყვავილნი,
ლამაზ ქალს—თვალნი გიშრისა.
რა დაინახა მგოსანმა
მსოფლიოს ძალა, შვენება,—
ფრთები შეისხა, გაფრინდა,
მის გულში ჩაკვრა ენება;
მაგრამ, როს მიუახლოვდა,
მიაპყრო თვალი მწყაზარი,—
ლაქა შენიშნა სახეზე,
შეკრთა, დაეცა თავზარი.
და დიდხანს გარინდებული,
დაჭრილი სევდის ისრითა,
ერთ ადგილს იდგა უძრავათ,
თითქო განვლილ ჭირს ითვლიდა.
ბოლოს სთქვა: მხოლოდ ორი რამ
ყოფილა ყოფნის სიმბოლო:
პირველი—მუდამ ეძიო,
მეორე—მუდამ იბრძოლო!
სთქვა და ჩამოჰკრა სიმებსა;
ააკვნესარა წყნარადა,
ლაღადი ჭეშმარიტების
გაისმა მთა და ბარადა.

1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარათი

1

კაზმული სიტყვებით, მრავალ გვარ ფერებით,
ბარათს გწერ, შვენებავ, ალერსით, ფერებით.
ნუ დახევ, უბეში ჩაიდე, ატარე...
აკმარე შენს მიჯნურს, რაც ცრემლით ატარე.
დამწვარი თვალები მოწმინდე, მობანე...
შენს მკობელს, შენს მხმობელს, შენც ტკბილათ მობანე.
მიეცი მას ნება – ბროლ-მკერდზე გემთხვიოს,
რომ გყავდეს მფარველათ, როს ჭირი გემთხვიოს...
ნიავსა მიჰბაძე, ნისლთ ფარდას რომ არხევს:
ფრთებსა სცემს გიჟმაჟად, მაგრამ მთლად ხომ არ ხევს?

2

ნუ მტანჯავ, გეთაყვა, ნუ მტანჯავ უწყალოთ,
წყურვილით ვიხრჩვები, ნუ მომკლავ უწყალოთ.
მომხედე, შემიტკბე, სევდა-ჭირს მარიდე...
ბადრ სახეს რომ გიმკობს, მაჩუქე მა რიდე!
სული ჰკვნესს უშენოთ, ძალ-ღონე ელევა,
შენს სახელს ლოცულობს, სხვისთვის ვერ ელევა...
ნაკადულს მიჰბაძე, ბუჩქთ-ალამს რომ არხევს:
ტალღებს სცემს გიჟმაჟად, მაგრამ მთლად ხომ არ ხევს?

3

ნაზი ხარ, ვით ია, წალკოტის ასული.
გიხდება გიშრის ტყე, ტევრათ ზე ასული;
ტყის პირათ—მელნის ტბა, ეს დილის ცისკარი,
ისე ღრმა, უძირო, ვით ღია ცის კარი;
ქვეშ—ბროლის მესერი, ელვათა სადარი;
ზედ—მარჯნის ჭიშკარი... ვიშ, მსგავსი სად არი?!
ცქრიალავ! მიწაზე ნაშობი, მგონი, ხარ?
არ მჯერა, არ მჯერა: ცის შვილი მგონიხარ!

მაშ შენც მზეს მიჰბაძე, თეთრ ლრუბელს რომ არხევს:
სხივებს სცემს გიჟმაჟად, მაგრამ მთლად ხომ არ ხევს?

4

წამოდი! წამოდი! ია-ვარდს დაგიფენ...
ამ გულზე, დაგულზე, მალამოთ დაგიფენ...
მიგილებ დიდებით, დაგვხდები ზეიმით,
ლალის ტახტს დაგიდგამ, გატარებ ზე იმით!
ტანთ მთვარეს ჩაგაცმევ, ლურჯ ცაზე ახეულს,
თავზე მზეს დაგადგამ, თუ მიტრფობ, ახ, ეულს!
ნიავქარს მიჰბაძე, ტყის ფოთლებს რომ არხევს:
გიჟმაჟად ატოკებს, მაგრამ მთლად ხომ არ ხევს?

1196 წ.

სიმღერები

1

ჰა, ერთხელ კიდევ ჩამოვკრავ ქნარსა,
სიმთ ავაკვნესებ, ავაწკრიალებ,
ხან შემოვსძახებ ნაღვლიან ზარსა,
ხან ბრძოლის ჰიმნსა ჩავაკრიალებ,
რომ შემდეგ, როცა ვიქცევი არად,
ის მაინც დარჩეთ მომდურავთ ბედის
და გაისმოდეს მთაში, თუ ბარად,
როგორც გალობა მომაკვდავ გედის!

2

ბევრი ძირმწარე, ბევრი ნაღველი
შევსვი, ვიგემე ცხოვრების გზაზე,
მაგრამ, უზომო სიმწრის მნახველი,
ახლა სრულიად არ ვფიქრობ მაზე.
რაც იყო, უკვე ჩაბარდა წარსულს...
მომავლისაკენ მიჭირავს თვალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ასრულდა, რაც უნდა ჩემ სულს,
ვით შემაშინებს ტანჯვათა ალი!

3

მარად ვმღეროდი და ახლაც ვმღერი,
მაგრამ ცრემლებსაც ვაფრქვევ ფარულად:
არ მსურს ჩემს კვნესას ისმენდეს მტერი
და თვლიდეს თავსა გამარჯვებულად.
მე მონა არ ვარ... და როცა ვხედავ
ჩემს გარეშემო მონის ბორკილებს,—
მათ დასამსხვრევათ მახვილსა ვსჭედავ,
ბრძოლის ველისკენ ვეძახი გმირებს!

4

სხვა დამივიწყებს... მაგრამ, მრწამს, მჯერა,
არ დამივიწყებს სამშობლო ჩემი:
ჩაგრულთ კერასთან ჩემი სიმღერა
კვლავ იგუგუნებს, ნუგეშის მცემი.
ის ტანჯვის ცეცხლში გამოიჭედა
და ახლა მასვე სწვავს თავის ალით,
რომ სიხარულით შესცვალოს სევდა
და მწარე აწმყო—ტკბილ მომავალით!

5

ვიცი ბევრს თქვენგანს გაეცინება
ამ უბრალო ლექსს როცა მოისმენს.
დე ასეც მიხდეს, არ მეწყინება:
რა დამაკლდება, თვით თუ მოილხენს?
ჩემთვის ერთია დაცინვა, ქება,
შეჩვეული ვარ ამგვარ ყოფის წამს:
ოღონდ ვსთქვა იგი, რის თქმაც მენება,—
თამამად შევსვამ ჯოჯოხეთის შხამს!

6

თუმც დროთა ბრუნვამ ღრმათ დამაჩინა
მსახვრალი ხელით მოძღვნილი დაღი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ჩაგუბდა მწარე ნაღველი,
წინანდებურად ვერა ვარ ლაღი,—
მაგრამ სული კი გამიფოლადდა
და ვერ მაშინებს მახვილი მტრისა:
ავხსენ მიზეზი ტანჯვის მშობელი
და შევისწავლე გზაც მისგან ხსნისა!
ახ, სულო ჩემო! მზეს დაედარე,
მისებრ იბრწყინე, ითინათინე,
დაიწვი,—მაგრამ სხვა კი გაათბე!
დაფერფლდი,—მაგრამ სხვას შუქი ჰფინე!
შენ ხომ ქარიშხლის მოციქული ხარ,
თავისუფლების მღერალი გედი?—
მაშ შემოსძახე!.. რომ შენს წინაშე
თვით სიკვდილმაც კი მოხაროს ქედი!

7

დიახ, მეც მიყვარს საქართველო, მშობელი ერი,
მაგრამ სრულიად ახალგაზრდა, სულით ძლიერი,
ხელთ რომ უპყრია ბრძოლის დროშა, შრომის გენია;
თავისუფლებას თაყვანს რომ სცემს, ეტრფიალება,
მაგრამ იგივე არც სხვისთვის შურს, არ ენანება,—
თანასწორობის დიდი მადლი გულს რომ ჰფენია!

1914 წ.

ანდერძი

(ჩემს შვილს)

ჩამოვკარ ჩანგსა, აკვნესდენ სიმნი,
ჰანგი ჰანგს მოჰყვა და კილოს კილო,
ჩაგრულთა კვნესა და ბრძოლის ჰიმნი
ერთად შედუღდენ... ისმინე, შვილო!
გიყვარდეს ხალხი უმწე, მკვნესარი,
ეცადე ჭირი რომ გაუტკბილო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მტერს და ორგულს—სტყორცნე ისარი,
მოკეთეს—უძღვენ სალამი, შვილო!
  და თუ დაეცე ეკლიან გზაზედ,
ტიალი ხვედრი ვერ აიცილო,
შენც მიუთითე შვილებსა მაზედ,
რომ გააგრძელონ შენი გზა, შვილო!
  ნუ გაგიტაცებს ოქრო, დიდება,—
წარმავალია და სათაკილო:
ვინც თავის თავსა ვერ გასცილდება,
იგი ქვეყნისთვის მკვდარია, შვილო!
  1916 წ.

მომეცით ფრთები

მწვერვალზე ვდგევარ. მზე სხივებს მტყორცნის,
ნამი პირსა მბანს, ნიავი მკოცნის,
  გულში მიკრავენ ამაყი მთები.
მუდამ მიწაზე ხოხვა მომწყინდა,
რომ ვნახო ზეცა ერთხელ,— მეც მინდა:
  მომეცით ფრთები! მეც გავფრინდები!

ტყვე არწივი

(ძღვნათ კაკის)

გაგლეჯს, გაგლეჯს გალიასა ის არწივი, დღეს რომ ტყვეთ ზის,
სადაც სხივი მოციმციმე ველარ ატანს ბრწყინვალე მზის;
  გაგლეჯს... მძლავრათ გაშლის კვლავ ფრთებს,
  მოევლება სამშობლო მთებს,
  დაუკოცნის ხუჭუჭა თმებს!

6562—

თავისუფლათ მონავარდე მოუწოდებს მისებრ გმირებს,
მტერს შეუტევს, მთელ ქვეყანას მოხიბლავს და გააკვირვებს.
არ მოიხრის მონურათ ქედს,
თავს შესწირავს ჩაგრულთა ბედს,
ან მოკვდება, ან გამოსჭედს!

—

განა დღესაც მისთვის არ ზის გალიაში ფრთებ შეკრული?
დღესაც მაზედ არ ოცნებობს? იმისთვის არ უწუხს გული?
ის არაა მისი ღმერთი,
სალოცავი ერთადერთი,
ამ სოფელთან შემაერთი?

—

გაგლეჯს, გაგლეჯს გალიასა ის არწივი, დღეს რომ ტყვეთ ზის,
სადაც სხივი მოციშციმე ველარ ატანს ბრწყინვალე მზის;
გაგლეჯს... მძლავრათ გაშლის კვლავ ფრთებს,
მოევლება სამშობლო მთებს,
დაუკოცნის ხუჭუჭა თმებს!

1913 წ.

ქუჩის სურათები

1

ვნახე ქუჩა... თოფით ხელში
იდგა კაცი ბნელ კუთხეში:
მსხვერპლს უცდიდა ავაზაკი,
რომ მიერტყა ტყვია მკერდში.
მისთვის ყველა ერთი იყო
მოხუცი, თუ ახალგაზრდა,
არასფერი არ ახსოვდა
ძარცვისა და გლეჯის გარდა.
ვკითხე ქუჩას:—კაცი რომ მგლათ
გიქცევია, ვითომ რაა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან მომიგო:—არ მაქვს ბრალი:
დამნაშავე ცხოვრებაა.

2

ვნახე ქუჩა... ვილაც ქალი,
ფერ-მიხდილი, თვალ-მიმქრალი,
დახეული, დაფლეთილი,
სარდაფის წინ იდგა მთვრალი.
ყველას, ვისაც თვალს მოჰკრავდა,
ეძახოდა, პატიჟობდა,
სამარცხვინო თვის საქციელს
უბედური ვერც კი გრძნობდა.
ვკითხე ქუჩას:—სიცოცხლითვე
რომ მოგიკლავს, ვითომ რაა?!
მან მომიგო:—არ მაქვს ბრალი:
დამნაშავე ცხოვრებაა.

3

ვნახე ქუჩა... კურტნით მუშა,
წელში ოთხათ მოკეცილი,
მძიმე ტვირთს ქვეშ ჭირის ოფლათ
ეღვრებოდა, ტანჯვის შვილი.
ძლივს იძროდა, ძლივს სუნთქავდა,
ჰკვნესდა ბედის უმადური:
„მუდამ ვშრომობ... მუდამ ოფლს ვღვრი...
მაინც მიჭირს ლუკმა პური!.“
ვკითხე ქუჩას:—ბედშავ მუშას
რომ აწამებ, ვითომ რაა?!
მან მომიგო:—არ მაქვს ბრალი:
დამნაშავე ცხოვრებაა.

1913 წ.

ოხ, სად არის გაზაფხული?!

ზამთარია. ზამთრის დემონს გაუშლია მძლავრათ ფრთები,
თოვლით თეთრათ შეულესავს დაბლა—ბარი, მაღლა—მთები.
ძლივს ბუტბუტებს ნაკადული,
ყინულთ ხუნდში გახლართული...
ოხ, სად არის გაზაფხული?!

—

ყინვა მეფობს. ბუნება მთლად გათოშილა, ვეღარ ყვავის:
ტკბილ ჭიკჭიკის ნაცვლად ყველგან ჩხავილი-ღა ისმის ყვავის.
ქარი დაჰქრის შუბლ-შეკრული,
ტყე ჰკვნესს, ცრემლს ღვრის ჭირნახული...
ოხ, სად არის გაზაფხული?!

—

მზე არ ბრწყინავს. ლეგა ღრუბლებს დაუფარავთ ცა ლაჟვარდი,
მიწას მოლი არ აშვენებს, ხეს—ფოთოლი, წალკოტს—ვარდი.
კუბოში წევს სიხარული,
გულს წყლავს, წიწკნის სევდა, კრული...
ოხ, სად არის გაზაფხული?!

ჩემს მუზას

მწუხრის ჟამი იყო, ბინდს მოეცვა არე,
ზეცას არ ამკობდა გაბადრული მთვარე.
ღრუბელს გაეშალა განიერათ ფრთები,
მის ქვეშ მდევებრ იდგენ ბუმბერაზი მთები.
მიმოქროდა სიო, ზღვიდან მონაბერი,
და მიჰქონდა ველათ ვარდ-ყვავილთა მტვერი.
ქალაქს არ ეძინა, ისევ ხმაურობდა,
ქუჩა ბობოქრობდა, აურზაურობდა.
მე კი მივდიოდი, მივდიოდი ნელა,
თავზე მეხვევოდა ფიქრთა ცისარტყელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირგვლივ ცრემლს ვხედავდი, მომესმოდა გლოვა
და თვალთა წინ მიდგა უბედურთა გროვა.
სად ეპოვა ბინა დაჭრილ გულის თქმასა?
მხსნელს ვუხმობდი, მაგრამ არვინ მცემდა ხმასა.
მხოლოდ მომესმოდა ჩემივ სულის კვნესა,
ისე მათრთოლებდა, ვით ნიავი ტყესა.
უცბათ შეკრთა ქუჩა, შედგა ფიქრთა გემი,
უკან მოვიხედე, ვიცან მოძმე ჩემი,
ჩემებრ უბედური, ჩემებრ დატანჯული,
ხვნეშით მოდიოდა ხუნდში გახლართული.
და შევყვირე: ძმაო, ტოლო, მეგობარო,
მსურს მოგეყრდნო მკერდზე, ცრემლი გადმოვღვარო!
ერთ ბედში ვართ, ჩვენთვის არ ჩანს, არა მხსნელი:
შენ ბორკილი გახრჩობს, მე კი—შავ ფიქრთ ქსელი!
და გავშორდით. დავრჩი ისევ მარტოდ მარტო.
თუ რას ვგრძნობდი მაშინ, ძალმიძს განგიმარტო?
ჯოჯოხეთათ იქცა ჩემთვის ეს ქვეყანა,
მწარეთ დავიკვნესე: ღირს სიცოცხლე განა?!
ამ დროს შენ შემომხვდი, გრძნობით მომეც ხელი,
ყურში ჩამჩურჩულე: ,,გვიხმობს ბრძოლის ველი ..
იქ ვიპოვით იმას, რასაც ეძებს სული:
იქ ჰყვავის ხსნის ვარდი, შვების გაზაფხული!''
და მეც გამოვცოცხლდი, ვიგრძენ სულის ძალა,
რწმენის ყვავილები გულში გაიშალა.
და მას აქეთ ერთად დავალთ ყოფნის გზაზე,
ვიცით: ბრძოლაშია სულის სილამაზე.
ვერ გვაშინებს ტანჯვა, ვერ გვაშინებს მტერი:
გვრწამს შემეცსრავს ოქროს კერპს სიმართლის კვერი.
და ჩვენც მას ვუგალობთ და ჩვენც მას ვუმღერით;
ველით იმ ნეტარ წამს, ველით გულის ძგერით!

1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან წამნი

(პოეტს)

1

არიან წამნი, როდესაც გულზე
შემოგაწვება ბოლმა-ნაღველი,
ფიქრობ აწმყოზე, ფიქრობ წარსულზე...
და მომავლისგან არაფერს ელი.
მთლად ჩამქრალია იმედის სხივი,
რწმენის ლამპარი გულში არ ბჟუტავს,
სიცარიელე, ყინულზე ცივი,
გრძნობას ფრთებს აჭრის, სიცოცხლს ხუთავს.
სიკვდილსა ნატრობ, თვალ-წინ გიდგია
პირ-დაღებული შავი სამარე
და ასე ფიქრობ: მხოლოდ იგია
სასო-მიხდილთა მკვიდრი სავანე.
შოწყვეტილი ხარ მთელად მსოფლიოს,
შენს გარეშემო ვერაფერს ხედავ,
ზეშთაგონება თუნდაც გეწვიოს,
ჩანგის აღებას მაინც ვერ ბედავ.
ცრემლში იხრჩობი, ცრემლში ერთავათ,
დაუშრეტელი ცეცხლი გედება,
ველარაფერს ქმნი, ზიხარ უძრავათ,—
შენში მკვდარია შემოქმედება.

2

არიან წამნი: იქვით პყრობილი,
ორათ იყოფა შენი ბუნება;
ერთი იმედით არის მკობილი,
მეორეს სევდა ესალბუნება.
გრწამს და აღარც გრწამს, გიყვარს და თან გძულს,
ვერც წინ მიდიხარ და ველარც უკან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წამს რომ ერთ ფიქრს გადაუშლი გულს,
იმ წამს მეორეს მიჰყვები უკან.

რა ქნა,—არ იცი, თვალთ გაკრავს ბინდი,
დგახარ უძრავათ ჯვარედინ გზაზე,
მუდამ იცვლები, როგორც ამინდი,
ველარ დამდგარხარ ერთ გულის თქმაზე.

სიცოცხლეც გინდა, სიკვდილსაც ნატრობ,
ხან ცრემლათ დნები, ხან ფრთა გესხმება,
ერთით რასაც ქმნი, მეორით ამხობ,—
სულს ღაფავს შენში შემოქმედება.

3

არიან წამნი: იმედი ფრთებს შლის,
შორს იფანტება სევდა-ნაღველი,
გულში იღვიძებს სურვილი წინ-სვლის,
გრწამს მომავალი, მისგან ხსნას ელი.

ძლევა-მოსილი რომ იყო, გინდა,
არ უშინდები ხუნდებს და საკანს,
თვალ-წინ გიდგია მიზანი წმინდა,
თავს მსხვერპლათ სწირავ სანატრელ საგანს.

აზროვნობ, ფიქრობ, გრძნობითა იწვი,
სიცარიელე სულს ვერ გიხუთავს,
სიცოცხლით სავსეს, ვერ გიპყრობს იქვი
და ედარები უძლეველს, უკვდავს.

შესტრფი მსოფლიოს, გიყვარს ბუნება,
აყვავებული, ტურფა, ნარნარი,
მადლითა გავსებს ზეშთაგონება,
ხელში გიპყრია წკრიალა ქნარი.

გულთამხილაობ, საიდუმლო ხმა
გესმის უტყუვრათ ყოველთა არსთა,
თვით ზეცას სწვდება შენი გულის თქმა,
ბრძენი ხარ, ბრძენი, მფლობელი აზრთა.

ჰქმნი ახალ სიტყვას, ჰქმნი ახალ ჰანგსა,
თავისუფალ აზრს სთესავ შენს ერში,
გულიდან აკლი მოდებულ ჟანგსა,—
შემოქმედების ცეცხლი სდუღს შენში.

ფერია

(ლეგენდა. თავისუფალი თარგმანი მ. გორკიდან)

დაბურულ ტყეში, მდინარის პირათ,
იდგა ფერია ცისფერ-თვალება
და ბანაობდა ზვირთებში ხშირათ,
დღის სიხალისე, ღამის ზმანება.
ერთხელ გადასცდა იგი სიფრთხილეს,
თევზებთან ერთად ბადეში მოჰყვა,
მეთევზეებმა ეს რა იხილეს,
შეკრთენ,—შიშისგან დაიწყეს როკვა.
ხოლო მარკო კი აივსო ტრფობით,
მივარდა, მაგრათ ჩაიკრა გულში,
ამოუკოცნა თვალები გრძნობით,
დადნა, დაიწვა მის სიყვარულში.
და ისიც, როგორც მოქნილი წნელი,
იგრიხებოდა მის მძლავრ მკლავებში,
ყელზე მოეჭდო მარჯვენა ხელი
და შესცქეროდა ცეცხლ მფრქვევ თვალებში.
მაგრამ საღამომ რა მოატანა,
გაჰქრა ფერია, ნაზი, ცქრიალა,
მან მარკოს სულიც თან წაიტანა
და გულში ცეცხლი აუპრიალა.
და დიდხანს მარკო, ბოლმა ნაზარდი,
დუნაიას პირს მიმოდიოდა,
„სად არის ჩემი სიცოცხლის ვარდი?“—
ჰკითხულობდა და ცრემლი სდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ტალღები, ბროლი, ანკარა,
სიცილ-კისკისით წყნარათ გალობდენ:
„სად არის იგი, არ ვიცით, არა“,
და ცეკვა-თამაშს კვლავ განაგრძობდენ.
—„სტყუით!—შესძახა უკანასკნელათ,—
„თვით თქვენ ალერსობთ იმასთან ალბათ!“
და შიგ გადეშვა ჭაბუკი ხელათ,
ულმობელ ტალღებს შეერთო ხარბათ.
ფერია ახლაც ბროლის ზვირთებში,
როგორც მარკომდე, ისე ბანაობს
და, ქაფათ ქცეულ ტალღათ რითმებში.
მზის სხივებს იჭერს და დაქანაობს.
მარკო არსად ჩანს, მაგრამ იმაზე
სიმღერა მაინც დარჩა ლამაზი
და დადის იგი მთელ ქვეყანაზე,
ვით სიყვარული—გრძნობის მალხაზი.
თქვენ კი, მღილებო, შავ მიწის მკერდზე
იცხოვრებთ ისე გონებით ბრმანი,
არცა ზღაპარსა იტყვიან თქვენზე,
არც იმღერებენ მუზათა ძმანი!

მიყვარს დილა

მიყვარს დილა, გაბადრული
მზე ლაჟვარდში როცა ბრწყინავს,
მორაკრაკებს ნაკადული,
სიო ფრთებს შლის, ლაღათ ჰფრინავს,
ტყე შრიალებს, ძალზე გრილა...
მიყვარს დილა! მიყვარს დილა!
მიყვარს დილა, როს იშლება
კორდზე—ია, ბაღში—ვარდი,

ბუჩქს პეპელა თავს ევლება,
ნამს აპკურებს ცა ლაჟვარდი,
მდელო მწვანით შემოსილა...
მიყვარს დილა! მიყვარს დილა!
მიყვარს დილა, ღმერთი შვების
როს ტახტზე ზის, ხარობს სული,
შორს მიმაფრენს ფრთა ოცნების,
გვირგვინს მადგამს სიყვარული,
სევდა გულში ამოშლილა
მიყვარს დილა! მიყვარს დილა!

მეც ვნახე ზეცა

მეც ვნახე ზეცა, თალათ შეკრული,
სადაც მზე, მთვარე, ვარსკვლათ კრებული
ბრწყინავს, ციმციმებს, სხივს იჭერს სხივი,
მაგრამ იმისი სიტურფე სრული,
თვალის მომჭრელი, ვით ბროლის მძივი,
გულს ვერ იზიდავს: ცივია, ცივი!
სადაც არაა წინსვლისთვის ბრძოლა,
არც აზროვნება, არც ფიქრთა სრბოლა,
არც კვნესა ისმის, არცა სიმღერა,
არც იმედია, არც შიშ-ძრწოლა,
თითქო ჩამქრალა სიცოცხლის კერა:
იქ სული საზრდოს ვერ ჰპოვებს, ვერა!
დე, მოცლილებმა უცქიროთ ზეცას!..
მე კი ვუმღერებ კვლავ მიწის სევდას,
ვუმღერებ, ვიდრე ყველა დაჩაგრულს:
დიდსა, პატარას, მამას, თუ დედას...
ყველას, ვინც აფრქვევს ცრემლთა ნაკადულს,
ბრძოლის ცეცხლითა არ აუნთებ გალს.

1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახრჩობელასთან

1

დიდ ქალაქსა თავს დაჰყურებს თეთრი ღამე.
ცა ლურჯია, სარკესავით მოკამკამე;
გაშლილ მკერდზე ვარსკვლავები აბნევია,
თითქო მზეს ზედ ოქროს ვარდი დაპნევია.
ვერცხლის თმიანს მთვარეს ნაზათ ეცინება,
ნიავი სთვლემს... დარბაზებსაც ეძინება.

2

ჩუ! ბორკილმა დაიჟღერა, ქუჩა შეკრთა,
მოდის მსხვერპლი, ხალხის შვილი, დედის ერთა,
მოდის... და მის მოლოდინში ბოძი ტოკავს
და სიკვდილი სიხარულით ფრთებს შლის, როკავს...
ბოროტებავ! ყოფნის ყვავილს შხამს რომ ანთხევ,
რის მიცემაც თვით არ ძალგიძს, რისთვის ართმევ?!

3

ეჰ, ლანდებო! რათ დაძრწიხართ ამ ღამეში?
ვერ გასძელით ცივ, ნესტიან სამარეში?
თუ გსურთ ნახოთ თქვენი მოძმე როგორ კვდება?
ან და—ყელზე თოკი როგორ მოუხდება?
ან ეგება საფლავიდან მისთვის მოდით,
რომ ჩაქოლოთ მოძმის მკვლელი ქვით და ლოდით?

4

მაგრამ არა, დღეს თქვენ არ ხართ საშიშარი:
ცოცხლებს აფრთხობს მხოლოდ ცოცხლის რისხვა-ზარი;
და იგი რომ დაადუმონ, ვით საფლავი,—
აქ დაუდგამთ, აუმართავთ ბოძი შავი;
და როდესაც ზედ ზვარაკი დაიკვნესებს,
ჰგონიათ მით ამაგრებენ უხეშ წესებს!

1916 წ.

მეც მყავს სატრფო გულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მყავს სატრფო გულის,
ლმერთი, სალოცავი,
თუმც მიგინებს ბევრი:
„შავიაო, შავი“;
მაგრამ მე არ მესმის
მათი კრიმანჭული,—
ჩემთვის რაფაელის
ნახატია სრული:
წერწეტი, ვით ალვა,
ბადრი, როგორც მთვარე,
ნაზი, როგორც ია,
კორდზე მონარნარე!..
ვუყვარვარ და მიყვარს,
როგორც ბულბულს ვარდი,
ფუტკარს—მინდორ-ველი,
არწივს—ცის ლაჟვარდი!..
მას აქეთ, რაც იმან
გრძნობით მომცა ხელი
და პირველი კოცნის
ხმა გაისმა, მწველი,—
ამეხილა თვალი,
ცა და მიწა ვცანი
და შევიგნე ნათლათ
კაცთა გულის თქმანი;
ბალახ-ყვავილების
შევისწავლე ენა
და მუზთ სამყაროში
მეც დავიწყე ფრენა!

1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერკულესი

შრომის ქურასთან სდგას ჰერკულესი,
შუბლით ოფლი სდის ჟანგში ნალესი,
შავ ძალებს ხედავს
და მახვილს სჭედავს,
რომ სამფლობელო პლუტონის დასცეს,
მით ბოროტებას მახვილი ჩასცეს.

—

თვით ლაბირინტიც ვერ აშინებს მას:
ძაფი ხელთა აქვს, მით გაიკვლევს გზას
და იქ, ოლიმპზე,
სადაც ბრწყინავს მზე,
ავა თამამათ ძლევა-მოსილი,
გვერდს მოუჯდება ღმერთთ, მიწის შვილი.

—

თქვენ, ჰე, ღმერთებო! რისთვის შეძრწუნდით?
რათ ისვრით მეხთა ოლიმპის ზღუდით?
არ გინდათ განა
მიწის „სატანა“
ფეხით შეეხოს იმ წმინდა ბჭეთა,
სადაც განცხრომით ატარებთ დღეთა?!

—

ამაოთ დრტვინავთ, ამაოთ სწყრებით,
ის უკვე მოჰქრის არწივის ფრთებით.
არ იცის შიში,
არც კვნესა-ვიში,
განსაცდელის წინ არ იხრის ქედსა:
თვითონვე სჭედავს თავისვე ბედსა!

1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდრების სიცილი

1

ცივ საფლავებში უძრავათ ვწევართ,
ჩვენს მყუდროებას ვერა-რა არღვევს,
ხან მზე დაგვნათის, ხან ბადრი მთვარე,
ხან ბნელი ღამე შავ ზეწარს გვახვევს,
ხან თავს გვევლება თეთრი პეპელა,
ხან გულ-ღვიძლს გიღრღნის გველი სისინით,
მაგრამ ყველა ეს ჩვენთვის ერთია...
მხოლოდ ვიცინით, მხოლოდ ვიცინით!

2

სასაფლაოსთვის სულ ერთი არის
დიდი, პატარა, სულელი, ბრძენი...
ვიცით, რომ ბოლოს ყველა აქ მოვა
და ამხანაგი გახდება ჩვენი.
და როცა ვინმე დიდებას ეძებს,
ვერ ძღება ფულით, ვერ ძღება ჩინით,
უნდა რომ გახდეს ქვეყნის მპყრობელი...
ჩვენ კი ვიცინით, მხოლოდ ვიცინით!

3

ხშირათ, როდესაც ჩამავალი მზე
უკანასკნელ სხივთ მიმოგვფენს გულზე,—
აქ ფიცსა სდებენ შეყვარებულნი
სამარადისო ტკბილ სიყვარულზე.
ხვალ რა იქნება,—არ კითხულობენ,
მიდი-მოდიან ლალათ ღიღინით,
ჩვენ კი ყურს ვუგდებთ სულ-განაბულნი...
მხოლოდ ვიცინით, მხოლოდ ვიცინით!

4

მხოლოდ ჩვენ ვიცით, რომ სასაფლაო
სიკვდილ-სიცოცხლის კერაა, კერა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ცოცხლებმა ეს არ იციან,
ვერც გაიგებენ კარგა ხანს, ვერა.
და როცა ვინმე დიდი სწავლული,
გატაცებული კვლევისა ჟინით,
სხვაგან დაეძებს ამ კითხვის ახსნას...
ჩვენ კი ვიცინით, მხოლოდ ვიცინით!

1912 წ.

მუსიკის ძალა

მარტო ვზივარ... ღამე ბნელი შემომცქერის გიშრის თვალით
და მეც მსჭვალავს საიდუმლო, გამოუცნობ რაღაც ძალით.
ჩემს გარშემო ყოველი სდუმს, არ ინძრევა ბუჩქ-მცენარე,
მხოლოდ ღრუბელთ ნაგლეჯებში დასრიალებს ბადრი მთვარე.
სულს შიხუთავს, არ მაყენებს ღამის მსგავსი შავი ფიქრი:
ხან წარსულში გადამაფრენს, ხანაც მომავლისკენ მიქრი;
მაგრამ ვერსად ვერ ისვენებს დაკოდილი ჩემი სული, —
როგორც ლანდი, თან დამყვება განუყრელათ სევდა, კრული!

გადის წამი
ორი, სამი...
ფიქრი ფრთებს ჰკეცს...
მიჰქრის ჟამი...

და მომესმის მუსიკის ხმა, ხმა ნარნარი, ხმა გრძნეული,
მასთან ერთად ცათ მივფრინავ, მის ჰანგებში ჩახვეული.
მავიწყდება წუთით ტანჯვა, მავიწყდება გასაჭირი,
გრძნობის ღმერთად გადაქცეულს, მგონია ვარ გმირთაგმირი.
მზათ ვარ მარტო შევებრძოლო ცა და ქვეყნის ბოროტ ძალებს,
სოფელს მუხრუჭს რომ უჭირებს, აკვნესებს და ავალალებს...
ახ, მუსიკავ! ნუ შეწყდები, აფერადე ჰანგით ჰანგი,
ევებ დასწვას შენმა ცეცხლმა მოდებული გულზე ჟანგი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცნების ფერიას

ჩემო კარგო! ხელს რომ მიქნევ, სად გინდა რომ წამიყვანო
გსურს კვარცხლბეკზე ბუნებისა ამაფრინო, ამიყვანო?
ჰა, მოვდივარ, მომეც ხელი,
გადავლახოთ მთა და ველი...
ვიშ, ბუნების სარბიელი
რა დიდია და რა ვრცელი!
სინაზეს და სილამაზეს აქ დაუდგამს ტახტი თვისი,
ყველაფერი კეკლუცია, ერთმანეთთან შენათვისი:
მთა მთას მისდევს, გორა—გორას,
ჭალას—ჭალა, ველსა—ველი...
ახ, ამ ბუჩქებს, თავ-ქოჩორას,
როგორ არხევს სიო ნელი!
ვიშ, ნაკადიც ვით მოშხუის, კლდიდან კლდეზე მოხტის ცქვიტათ,
თვალებიდან ნაპერწკლები სცვივა ალმას-მარგალიტათ!
ყვავილთ ჭრელი თაიგული
აქ კორდს ხატავს, იქ ბორცვს ამკობს,
მანანით გულ-დანამული,
სტუმრათ მოსულ ფუტკარს ატკბობს!
აგერ ტყესაც, ტევრათ ასულს, რა რიგ შვენის მწვანე კაბა!...
ჩუ! ფოთლებში იადონიც აკვნესდა და... გაინაბა!
ეს რა არის ყელ-მოღერით
რომ გადმოდგა აგერ სერზე,
ტოტებს ამტვრევს რქების წვერით,
რომ აყრია ჯღლებათ მხრებზე?!
ახ, არწივიც იქ, ღრუბლებში, ვით ნავარდობს ფრთებ-გაშლილი,
მწვერვალებს თავს დასტრიალებს, ამაყ მთების ლაღი შვილი!..
ამ ბუნების დიად მადლით
ვინ არ დასტკბეს, ეზიაროს?
გულ-დახრული ტანჯვის მატლით,
კაეშანს აქ გაეყაროს!

ჩემო კარგო! ძნელი არის ქვეყნათ პოვნა უკეთესის...
მაგრამ არის სხვა ადგილი, სადაც სული მუდამ კვნესის.
მას ცხოვრება ეწოდება,
მკაცრია და ულმობელი:
მის მახეში ვინც მოხვდება,—
ნელ-ნელა ღრღნის სევდის გველი!
მე იქ ვიშვი, გავიზარდე, ამეხილა ხედვათ თვალი,
იქვე მინდა დავრჩე მარად, რომ გავჭედოთ მომავალი!
და როდესაც, ვით ბუნება,
გადაშლილი ათასგვარათ,
ისიც ტურფა შეიქნება,
ადამიშვილთ გასახარათ,—
ნაზ ბუნების სილამაზით სული მაშინ გაიხარებს,
მის წიაღში ტახტს დაიდგამს, მასთან ერთად ინეტარებს.
მართალია, ახლაც სტკბება
განცდის ცეცხლით ანაგზნები,
მაგრამ რაა წუთის შვება,
როს წლით წლამდე ცრემლათ დნები?

1913 წ.

ს ა რ ე ბ ა

გარეშემო ბნელოდა,
სული მზეს ელოდა,
ხან მწარეთ გმინავდა,
ხან რწმენით მღეროდა.
ცისკარი აღმოხდა.
შევძახე: რა მოხდა?
მახარა: „მზე მოდის,
ბნელს სული ამოხდა!“

გულს მოხვდა სიამე.
დავკრიფე ია მე
და უცხო სურნელით
დავსტკბი და ვიამე.
ვთქვი: თვალით არ ნახულს,
ოცნებით დანახულს,
დიდება, სალამი,
ფრთა ლამაზ გაზაფხულს!

1917 წ.

მთაწმინდის ქარი შემოდგომაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმინდის ქარი, ცივი და მწყრალი,
დაძრწის თფილისის ვიწრო ქუჩებზე,
ისე კაპასობს, ვით ანჩხლი ქალი,
და ეხეთქება ფანჯრის შუშებზე.
ბევრს შეაყინა კვნესა ტუჩებზე,
ბევრი გათოშა და გაალურჯა,
ბევრი მიაკლა ვერის ბურჯებზე,
ააკახცახა და დაამუნჯა...
და წინ მიჰფრინავს, ვით ცხენი ლურჯა,
ნაძალადევზე უჭირავს თვალი,
და, აჰა, აგერ ისიც დალურჯა,
გარს შემოარტყა ქოხმახებს რკალი;
და, როგორც გიჟი უცბათ დამურთხალი,
კვლავ უკუიქცა... გადიხარხარა,
მძლავრათ მოავლო ქუჩებს ფრთა, მალი,
მთელი ქალაქი მტვერით დაფარა;
და წუთს მიყუჩდა, ფრთები დახარა
და მიესვენა მთაწმინდას მკერდზე,
ბრძოლის ფარ-ხმალი იქვე დაყარა,
თითქოს დაფიქრდა მსოფლიოს ბედზე.

უპასუხო კითხვები

ხშირათ, როცა სხივთ ჩანჩქერი ოქროს ტალღათ გაიშალა
ნიავი ტყეს შეატოკებს, ფრინველთ ჯარი აიშლება,
ფოთოლთ ყურზე ციმციმს იწყებს დილის ნამი მოციალე,
ცას მერცხალი ზევსურს ეტყვის, ლურჯ ეთერში მოსრიალე,
მე დავდივარ მარტოთ-მარტო, მყუდროებას არვინ მირღვევს,—
ფიქრთა ღმერთი ზონარს დასწევს, სარკმელიდან ხელსა მიქნევს.

და, ვით კენჭი განასროლი, მეც ფიქრთ ზღვაში ვიძირები,
ჩვენი ყოფნის რვეულს ვფურცლავ და დიდხანს შიგ ვიცქირები.
ათასგვარი საკითხები წინ მიდგება აუხსნელი:
ვინ ვართ? რა ვართ? სიდან მოვალთ? სად მიგვიძღვის შარა
გრძელი?
ან სიცოცხლეს რა ჰქმნის? რა შლის? სად ანთია მისი კერა?
ან რა. არის თვით ცხოვრება? ან ტანჯვა ვინ გამოკვერა?..
აკი. კაცმა ბუნებისა საიდუმლო მთლად განსჭვრიტა:
ცის კამარა გაარღვია, ზღვა გასცურა, მთა გახვრიტა?
თავის თავი რათ ვერ იცნო? რათ ვერ ახსნა თვისი არსი?
ტანჯვა რატომ ვერ შემუსრა? რათ ვერ შესვა შვების თასი?
ვკითხულობ და პასუხს ვუცდი, ვკითხულობ და პასუხს ველი,
მაგრამ ნაცვლათ პასუხისა: ძირს ეშვება ფარდა ბნელი!

1916 წ.

მოციქული

მე აქ მოვედი მოქადაგებლათ სიყვარულისა,
თან მოვიტანე მოგუზგუზე სული და გული,
ჩამოვკარ სიმებს, ვსთქვი სიმღერა არვისგან თქმული,
და კვლავ მივდივარ, არ-რა მიმაქვს გარდა წყლულისა.
მაგრამ ის ცეცხლი, რომ ავანთე, სულ იბრიალებს,
ბევრ გულს აანთებს, ბევრ გულს დასწვავს დაუშრეტელი,
ვერ ვადურჩება თვით მტრიცკი შორით მჭვეტელი:
ვისაც მისწვდება, ყველას გულში იფეთქიალებს!
და მე კი, თუმცა თან მიმყვება გული დაჭრილი,
ჩანგი მდუმარე, სიმ-აცლილი, წკირა-გახრილი,
მაინც არ ვწყევლი, არ ვემდური ჩემს ბედის წვრას.
ვაი მას, ვინაც ვერ აანთებს მიფერფლილ კერას,
ვინც ვერ მიწვდება ხალხის გულის იდუმალ ძგერას
და ვერ შეუწყობს მის ტკივილებს თვის ჩანგ სიმღერას!

1916 წ.

---

* * *

მზე იცინოდა, ხარობდა ველი,
არ ისვენებდა ნიავი წამით,
ბალჩაში ვარდი, ბულბულის მწველი,
წითელ ღაწვებსა იბანდა ნამით...
მოქარგულ კორდზე ტურფა ასული
იასა ჰკრეფდა, თაიგულს ჰკრავდა,
მას კი ვერ გრძნობდა, ალვათ ასული,
რომ სილამაზე შვენებას ჰკლავდა!

მზესუმზირა

(ს. აბაშელს)

1

ჰა ყვავილი, მზის მიჯნური, ტრფიალი,
რომ იტაცებს სხივთა ელვა-ციალი.
ზის ბალჩაში თავ-დახრილი, პატარა,
ქარვის ღაწვს ბანს დილის ნამი ანკარა.
მზეს შეჰყურებს, ვერ აშორებს წუთით თვალს
და ადიდებს შემოქმედსა ძალთა ძალს.
ის მზით სცოცხლობს... მისი ეშხით მთვრალია:
ვერ გრძნობს—წუთი შვების წარმავალია.
მაგრამ როცა გამეფთება გარს ბნელი,
მასაც იპყრობს მოწყენა და ნაღველი.
ლოცვათ დგება, მზესა უხმობს სხივ-გაშლილს
და დაეძებს ცის ტატნობზე მის აჩრდილს.

2

შენც, მგოსანო, მზესუმზირას გადარე:
სევდასავით მოწყენილი, მწუხარე
ზიხარ შენთვის, როს გარს გაკრავს წყვდიადი...
მზეს ეძახი, გსურს იხილო დიადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როდესაც დაინახავ სხივოსანს,
მისკენ მიჰქრი... ჩიტს ედრები, ჩიტს ფრთოსანს!
სიხარულით თრთი, ვით ვერხვის ფოთოლი,
გავიწყდება: მიწის ძე ხარ ობოლი.
იმის ცეცხლში აფოლადებ სულის სიმს
და უგალობ მშობელ ერსა ციურ ჰიმნს!

სოფლის სურათი

სოფელთ გარშემო მაღალი მთები
სხედან მდუმარე და თეთრი თმები
მკერდს დაჰფენიათ, ვით შექსპირის გმირს—
მოხუც მეფე ლირს.
მზე არ ანათებს. ცა მოღუშულა,
სქლათ გადაჰკვრია ღრუბლების ქულა,
და გულზე აყრის დაღვრემილ სოფლებს
თოვლის თეთრ ფოთლებს.
როგორც ნადირი დაჰლმუის ქარი,
ხან ტყეს ეცემა, ხან, ფრთა-მედგარი,
წახრილ ქოხმახებს თავს დაჰგრიალებს
და აჭრიალებს.
და ქოხებიცა სტირიან მწარეთ,
ისმის ქვითინი სახლში, თუ გარეთ,
მთა ბარს აყრუებს გლოვისა ზარი,
სჩქეფს ცრემლთა ღვარი.
რას დასტირიან?—სიცივ-შიმშილს, კრულს,
რას დასტირიან?--შვილებს დაკარგულს,
მაგრამ ვის ესმის მათი გოდება!
ვის ეცოდება!

1914 წ.

ხარება

ალსდგაო! — ყურში ჩამჩურჩულა სიო მ ფრთა-ცქვიტმა
და გაზაფხულმაც ჩემს კარებზე ჩამოჰკრა ზარი...
ვერ მოვითმინე, აჩქარებით გავაღე კარი
და შემომცინა იამ, ბუჩქს ქვეშ ყურებ ნაცქვიტმა.
ხა, ხა, ხა, ხა, ხა! — ალტაცებით გადვიხარხარე
და ტანჯულ მოძმეთ ალსდგა მეთქი ქრისტე ვახარე.
წითელმა დროშამ კარ-მიდამო ააფერადა,
გაისმა ჰიმნი სანეტარო თავისუფლების
და გაიშალა ყვავილები ხალხის უფლების,
ვით თვალ-წარმტაცი ცისარტყელა, ათასფერადა.
და მყის შემოკრბენ მის გარშემო მებრძოლთ გუნდები,
ტანჯულ ამირანს რომ აჰყაროან ხელზე ხუნდები.
ძირს ბორკილები! ისმის ყველგან ხმა სანატრელი,
ძირს ბორკილები! ჩვენც შევსძახოთ თამამათ, გზნებით
და წინ გავსწიოთ მომავლისკენ უდრეკის ნებით,
ბრძოლის ყიჟინით შევარყიოთ ტყე, მთა და ველი.
დროა ვისმინოთ თავისუფლათ ჩვენც დედის ნანა...
რაც ვაჩხარუნეთ ბორკილები, არ კმარა განა?!

1917 წ.

მე სიცოცხლე ვარ

მწუხრს გაუშლია ყორნისა ფრთები...
მდუმარებს მთები...
სდუმს არემარე, ტყე მინდორ-ველი,
გაშლილი, ვრცელი.
სევდა სულს მპარავს,
შავ ფიქრთა კარავს
მადგამს და მფარავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე სიცოცხლე ვარ და დუმილი ვით შევიყვარო,—
სევდათა წყარო?
მე სიცოცხლე ვარ, მოძრაობის მიყვარს სამყარო,
ის სანეტარო!

—

როდესაც მესმის ფოთოლთ შრიალი,
ნაკადთ ჩხრიალი;
როს ნიავ-ქარი მიმოქრის ლაღათ
ველათ და ბაღათ;
როცა ზღვა ღელავს,
ელვა ცას სერავს,—
სულიც ჰფეთქს, ელავს!

—

მოძრაობაში ჩნდება ცეცხლი დაუშრეტელი,—
სიცოცხლის მქნელი;
ისმის მუსიკა მომხიბლავი, დამათრობელი,
სულის მპყრობელი!

—

მაშ ფრთა გაშალე, გრიგალო ქარო,
შესძარ სამყარო,
ღრუბელი ღრუბელს შეანარცხე,
ზვირთს—ზვირთი ხეს—ხე,
ყველა გამახე
და დამანახე—
ეს ჩემი სახე!

1914 წ.

ბ ე ს ო

დეე სცივოდეს საბრალო ბესოს,
დეე გულს სევდის ეკალი ესოს,
ზამთრის ფერია ამით რას ჰკარგავს?

ის ფართოთ გაშლილ ტყე-მინდორ-ეზოს
თეთრ გრეხილებით ლამაზათ ჰქარგავს.
ხედავთ ობოლ ცრემლს აგერ ტყის პირას,
ტოტებ-დამტვრეულ, გამხმარ ხის ძირას,
ამ ბამბის ქულა თოვლზე შეყინულს? —
ეს ბესოს მოსწყდა თვალზე ამ დილას
შეშის ძებნაში ხელ-ფეხ გაყინულს!
ახლა ქოხში ზის, მაგრამ მერე რა?
ძვალ-რბილს ვერ უთბობს ჩამქრალი კერა:
მისთვის ერთია სახლში, თუ გარეთ;
კონკის ძველები ვერ ჰფარავს, ვერა...
ქვითინებს მწარეთ! ქვითინებს მწარეთ!
დეე სცივოდეს საბრალო ბესოს,
დეე გულს სევდის ისარი ესოს,
ზამთრის ფერია ამით რას კარგავს?
ის ფართოთ გაშლილ ტყე-მინდორ-ეზოს
თეთრ გრეხილებით ლამაზათ ჰქარგავს.

...და ეს სიკვდილი არაა განა!?

ფრთებს შლის ოცნება, ფრთებს შლის ფიქრები,
ცას და ქვეყანას ვევლები თავსა...
სულო! ლტოლვაში ფერფლათ მიჰქრები,
შეუერთდები მსოფლიოს ზღვასა:
შენ ნაწილი ხარ, ნაწილი მთელის,
რომ შეუერთდე მასვე—მიგელის.
ახ, რა რიგ მინდა მე უკვდავება,
ახ, რა რიგ მინდა თვით ვიყო „მთელი“,
ჩემი სურვილი და ჩემი ნება
დარჩეს მარადის შეუხებელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ნიავი მეჩურჩულება,
რომ ყველაფერი იცვლება, კვდება.
დედა-ბუნებავ! რისთვის ამანთე,
თუ ჩავქრებოდი, როგორც ლამპარი?
ან მისწრაფება რათ მომეც ფართე,
უნავთსაყუდლო, მიუსაფარი?
სიცოცხლე—მოკლე, სურვილი—დიდი,
ვაჰმე, ვით გავდო მათ შორის ხიდი!
„არ მოკვდებიო,—ჩამძახი ტკბილათ,—
მხოლოდ სხვა სახეთ შეიცვლებიო,
სადმე მინდორზე ლამაზ ყვავილათ,
ან მწვანე ბუჩქათ გადიშლებიო
და დააშვენებ არე-მარესო,
გულ-მკერდს გადუხსნი მზეს და მთვარესო“...
მაგრამ ჩემი „მე“ ხომ წაიშლება?
იცვლება სახე? იცლება სული?
და გულის სატრფოც დამავიწყდება—
ეს ჩემი ტანჯვა და სიხარული?
დამავიწყდება თვით დედის ნანა?..
და ეს სიკვდილი არაა განა!?

1913 წ.

მაშ კრულიმც იყოს!

1

ახალი წელი მოდის, მოჰფრინავს,
მაგრამ ახალი მოაქვს მას რამე?
სიცოცხლე ტანჯვის ხუნდში კლავ გმინავს!
ჯერ ისევ ბნელა, ღამეა, ღამე!
ბოროტი სული ისევ ხარხარებს,
სიკეთეს სცელავს, ბოროტს ამყარებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

ნუ თუ არა აქვს ტანჯვას საზღვარი,
არ მოელება წამებას ბოლო,
თავისუფლება არის ზღაპარი,
და, სულო, მარად უნდა იძრწოლო?!
მაშ კრულიმც იყოს ახალი წელი,
თუ კლავ იცოცხლებს შხამკბილა გველი!

3

ჩვენ გვინდა სულ სხვა ახალი წელი,
მზიურ ქვეყნიდან გამონაშუქი,
სიყვარულივით უმანკო, წრფელი
და ჰაერივით წმინდა, მსუბუქი,—
რომ თავისუფლათ მოვითქვათ სული,
რომ მოგვიშუშდეს იარა-წყლული.

2916 წ.

ზეშთაგონებავ, შენ სად ხარ, სადა?!

ცამ გაიღიმა, ელვარე შუქი
მიმოაფინა არემარესა,
მთას მოსწყდა ნისლი, თეთრი, მსუბუქი,
ყელს მოეხვია ვარსკლავ-მთვარესა;
და კორდზე ია, ლურჯ-თვალა, ნაზი,
გამოინასკვა, გადაიშალა,
გულზე დაეცა ცვარი მალხაზი,
ათრთოლდა, იგრძნო სიცოცხლის ძალა.
ზეშთაგონებავ! შენ სად ხარ, სადა?!
მოდი! ამინთე ცეცხლი ციური:
მინდა ცხოვრებას გულს ჩავწვდე ღრმადა,
ვსძლიო წყვდიადი ტიტანიური;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ცხოვრების ახალი ჰიმნი
მევთხზა, ვასმინო კაცობრიობას,
დავუმორჩილო მის გრძნობათ სიმნი
სამარადისოდ მისდამი ტრფობას!

ამონაკვნესი!

ღამე მეფობს წყნარი...
სდუმს ფოთოლთა ქნარი...
და პირობადრი მთვარე,
ვერცხლებრ მოელვარე,
ყვავილოვან ტყე-ველს,
სურნელების მფრქვეველს,
ყელს ეხვევე ტრფობით,
ჰკოცნის, თვრება გრძნობით.

—

ხეივანთა ჩრდილში,
მწვანე ველზე შლილში,
ჩუმათ, ფეხ-აკრეფით,
მთელის თავის კრებით,
ლმერთი მდუმარების,
მსგავსი მწუხარების,—
ფერხულს უვლის, როკავს,
და სიცოცხლეს ჰბორკავს.

—

და მეც ჩემს ჩუმ ფიქრებს,
ვით რითმები რითმებს,
ქვეყნის ოთხსავ კიდით,
ოცნების გრძელ ხიდით,
უხმოთ, მდუმარებით,
სავსე მწუხარებით,—
შორს მივყვები წყნარათ,
შვების მოსაპარათ.

—

მაგრამ კითხვებს წყეულს,
თავზე შემოხვეულს,
ვერსად გავქცევივარ:
მის საკანში ვზივარ!
როდის დავლეწ მის კარს
და ჩამოვკრავ ხსნის ზარს?
ახ, მითხარით მალე,
თორემ შევიშალე!

—

ვაჰმე, ამ ჭაობში,
უგრძნობლობის ობში,
როგორ გასძლოს სულმა,
სხივის მონატრულმა?!
მითხარ, ადამის ძევ,
მითხარ, შე სამიწევ,
შენს თავს როდის იცნობ
და სიმართლეს იძმობ?!

1517 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეის სტუმარი

1

დღეს კვლავ ვესტუმრე ხუჭუჭ ნავთა ტყეს,
მწვანე ფერდობზე მიჯრითა წყობილს...
აქ არა ერთხელ, მის შვენების ტყვეს,
მიოცნებია, ბედისგან გმობილს;
    დავმტკბარვარ გულით, დავმტკბარვარ სულით,
    აღვსილვარ რწმენით და სიყვარულით!
ახლაც გავყურებ მთათა ჩაფხუტებს,
ქოჩორა ბუჩქებს, პიტალო ქიმებს,
ბროლის ნაკადი გულს რომ იხუტებს,
ლამაზათ აბამს ალმასის სიმებს;
    ფერად რითმებში თხზავს ველურ ჰანგებს,
    მოუსვენარ სულს მით სწვავს, აშმაგებს!
ჰოი, ბუნებავ! ყურს გიგდებ მალვით,
მსურს შევისწავლო შენი გალობა
და ჩემს ლექსებში აღვქარგო კრძალვით
შენი მხიბლავი იდუმალობა;
    ჭაბუკურ სულის მუდმივი ღელვა,
    გრძნობათ კისკასი და თვალთა ელვა!

2

მახსოვს, ერთხელ აქ, გაშლილ ცაცხვის ძირს,
ყურსა ვუგდებდით არწივის ყივილს:
მასში ვხედავდით ჩვენს საკუთარ ჭირს,
მასში ვისმენდით ჩვენს გულის ტკივილს
    და ინთებოდა თანდათან სული,
    ბრძოლის ქარცეცხლით გარემოცული.
მაგრამ შავმა დრომ ჩააქრო ალი,
ალი გიზგიზა, ალი პრიალა,
და ისევ ცრემლით აივსო თვალი
და სევდის ჩანგმა დაიწკრიალა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვდიადმა შთანთქა დაბა და ხევი,
არ სჩანს მნათობი ბნელის დამხევი!
ჰოი, არწივო! სადა ხარ ეხლა?
რატომ არ ისმის შენი გალობა?
სულს კვლავ სწყურია დუშმანთან შეხლა,
სულს ვკლავ სწყურია ბრძოლით მთვრალობა;
სწყურია კვლავ შორს გაინავარდოს,
ეწვიოს მხარეს საიავარდოს!

1916 წ.

ჩემი ლოცვა

წითელმა ტალღამ ბობოქარ ზღვისამ
მეც გამიტაცა, დამიმორჩილა,
სრულად დამიპყრო გუგუნმა მისამ
და, ვით მზის შუქი ნისლებმა მთისამ,
ახალ ფიქრებით სული მოჩრდილა.
დღეს მასთან ერთად დავცურავ მეცა,
არ ვეპუები ზვირთთა მთა-ბორცვებს,
ველარ მიზიდავს ჩვეულებრ ზეცა,
გადამავიწყდა მთვარეც და მზეცა, —
მხოლოდ მისდამი აღვავლენ ლოცვებს.
წითელო ტალღავ! დიდება შენდა!
რაკი აგვინთე იმედი ხსნისა,
თუ მართლა მოდი საშველად ჩვენდა,
გსურს სიხარულათ გვიქცეო სევდა, —
დე ბარემ დროზე გვაღირსე ისა!
ნუ დაგვაჩოქებ უფსკრულის პირათ,
ამ საშიშ ხრამზე გაგვიდე ხიდი:
თავისუფლება გვიღირდა ძვირათ,
მისთვის სიკდილიც მიგვაჩნდა ლხინათ,
და მსხვერპლიც მიტომ შევსწირეთ დიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დღეს, როდესაც ნანატრი წამი
დადგა, გათენდა დილა მზიანი, —
არ დაგვიდგება ნეტარი ჟამი?
დაუსრულებლათ უნდა ვსვათ შხამი?
ნუ იზამ ამას, თუ ხარ ღვთიანი!
გვაკმარე ტანჯვა, გვაკმარე კვნესა,
გვარიდე წყვდიადს, გვარიდე ქაოსს,
ნუ მოგვიბრუნებ კვლავ დუხჭირ დღესა,
შეგვახმატკბილე სიცოცხლის მზესა,
ნათელი ჰფინე გულს, სევდის ნაოსს!

1918 წ.

ტბა

ტბა ერთ ადგილის უძრავათ სდგას, გადუხსნია სარკეთ გული
და შიგ ზეცა იხატება, გუმბათივით თალ-შეკრული,
ღრისით მზით და ღამით მთვარე-ვარსკვლავებით მოქარგული,
ხან ლაჟვარდი, ხან-კი ლეგა სქელ ღრუბლებით დათალხული.
მის ნაპირებს მრავალგვარი ხე, ყვავილი, ბუჩქი ჰქარგავს,
ზოგი ტბისკენ გადაბრილა, ზოგი მწვერვალს ცაში ჰკარგავს,
ზოგი განზე გაზნექილა, ტოტი ტოტში გაუხლართავს,
ზოგი ფართოთ გადაშლილა, ზოგს ბუჩქები შეუხლართავს ..
საერთოთ-კი ყველა თითოთ ტბის სარკეში იქვრიტება,
თითქო უნდა თვალი მოჰკრას — მწვანე კაბა ვით უხდება.
მითხარ, ძეწნავ, ყელ-ზურმუხტო, ამ ტბას გულში რომ ჩასცქერი,
ხომ არ გინდა დაინახო — როგორი გაქვს სახე, ფერი,
კოქებამდე ჩამოშლილი თმა, ხუჭუჭი, შვენიერი,
ნიავი რომ ბურძგნის, არხევს, მთის მწვერვალით მონაბერი?
თუ ამისმა სიკამკამემ მოგხიბლა და დაგატყვევა
და ტრფობის ცეცხლ მოდებულსა გინდა ყელზე შემოხვევა?..

ან შენ, იავ, ლურჯო იავ, გაზაფხულის ნაზო შვილო,
თავ-ქოჩორა ბუჩქის ძირში საოცნებოთ გამოსკვნილო,
რას დაეძებ ამ ტბის გულში? ნუ თუ შენც ეს შეგიყვარდა
და გსურს მარად რომ უცქირო, სხვა არრა გრწამს ამის გარდა?!
ან შენ, ფშალავ, ამ ალვის ხეს რომ ჩაჰკვრიხარ, მოხვევიხარ,
თავი ტბისკენ დაგიხრია, რა გიზიდავს, ერთი მითხარ?
ნუთუ ამან მაგ ნორჩ გულში შენც აგინთო ტრფობის ალი
და, აწმყოთი დაბრმავებულს, დაგავიწყდა მომავალი?!..
ეხ, უგნურნო! მერე იცით, თუ რა არის ეგ ტბა, კრული?
ხავსი რატომ მოდებია? ან რათ არის დაგუბული?—
აბა კარგათ დაუკვირდით, გაუსინჯეთ ფსკერი ბნელი:
ეს რა არის რომ მოსცურავს, ზურგ-შავი და გულ-მკერდ ჭრელი?
ან ის, ეგერ ხავსზე რომ წევს, ფერათ მწვანე, მუცელ-სქელი?
ან ეს, აგერ რომ ყიყინებს, გააყრუა ტყე და ველი?—
ტრფობის ღირსი ნაკადია, აგერ მთიდან ქვიდან ქვაზე
რომ მოხტუნავს, მოკისკასებს, მზისა სხივებს იჭერს ცაზე,
მარგალიტებს ესვრის ბუჩქებს, შვების გვირგვინს ადგამს თავზე,
და რაკრაკით ტკბილ სიმღერას მოიმღერის მომავალზ!

1912 წ.

ორი სურათი

1

განთიადია. აღმსავლეთი
ვარდის ღილებით იბნევს ფირუზ გულს
და ფართოთ გაშლილ მწვანე მთა-ბარის
საჩუქრათ კონავს სხივთა თაიგულს.
შუქ-მფენი მთვარე ჯერ კვლავ ტახტზე ზის,
არ დაუშვია დროშა-ალამი
და ემზადება, რომ სინათლის ღმერთს
თავი დაუკრას, მისცეს სალამი.

ზღვას წყნარათ სძინავს, მისი ტალღები
ალარ კოცნიან კიდე-ნაპირებს,
მაგრამ ხანდახან კი იზმორება,
გამოღვიძებას ალბათ აპირებს.

მე თვალ-უწვდენელ მაღალ მწვერვალზე
ვდგავარ, დავყურებ სამშობლო მხარეს
და აღტაცებით ვეტრფიალები
წალკოტათ ქცეულს მის არემარეს.

მზათ ვარ შევსძახო: ჩემო სამშობლოვ,
მშვენიერი ხარ უცხოთ შემკული,
დედა-ბუნებას შენთვის უძღვნია,
რაც თვით ებადა ნაზ-დიდებული!

მაგრამ უეცრათ მომესმის ამ დროს
კვნესა, ვაება, გულისა მწყლელი,
და ვამბობ: „რაა იგი სინათლე,
რასაც თან ახლავს უკუნი ბნელი?!

2

ტურფა დილაა. ლაჟვარდ სივრცეში
მზე მოაცურებს თვის ოქროს ნავსა
და ია-ვარდით მოქარგულ მთა-ბარს
სხივების ჯილას ახურავს თავსა.

მთას სწყდება ნისლი მსუბუქ-ფრთიანი,
ღრუბელთა ნაგლეჯს ეხვევა ყელზე
და მათი ლანდი, მათებრ მოძრავი,
ძირს იხატება, ზურმუხტის ველზე.

ზღვა ძალზე ღელავს, გიჟი ტალღები
კიდე ნაპირებს მაგრათ ჰკოცნიან
და ბუჩქ-ბალახებს, ჯგუფათ წყობილებს,
მარგალიტ შხეფებს შორით სტყორცნიან.

მე კვლავ მწვერვალზე ვდგავარ მარტოკა,
დავყურებ ტანჯულ სამშობლო მხარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, გულ-მოკლული, ცრემლებითა ვრწყავ
გაედემებულს მის არე-მარეს.
მზათ ვარ შევყვიროთ: ტკბილო სამშობლოვ,
უბედური ხარ, წელში მოხრილი,
შავ-ბნელ ჯოჯოხეთს შენთვის უძღვნია:
შხამი, სამსალა, ხუნდი, ბორკილი!
მაგრამ უეცრად მომესმის ამ დროს
ბრძოლის ყიჟინი მხნე და ძლიერი
და მეც შევსძახი: სამშობლოვ! მხოლოდ
ახლა ხარ ტურფა და ბედნიერი!!

1912 წ.

გამოვეჭედოთ ჩვენი ბედი.

ლურჯ ეთერში მოელვარე ამოგორდა ბურთი ცეცხლის,
მკერდ-მოქარგული მინდორ-ველსა მოციმციმე სხივნი სტყორცნა,
ყვავილებზე მოპნეული ააორთქლა ნამი ვერცხლის
და ბუჩქ-ბალახს ყელს მოეჭდო, როგორც სატრფო, გადაკოცნა.
ზეცამ მიწას გაუცინა, მიწა ზეცას მიესალმა,
გაზაფხულის უცხო ჰიმნი შორს გაისმა სანეტარო,
გული დასწვა, ააოკა განახლების გრძნობის ალმა
და სამოთხეთ მომეჩვენა ტანჯვის ბუდე ეს სამყარო.
მზათ ვიყავი დამეძახა: გაიხარებს ტანჯვის შვილი!
მაგრამ უცბათ დემონისა მე ხარხარი მესმა ლალი
და მყის დასჭკნა, ჩამოსცვივდა შვების ვარდი ახლათ შლილი
და აყვავდა სულის მღრღნელი კაეშნის და სევდის ბალი.
მაგრამ თანვე ოცნებისა ფერია მსწრაფლ მომეევლინა,
მომავლისკენ გამიტაცა, დამანახვა ალთქმის მხარე,
სადაც შრომის მეუფებას ნათელ-შუქი მოეფინა
და მოსჩქეფდა შვების წყარო, საამურათ მოჩანჩქარე.

და აყვავდა კვლავ იმედი, სევდის ბალი მთლად დაჩრდილა;
და ხმა-მაღლა შემოვსძახე, რასაც გულში ფიქრით ვსწერ დი:
ტანჯვის შვილნო! მომავალში კაშკაშ-ბრწყინავს ჩვენი დილა,
და ჩვენ-ც მისკენ გავეშუროთ: გამოვჭედოთ ჩვენი ბედი!

1914 წ.

შენს მოლოდინში

შენს მოლოდინში დაიფერფლა სული გზნებული,
განთიადის ჟამს, ცის კიდურმა როს ისხვაფერა,
მხრებზე პორფირი, ვარდის წყალში ამოვლებული,
რომ წამოისხა და ღრუბლები მითი დაფერა,
ლურჯ კამარაში ბამბის ქულათ დაკიდებული.
და ახლა იმ ფერფლს ანიავებს სასტიკი ქარი...
ჩამოსწყდა ჩანგურს ალ-დაკრული სიმი იმედის
და ნაღვლით სავსე, როგორც სევდა და გლოვის ზარი,
თუმცა კვლავ ვმღერი, მაგრამ მწარეთ, მსგავსათ იმ გედის,
მტრისგან ნასროლი რომ ურჭვია მკერდში ისარი!

1916 წ.

შენ ჩემთან მოდი

შენ ჩემთან მოდი გაზაფხულის სისხამ დილაზე,
მაგ შავ თვალებში ჩამახედე და მიიმალე,
ის ანაზდათ, რომ ვერ მოგწვდა თვალთა სიმალე
და ავქვითინდი, დამხობილი ჩანგის წკირაზე.
რათ დამანატრე, ჩემო კარგო, შენი სინაზე?
მოდი! გეძახის ჩემი სული, მოდი! იმალე!
ნუთუ არ კმარა, სულის ღმერთავ, რაც რომ იმალე?!
ახ, ერთხელ კიდევ მოცქრიალდი, როგორც წინაზე!
კვლავ ჩამახედე მაგ უძირო, ღრმა მელნის ტბაში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთგულ გუშაგათ რომ უდგია ინდოთა ჯარი:
მინდა ვახტუნო მის სივრცეში ოცნების რაში,
მინდა მეც მქონდეს მის ბოლაჩში ნავთსაყუდარი.
რა ვქნა! თალხებით შეიმოსა სული უშენოთ:
თუ არ მომესწარ, მკვდარ გულს უნდა კუბო ვუშენო!

1918 წ.

მშვიდობით წადი

მშვიდობით წადი, ჩემო კარგო, მშვიდობით წადი,
ია და ვარდი აშვენებდეს შენს გზა და სავალს...
არ დაგივიწყებ, მეწამები ისე, ვით მრწამდი,
მოკითხვას ხშირათ დავაბარებ ფიქრს შენსკენ მავალს.
ვგრძნობ, რომ ჩვენს შორის არ გქონია შენ ჯერ ადგილი;
აქ ბრბოს საჯიჯგნათ და სათრევლათ ანკი რა გინდა?..
ახ, მოგვიტევე, რომ მოგხადეთ თავზე მანდილი,
უწმინდურ ხელით შეგიგინეთ სიცოცხლე წმინდა!
შურს ნუ იძიებ, კვლავ გვეწვიე ვარდისფერ ფრთებით,
გამოგვიწოდე სამეგობროთ უმანკო ხელი
და, თუ ჩვენც დაგხვდეთ ზეიმით და ქებათა-ქებით,
შენც მოგვიქარგე შვების ვარდით ცხოვრების ველი!

1918 წ.

სატრფოს

მასაქეთია, რაც რომ დაგკარგე,
ოხ!.. ვერ ვისვენებ, ღვთაებავ ჩემო:
შენთვის ლოცულობს ეს ჩემი ბაგე,
ცხოვრების ზღვაში იმედის გემო.
უშენოთ ჩემთვის მზეც კი არ მზეობს,
თუ გიცქერ,—მაშინ ღამეც კი დღეობს.

—

შენ გეძებს სული, შენთვის ტანჯული,
სადა ხარ, სადა? სატრფოვ, ხმა გამე!
ვიცი, რომ მოკვდა ჩემთვის წარსული,
მაგრამ არ ვკვნესი იმისთვის: ვაჰმე!
დიად მომავალს შევყურებ რწმენით,
ვგრძნობ კვლავ გიხილავ, დავტკბები შენით.

—

თუმცა ვერ გხედავ, ხმა მესმის შენი,—
ეს მიცისკროვნებს ცხოვრების ბნელ გზას,
როგორც ღამეში მთვარე შუქ-მფენი
შორით მომავალს ტლუ და ყარიბ მგზავრს,
და მეც თამამათ მოვდივარ წინა,
იქითკენ, სადაც შენა გაქვს ბინა!

1913 წ

ამონაკვნესი

1

ერთხელ მეც ვკრეფდი ყვავილთა ღილებს,
თაიგულს ვკრავდი, ფერად თაიგულს,
მით ვიმკობდი გულს, ტრფობით დაისრულს,
ჯერ სევდის ნისლით არ დანაჩრდილებს.
ოცნების ფრთებით დავსრიალებდი,
მზის სხივს ვუბამდი წკრიალა ენარსა:
ხან ბრძოლის ველზედ ვრეკავდი ზარსა,
ხან სიყვარულის ჰიმნსა ვგალობდი.
მაგრამ დღეს სევდა შემომეპარა
და სიხალისე გულის მომპარა,
მოთინათინე ჩამიქრო სხივი!
აწ ვერ მიზიდავს ყვავილთა მდელო,
ეჰ!... მეც განვლიე სიცოცხლის ლელო:
სამარე მიხმობს, სამარე, ცივი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2

ვაიმე, მაშინ რათ არ ვიცოდი
ეს, როს ვიყავი ჯერ კვლავ ჭაბუკი,
ხელთ მეპყრა ქნარი, ნაღარა, ბუკი,
ზეშთაგონების ცეცხლით ვიწოდი!..
ახ, სანამ ცეცხლი მთლად არ ჩამქრალა,
მო, ქარიშხალო, წაიღე იგი;
მსურს მოვიხადო მეც ჩემი რიგი:
სტიქიას მივსცე სტიქიის ძალა!
ან კი რათ მინდა სიცოცხლე კრული,
სევდის ხუნდებით მაგრათ შეკრული,
უღვთოდ ნაგვემი და ნაწამები?!
დაე დაიწვას ერთბაშათ ბარემ,
ფერფლიც ვერ ირგოს მიწა-სამარემ,
ოღონდ კვლავ ვნახო განცდის წამები!

შემოდგომა სოფლათ

1

შემოდგომის ცივ თვალებში,
მზე ჩამქრალა, მზე
და მოხსნია გაშლილ მთა-ბარს
მკერდზე სინაზე.
ჰკვნესის მდელო, ჰგოდებს ველი,
ქვითინებს წყარო
და ბანს აძლევს არემარე,
მთელი სამყარო.
მთას თოვლი ჰფლობს, ყინულთ ხუნდში
ძლივს სჩქეფს ნაკადი
და ცას მხრებზე წამოუსხამს
შავი ნაბადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

მითხარ, ძმაო, შენ რას შვები,
გლეხო, მშრომელო,
დღე და ღამე ოფლის მღვრელო,
დაუდგრომელო?
შემოდგომამ შენს გულშიაც
მოიკალათა
და ჩაგაბა თვის ფერხულში
ძალის ძალათა?
ეჰ, ჩამქრალა შენს თვალებშიც
სიცოცხლის სხივი,
შემოდგომა იცქირება
ყინულზე ცივი!

1917 წ.

ს ი მ ღ ე რ ა

(ძღვნათ ბენიას)

მიყვარს სამშობლო ქვეყანა,
ყველაზე მეტათ გურია,
ხან მზეს რომ უხსნის გულ-მკერდსა
და ხან კი—ნისლი ჰბურია;
მისი ცქერით და ყურებით
ვერ ვძღები... მუდამ მწყურია!
როს ვუცქერ იმის მთა-გრეხილს,
ცის სვეტად აყუდებულსა;
ან ქაფათ ქცეულ ჩანჩქერსა,
თავყირა დაკიდებულსა;
ან ვისმენ კრიმანჭ-სიმღერას,
მკვირცხლს და ცეცხლ მოკიდებულსა,—
ფრთებსა შლის ჭრელი ოცნება
და შორს მივყავარ ფრენითა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინ გამიქროლებს წარსული,
ალსავსე ალმაფრენითა...
ახ, რასაც მაშინ განვიცდი,
ძალმიძს გამოვსთქვა ენითა!
თვალწინ მიდგება ერთობა,
ეროი სიტყვა და პირი მე
და მაგონდება არწივი—
ქედმოუხრელი გმირი მე,
დღეს რომ ურალის ქედზე ზის
მოწყენით... მისი ჭირიმე!
ვეძახი: მოდი, ფრთა-ლალო,
გიხმობს სამშობლო კლდიანი;
უშენოთ გაუასკეცდა
გულის წყლული და ზიანი;
ისევ ასმინე შენი ხმა,
ცეცხლის მკვესელი, მზიანი!
და ისიც ფრთებს შლის, რომ ნახოს
მისი ლამაზი გურია,
ჩამოუქროლოს მწვერვალებს,
თავს რომ ფირუზი ჰხურია...
მაგრამ, ჰე, ამირანსავით
სალ კლდეზე მიჯაჭულია!

დღეს დაკრძალეს

დღეს დაკრძალეს, ვინც მოსტეხა
ორთავიან არწივს ფრთები;
დღეს დაკრძალეს, ვინც დაიხსნა
ბორკილებში მყოფი ძმები!
დღეს დაკრძალეს, ბასტილია
ვინც დაამხო, დააქცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს დაკრძალეს, ვინც ქუჩებზე
სისხლი უხვათ დააქცია;
დღეს დაკრძალეს, ვინც ქვეყანას
მოახია შავი ფარდა;
დღეს დაკრძალეს, ვინც ტანჯულ ხალხს
სულზე უფრო შეუყვარდა.

—

ახ, გმირებო! ძმურ საფლავში
განისვენეთ წყნარათ, ტკბილათ;
უკარნახეთ ცოცხალ მოძმეთ—
უდარაჯონ ქუჩას ფრთხილათ!
თქვენი საქმე საარაკო
ივლის ქვეყნათ უკვდავ ზღაპრათ
და მომავალ თაობასა
აენთება გულში ლამპრათ!
თქვენ ხართ აწმყო-მომავლისა
შემაერთი მტკიცე ხიდი:
ვერ დაჩრდილავს თქვენს ნათელ-შუქს
მთელი ქვეყნის ბურუს-ბინდი!

მეოცნებეს

შვიდ-ფერი სარტყელი არტყია ლურჯ ცასა,
როგორც ქალს ბაბთები, უხდება ის მასა.
შენ დგახარ, შეჰყურებ, გიბრწყინავს თვალები:
ნაპერწკლებს ისვრიან ეგ გიშრის რკალები!
შენს გულსაც არტყია ოცნება შვიდ-ფერი,
არ ვიცი მათ შორის შენ რომელს უმღერი;
მაგრამ, ვგრძნობ, ლივლივებ ფერების ჭრელ ზღვაში
და საზრდოს სულისას ჰპოულობ შენ მაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება ქუჩას!

(27 თებერვლის სახსოვრათ)

1

ნანატრმა წამმა დაჰკრა და ქუჩა
კვლავ ამოძრავდა, კვლავ ახმაურდა;
მონას შიმშილმაც ჩაუჩაქუჩა
და ისიც აღსდგა .. ჰკითხეთ რა უნდა!
„პური! უფლება! უფლება! პური!"
ყვირის, იძახის, ჯვარზე გაკრული,
მაგრამ მის ნაცვლათ, მტრობა და შური
ტყვიებს ურიგებს, არ ზოგავს კრული!
ისმის ყიჟინა, სისხლი იღვრება,
ალისფრათ ელავს გულ-მკერდი მიწის;
ძლევის სასწორი სით გადიხრება
არავინ უწყის, არავინ იცის!

2

ეი! თქვენ, ვინაც მონის უღელში
რკალებრ მოხრილხართ, კვნესით და გმინავთ,
გამოდით გარეთ მახვილით ხელში...
რათ არ გრცხვენიათ, ამ დროს რომ გძინავთ?!
საბედისწერო ზარმა ჩამოჰკრა,
„ყოფნა-არ-ყოფნის" კითხვა დაისვა...
დრო არის, ჩახმახს თოფი გამოჰკრათ!
დრო არის, ხმალზე ხელი გაისვათ!
რომ გეკიდებათ თვალებზე რული,
თავისუფლება არ გიყვართ განა?!
არ გიცემთ მკერდს ქვეშ მამაცი გული?!
არ გინდათ ნახოთ თქვენც ხსნის ქვეყანა?!

3

ღვივდება ცეცხლი. ჯარს მოსდევს ჯარი
და ტანჯულ მოძმეთ უკავშირდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების მცველი ლაშქარი,
შეხედეთ, რა რიგ სწრაფათ იზრდება!
განმარტოებით დარჩა მტარვალი,
გაჭირვების დროს არვინ ყავს მცველი,
შორს გაუფრინდა ბედი ფრთა-მალი...
დაჰკარით, ბარემ მოსწყვიტეთ წელი!
ნუთუ არ კმარა, რაც სისხლი გვწოვა?
დეე მოეღოს მის პარპაშს ბოლო,
რომ შესწყდეს სისხლი, ცრემლი და გლოვა,
ვნახოთ ცისკარი—ეს ხსნის სიმბოლო!

4

აღსრულდა! არწივს ორთავიანსა
დაემსხვრა ფრთები, ძირს ჩამოვარდა!..
ზეიმობს ხალხი, სჭვრეტს დღეს მზიანსა,
მოეხსნა თვალწინ შავბნელი ფარდა!
არ გვტკივა ახლა ძველი ჭრილობა,
კვლავ გაჭაბუკდა სული ვნებული!
ისე თრთის გული, ისე თრთის გრძნობა,
ვით სატრფოს ხილვით შეყვარებული!
ჰოი, მჭედელო თავისუფლების,
გადიდებ ქუჩავ, ჩაგრულთა კერავ!
დღეს შენ გაგვიღე კარი უფლების!
მრწამს, მომავალსაც შენ გამოკვერავ!

1917 წ.

არ ავიწყდება

არწივი, ცისა ბევრჯერ მხილველი,
იჯდა და კიდურს ცისას გასცქერდა,
სადაც ცეცხლის ფრთით ცისკრის ჰიმნს სწერდა
ნისლთა ფარდაზე სხივი პირველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მოითმინა და ფრთა გაშლილი
ღრუბლებს ასცილდა, ვარდისფერ დაკრულს,
და ცაზე ოქროს ვარდებათ დარგულს—
ვარსკვლავებს უძღვნა სალამი ტკბილი!
  და მგოსნის სულიც, აქ რომ დარდობდა,
თან აჰყვა იმას ლურჯ კამარაში
და დიდხანს მისი ოცნების რაში
იმასთან ერთად დანავარდობდა!
და იქ ცეცხლოვან ეტლში მჯდომელი
ნახა შვენება, „ასული მზისა“,
შეიყვარა და შეიტკბო ისა
და მას უგალობს, დაუცხრომელი!
  მაგრამ მას მიწაც არ ავიწყდება,
თვალწინ უდგია მარად და მარად,
და ყოველ მწუხრზე, როცა მთა-ბარად
ჟრიამულის ხმა სრულად მიწყდება,—
მოდის და თვის ერს, უღვთოდ ტანჯულსა,
თავისუფლების ზღაპარს უმღერის:
იმასაც მოსწონს... ისიც უჯერის...
გულში ინერგავს მის სიყვარულსა!

უიმისოთ რაა სიცოცხლე ჩემი?

1

  შავთვალა ღამე, გიშრის თმიანი,
მიდამო არეს გადაეფარა:
არ სჩანს წალკოტი, წყარო ანკარა...
აწ სად წავიდე კაეშნიანი?!
ნათელს ვეტრფოდი სხივ მონარნარეს,
ჩემს გარშემო კი გამეფდა ბნელი;—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის ბალში შემოძვრა გველი
და ნაზ ყვავილებს შხამს ანთხევს მწარეს!..
მაგრამ, ჩუ!.. აგერ ციცინათელა
ხაზს ხაზზე ავლებს, მიჰფრინავს ნელა...
გამოუდეგი შენც იმას, სულო!
თუ დაიჭირო—ჩაიკარ გულში,
თუ ვერა—მოკვდი მის სიყვარულში,
მისკენ იფრინე, მისთვის ტანჯულო!

2

შხამკბილა გველო! შენ რას იცინი?
რა გახარხარებს: ხა, ხა, ხა, ხა, ხა?
იმედი გულში კვლავ ჩამესახა,
აწ ვერ შემაკრთობს შენი სისინი!
უძლეველ არწივს მოვსტაცებ ფრთებსა,
მოვუხმობ გრიგალს, მოვუხმობ ქუხილს,
შევყრი მსოფლიოს ტანჯვას და წუხილს,
წინ წავუძღვები, მოვლახავ მთებსა:
ან დავიჭირავ ჩემს სულის დგმასა,
ან მთლათ შევსწირავ სიცოცხლეს მასა,
მოვკვდები, მისთვის თავ-განწირული!
უმისოთ რაა სიცოცხლე ჩემი?—
ქარიშხლისაგან მსხვრეული გემი,
სევდათა ზღვაში ღრმათ ჩაძირული!

მეზღვაურთა სიმღერა

(ნ. ჟორდანიას)

ზღვა აგვიღელდა, ბობოქრობს,
ისვრის ვაება ტალღებსა...
ჩვენ წინ მივცურავთ, არ ვუფრთხით
ქვეშ მცურავ საშიშ ნალმებსა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნურვის ჰგონია – ვემსგავსოთ
სუსტ და უსუსურ ბალღებსა!

ტანჯვის ქარ-ცეცხლში ნაწრთობებს,
ვერ გაგვტეხს ჭირი, მუქარა:
ჩვენს თავზე ზეცამ რისხვითა
არ ერთხელ დაიმუქარა,—
მაგრამ შავ ძალას როდისმე
ჩვენგანმა ქედი უხარა?

ვენაცვლეთ ჩვენსა ბელადსა,
რომ აგვირგვინებს ჭალარა:
იცის სად კლდეა, სად ნალმი,
სად საფრთხე ელის, სად არა;
კეთილათ მართავს საქესა,—
დღემდე სწორი გზით გვატარა!

და, ჰა, ნაპირიც გამოჩნდა,
მოთინათინე, მზიანი...
ვიშ რა რიგ ტურფათ ჰყვავიან
თავისუფლების იანი!
აქ ჰპოვებს სული შვებასა,
სევდისგან დანაზიანი!

მაშ ერთხელ კიდევ მოვუსვათ,
ნიჩბები დავატრიალოთ,
შევებათ მგრგვინავ ტალღებსა,
ნავი წინ გავასრიალოთ
და ძლევის დროშა ნაპირზე
ავმართოთ, ავაფრიალოთ!

1918 წ.

დღეს ჩვენთან არის

შრომის გუგუნში დაიბადა ცისფერ.თვალება
და მოგვევლინა განთიადზე ვარდისფერ ფრთებით...
მას მშობელ დედათ ტანჯვა ჰყავდა, მამათ—წვალება,
აკვანს ურწევდა ბრძოლის ღმერთი იდუმალ გზნებით.
დღეს ჩვენთან არის ცის და ქვეყნის შვენიერება,
ჩირაღდნით ხელში მიგვიძღვება ალთქმის მხარეში,
რომ მოგვანიჭოს სიმართლე და ბედნიერება,
რომ ძირს დაამხოს სამუდამოთ მტარვალთ თარეში!

დიდება შენდა

ტიტველა მოველ ბნელ ქყეყანაში,
ნათელს ვითხოვდი, არავინ მომცა;
ვწუხდი იმისთვის, რომ იყო შორს ცა
და დავდიოდი სევდის ყანაში.

ცხოვრების წიგნი თვალ-წინ დავიდე,
იქ ამოვკრიფე მარგალიტები,
გავფურჩქნე ისე, როგორც კვირტები,
და სატრფო გულის იმით ვადიდე.

და დღეს, როდესაც მზე სხივოსანი
თვალით ვიხილე, გამომეცხადა, —
შევისხი ფრთები, ავფრინდი ცადა
და ავჭიკჭიკდი, როგორც ფრთოსანი:

გადმოვლენილო მფარველად ჩვენდა,
შვენიერებავ მიწის და ცისა,
დაუჭკნობელო ყვავილო ხსნისა,
დიდება შენდა! დიდება შენდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რად ხდება

ჩემს ნათელ ფიქრებს კვლავ მოევლო შავი არშია
და დამითალხა გაზაფხულის ნაზი იანი.
ეგება მკითხო, მეგობარო, საქმე რაშია,
რამ დამიჩრდილა შვების დილა, დილა მზიანი?

ეჰ, მე ნუ მკითხავ... ველურ განგაშს დაუგდე ყური
და მაშინ შენთვის ყოველივე ცხადი გახდება:
წინ დაგიდგება ბრბო უმიზნო და უსახური...
და შენც ჩემსავით დაიკვნესებ: ასე რად ხდება?!

როდის ამოხვალ?

შენ მზის სხივს ჩაყევ, როდესაც იმან
უკანასკნელათ დახუჭა თვალი.
როდის ამოხვალ, როდის, ახ, როდის?!
რა ვქნა, ლოდინში გამიწყდა ძალი!

ხომ იცი, ჩემო, უშენოთ ყოფნა
ჯოჯოხეთია აუტანელი?
გულს სევდა ისე შემოეპარა,
როგორც ბუჩქებში შხამ-კბილა გველი!

ხშირათ მივდივარ იქ, სად პირველად
თვალი მოვკარი შენს ნათელ სახეს,
მაგრამ როდესაც ველარ გიხილავ,
ვეძლევი ჭმუნვას და სივაგლახეს.

გაფაციცებით დავეძებ შენს ლანდს,
დავეძებ დღისით, დავეძებ ღამით:
მინდა ოცნებით გამოვიწვიო
და დავსტკბე მასთან, თუნდ ერთის წამით.

ახ, ვერ მავიწყებს შენს ცეცხლ მფრქვევ თვალებს
თოფ-ზარბაზანთა ჭექა-ქუხილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ რომ აქ იყო, მრწამს, შესწყდებოდა
ჟლეტა, სისხლის ღვრა, ტანჯვა, წუხილი.
შენ მზის სხივს ჩაყევ; როდესაც იმან
უკანასკნელათ დახუჭა თვალი.
როდის ამოხვალ, როდის, ახ, როდის?!
რა ვქნა, ლოდინში გამიწყდა ძალი!

1914 წ.

ეჰ, ძნელია!..

ეჰ, ძნელია, როცა კაცი
ორ ღმერთს მონებს თანასწორათ:
მისი გული, მისი სული
გაყოფილი არის ორათ!
სად მგოსანი, სად ვაჟარი!
მათ საერთო რა აქვთ ნეტა?!
ფუი იმას, ჩემი ბედი
ფულის ყუთში ვინც ჩაკეტა!
როცა დავთრებს ჩავკირკიტებ,
თამასუქებს ვაწესრიგებ,
ჩოთქზე გავდი-გამოვდივარ
რამდენს ვაგებ, რამდენს ვიგებ, —
მაშინ იქვე ჩემი მუზა
კედელზეა ატუზული
და მდუღარე ცრემლებს აფრქვევს,
საცოდავათ მობუზული;
მაგრამ, როცა მასთან ერთად
დავნავარდობ მინდორ-ველში,
ხან ცის ლაჟვარდს გავეკვრები,
ხან მივძვრები უფსკრულ-ხვრელში, —
მაშინ კი ჰკვნესს ჩოთქ-დავთარ-,
უპატრონოთ მიგდებული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მეძახის: „მოდი! მოდი“!
სასოება მიღებული.
ეჰ, ძნელია, როცა კაცი
ორ ღმერთს მონებს თანასწორათ:
მისი სული, მისი გული
გაყოფილი არის ორათ!
1913 წ.

ახ, ნუ მკითხავთ

ხარობს დილა. მოკვდა ღამე.
ცა, ფირუზი, მოკამკამე,
მიწას დასცქერს გულ-გახსნილი,
მარმალილოს დაფათ ქმნილი,
და ალმასის ცვრებათ სცვივა.
მთის მწვერვალზე ღრუბელთ ქულა,
როგორც ვარდი, გაფურჩქნულა
და, ლამაზი თაიგული,
მზის სხივებით დაისრული,
ალისფერათ ელავს, ღვივა.
ძირს იშლება ველი მწვანე,
ათას გვარათ მოლაღანე,
და, ბუჩქებში მიმალული,
როგორც მწყემსის სალამური,
რაკრაკებს და ჰკვნესს ბულბული.
და ოცნებაც ფრთას შლის ჩემი,
მიჰქრის, როგორც ზღვაში გემი.
სად? ან ვისთან? ახ, ნუ მკითხავთ:
თვით მიხვდებით, წაიკითხავთ,
ვისაც ჩემებრ გტკივათ სული.
1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ა თ ა?!

ცა არ ყურობს მიწის წუხილს,
ცას არ ესმის მიწის დარდი;
ფირუზ მკერდზე გაუშლია
მოციმციმე ოქროს ვარდი
და იცინის...
მიწა კი ჰკვნესს,
სისხლით გულ-მკერდ განბანილი:
მოთქვამს დედა, მოთქვამს მამა,
მოთქვამს ცოლი, მოთქვამს შვილი,
მოთსქვამს ყველა...
მგოსანი კი
სდგას, ქცეული სევდის ზღვათა,
და კითხულობს: რათ იღვრება
ეს უმანკო სისხლი, რათა?!

1914 წ.

აჯანყდა სული

აჯანყდა სული, აჯანყდა,
შფოთავს ვერ მოუსვენია,
ან კი როდემდის ითმინოს
ტანჯვა-წამების გენია?!
სურს ერთი დაკვრით შემუსროს
გარს შემორტყმული ბორკილი
და გაიმართოს ვაჟკაცი,
რკალივით წელში მოხრილი.
განა ცოტახანს ატარა
თვალზე ალმასის მძივები,
მაგრამ ვერ მოიახლოვა
იმით მომავლის სხივები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ჰა, აჯანყდა ტანჯული,
გაშალა დროშა ძლევისა
და დადგა წამი დიადი,
წამი, რა წამი: ზღვევისა!

1913 წ.

პოეტს

შენ მგოსანი ხარ გულის ხმიერი,
თხზავ ახალ ლოცვას, ყურს გიგდებს ერი,
ბევრი გყავს მომხრე, ბევრი გყავს მტერი,
მაგრამ შენ მაინც მღერი და მღერი.
შესაძლო არის შენმა სიმღერამ,
შეუდრეკელმა ჩანგისა ჟღერამ,
ადრე მოგიდნოს, გაგაცამტვეროს,
ჩამოგაშოროს მუზათა სფეროს,—
შენი სიმღერა მაინც დარჩება:
სიკვდილის ხელი ვერ შეეხება!
დარჩება მასში რაც რომ ნაზია,
დარჩება მასში რაც ლამაზია,
რაც იფურჩქნება, ვით გაზაფხული,
რაც სჩქეფს, ჩუხჩუხებს, ვით ნაკადული,
რაც ღრმათა სწვდება ტანჯულ ერის გულს,
რაცა აღვივებს წინსვლის სიყვარულს
და მომავალსა გადაეცემა
და იციმციმებს, ვით დიადემა.
მის კვალს ვერ წაშლის მტროობა და შური,
დაწვრილმანება ყოველ დღიური:
ის გარეშე სდგას დროს და სივრცისა,
ვით უკვდავება მიწის და ცისა!

1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის ჩაკვდება

უკანასკნელ სხივს ჩამავალ მზისას ტახტი დაედგა მწვერვალზე მთისა,
მაგრამ თანდათან ხუჭავდა თვალსა, ეთხოვებოდა სამყაროს ისა.

და დასავლეთი, ლაჟვარდათ შლილი,
ვით ვარდის კონა, წითლათ ღვივოდა...
დაჰქროდა სიო, წყნარი და გრილი...
და მწუხრს თვალთ გიშრის მძივნი სცვივოდა.

თმა-ხუჭუჭ ბუჩქებს ველური ვაზი ისე ლამაზათ, მტკიცეთ ჩაჰკვროდა,
თითქო ტარიელ ნესტანდარეჯანს, ანდა—რამინი ვისსა შეჰყროდა.

მე სერზე ვიდეგ. ჩემს ქვეშ ნაკადი
ალმასის გველათ იკლაკნებოდა,
მოჰხტოდა, როგორც ქურციკი მარდი,
მარგალიტებათ იფანტებოდა.

მაგრამ ბუნების სიმშვენიერე ვერ იზიდავდა დაკოდილ გულსა:
თვალთა წინ მხოლოდ სისხლის ზღვა მედგა, ნათლათ ვხედავდი მებრძოლთა წყლულსა...

ვიძახდი: ღმერთო! როდის გაძღება
კაცისა სისხლით უგულო მარსი?!
ან კაცთა გულში როდის ჩაკვდება
სისხლის მსმელ მბეცთა საშიში არსი?!

მაგრამ პასუხათ მხოლოდ მესმოდა თოფ-ზარბაზანთა ჭექა-ქუხილი
და მსოფლიოს ჭირს, მსოფლიოს სევდას უერთდებოდა ჩემი წუხილი.

1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა სხვა მიყვარს

მაისის დილა იღიმებოდა... ტყე შრიალებდა, ნაკადი სჩქეფდა,
ხევი ნისლთ ბადეს იხსნიდა პირზე, მზის სხივი ველზე ალმასებს
ჰკრეფდა;

ჭრელ ყვავილებით მკერდ-მოქარგული
წალკოტი სურნელთ აკმევდა არეთ...
მეც დავდიოდი ჩანგ-მომართული,
სიმთ ვაჟღერებდი, ვკნესოდი მწარეთ:

„ეჰ!.. ერთხელ მაინც რომ მყვარებოდა ისე, ვით რამინს უყვარ-
და ვისი,
„ან ტარიელსა—ნესტანდარეჯან, ან ავთანდილსა—თინათინ
თვისი,—

„ტანჯულ სიცოცხლეს და წამებულ სულს
„მოსაგონებლათ ეს დარჩებოდა:
„სიცარიელის საშინელ უფსკრულს
„გლახ გულში ბინა არ ექნებოდა!

„ახ, მეც მომეცით ის დიდი გრძნობა, მომეცით-მეთქი ის
სიყვარული:
„იასებრ ნაზი, ვარდსავით ტურფა, მზესავით წმინდა, ცასავით
სრული,—

„და მეც ვიქცევი უძლეველ ღმერთად,
„დავიპყრობ მიწას, დავიპყრობ ცასა,
„მთელ მსოფლიო ხმებს შევკონავ ერთად,
„ძირს ჩამოვიტან პარნასის მთასა!“

ასე ვკნესოდი... ეს ჩემი კვნესა შენც შემოგესმა .. და შემიყვარე.
მეც აღვფრთოვანდი... მაგრამ განვლო დრომ... კვლავ სინა-
ნულის ცრემლი დავლვარე.

მე რომ ვეძებდი, ის სიყვარული,
ჩემო ლამაზო, შენში ვერ ვპოვე:
ვნებისთვის როგორ გამეღო გული!?.
და მეც მოგშორდი, გამოგეთხოვე.

ახლა სხვა მიყვარს, მაგრამ სულ სხვაა ქარიშხლით სავსე
სიყვარული:
ის ბრძოლის ცეცხლით ანთებს ტანჯულ გულს და ცამდე აღყავს
სული ფრთა-სხმული.

და დღეს მას ვუმღერ ქებათა-ქებას,
იმისთვის ვკონავ ლექსთა თაიგულს:
მრწამს, მომანიჭებს ის ნეტარებას!
მრწამს, მომანიჭებს უკვდავ სიყვარულს!

1914 წ.

ორი დრო

როცა მიდამო დუმილს მოუცავს,
ნიავი არ ქრის, ტყე არ შრიალებს,
ფირუზ ცას ძაძა-ფლასი ჩაუცვამს,
ციური მგოსნის ხმა არ წკრიალებს;
ყინულთ ხუნდებში ჰკვნესს წყარო ბროლი,
თოვლს დაუფარავს მთათა გრეხილი,
ჭალა-მინდვრებსა არ ამკობს მოლი,
ქვითინებს ვაზი ყელ-მოგრეხილი, —
მაშინ ჩემს სულსაც ნაღველი იპყრობს,
გრძნობა ფრთებს ვერ შლის, მდუმარებს ქნარი,
სიცოცხლის მტერი—სიკვდილი მიხმობს,
გულის სიღრმეში რეკს გლოვის ზარი!
მაგრამ როდესაც ცა ჯანყს გადიყრის,
შუბლსა გაიხსნის, მოიწმინდება,
მზე სხივთა ნაკადს ტალღათ გადმოჰყრის,
ყვავილზე ნამი აციმციმდება;
ზეფირი გაშლის საფრენათ ფრთებსა,
ფოთოლი ფოთოლს ტკბილათ ჩაჰკოცნის,
ზღვა აგრგვინდება და მთა ზვირთებსა
აზურმუხტებულ ნაპირთ შესტყორცნის, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალა სულისა მეც მემატება,
შორს იფანტება სევდა-ნაღველი,
მთელი მსოფლიო გულს მეხატება
და ვმღერ: ბანს მაძლევს ცა, ზღვა და ხმელი!

1915 წ.

---

*
* *

ქარშოშინია. ტყე და ველი ლაღობს, ლამაზობს,
იცინის ვარდი თავ-დახრილი, ვით პატარძალი,
ნეტა ვის ელის ღაწვ-წითელი ეგრე რომ ნაზობს?
ვისკენ უპირავს ყელზურმუხტსა ჟუჟუნა თვალი?
ვიშ, რა კარგია მოლოდინში ოცნება ჭრელი,
წუთით-ლა მანც გავიწყდება ნაღველი მწარე
და სიცოცხლის ჩანგს აწკრიალებს ხმა-ტკბილათ ხელი,
ბანს გეუბნება მაღლა — ზეცა, ძირს — არემარე!
ახ, გულის სატრფოვ, შორეულო, თან ახლობელო,
როდესაც თვალწინ დამიდგები ვარდისფერ ფრთებით,
მაშინ სამოთხეთ მეჩვენება კაცთ სამფლობელო
და მოხიბლული, ვით ბულბული, გიგალობ გზნებით!
რა იქნებოდა ჩემი ჩანგი, რომ შენ არ ყავდე? —
უხმო, უცეცხლო, ვით ობოლის ჩამქრალი კერა,
და მეც ყინულათ ვიქცეოდი, რომ შენ არ მწვავდე,
მევე მომკლავდა, დამმარხავდა ჩემი სიმღერა!

1917 წ.

ბაქოს

ბაქო! ბაქო! როგორ გაქო?
რა ვსთქვა შენზე კარგი აბა?
თუმც სიმდიდრე კრეზისა გაქვს,
ტანზე გშვენის ფარჩის კაბა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ვინაც ეგრე ტურფათ
აგაგო და აგაშენა,
ჩუქურთმიან დარბაზებით
შეგამკო და დაგამშვენა,—
შიმშილით ჰკლავ, მაშინ როს თვით
შამპანიურს ღვრი, ვით წყალსა...
ფუი, მაგ შენს უგულობას!
ფუი, მაგ შენს სამართალსა!

—

თქვენ-კი, ძარღვნო ცხოვრებისა—
შრომის შვილნო, გიძღვნით სალამს!
წინ, წინ მედგრათ! ნუ დაუშვებთ
ზეამართულ დროშა-ალამს!
ერთის ფიქრით გაიმსჭვალეთ,
ერთის გრძნობით შეკავშირდით
და ის ვარდი ისევ ზარდეთ,
რასაც დღემდე გულში ზრდიდით!
თქვენ აღვივებთ შრომის ქურას,
თქვენ ხართ ძალა შემოქმედი:
მაშ დაჰკარით გრდემლზე კვერი,
გამოსჭედეთ ქვეყნის ბედი!

1914 წ.

სოფლის სურათი

1

მწუხრის ბინდბუნდი ჰფენია არეს,
ანცი ნიავი მიმოქრის ლალათ,
ხან შეატოკებს კორდზე მცენარეს,
ხან ყვავილს ფურცლავს ველათ და ბალათ.
ლურჯ ცაზე მთვარე, ნამგლათ ქცეული,
ვით ზღვაზე ნავი, დაცურავს წყნარათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარს ვარსკვლავებით შემოხვეული,
ვერცხლის სხივებსა მოაფრქვევს ბარათ.
აქ-იქ, დაბურულ ხეთა ჩრდილებში,
სადაც ხავერდათ გაშლილ მწვანე მოლს
მისძინებია ყვავილთ ლილებში,—
ციცინათელა ავლებს ცეცხლის ზოლს!

2

ფუსფუსებს კაცი, ფუსფუსებს ქალი,
მირბის და მორბის დიდი, პატარა:
ზოგს ნახირისკენ უჭირავს თვალი,
ზოგს წყალი მოაქვს, ცივი, ანკარა...
აგერ ძალლი ჰყეფს... იქ ძროხა ბღავის...
სადღაც ურემმაც გაიჭრიალა...
გესმით სიმღერა მეხრის ბედშავის?
იგრძენით მისი ღილინის ძალა?
ჩუ! სამრეკლოშიც მწუხრის ჩამოჰკრეს,
ზარის გუგუნმა შთანთქა სოფელი:
ეს ხალხს უხმობენ, რომ იქ შემოკრბეს,
ადიდოს ღმერთი, „ყოვლის მპყრობელი“.

3

მაგრამ ვის ესმის?.. გლეხთა ქოხმახებს
გლოვის ზეწარი გადაჰფენია:
აქ სნეულთ ხედავთ, იქ შიშველ ბალღებს,
თვალწინ გეშლებათ ტანჯვის გენია!
დედა შვილს მოსთქვამს და ცოლი—ქმარსა,
მიდამო-არეს რწყავს მდუღარება;
სიმღერაც ისმის,—მაგრამ ჰგავს ზარსა:
სავსეა სევდით, ვით მწუხარება!
მათთვის არაა არც ცა, არც მიწა,
არსებობს მხოლოდ შავი სიკვდილი:
ტანჯვამ მათ გულში უკვე დაფხრიწა,
სარწმუნოების თხელი მანდილი.

ორი სურათი უდგიათ თვალწინ,
ვით ჯოჯოხეთი, შავი და ბნელი:
პირდაღრენილი შიმშილი აქ, შინ,
იქ — შვილთა სისხლით მორწყული ველი!

1914 წ.

სულ ვერ ზადაგს

1

მზემ ამოყო თავი,
გაჰქრა ღამე შავი
და გათენდა დილა, გულის მოამხიბლავი.
არაკრაკდა წყარო,
ცივი, სანეტარო,
და შიგ ჩაიხატა ლერწამი ტან-სარო.
თმა-ხუჭუჭა ძეწნა
სიომ ბუჩქებს შეწნა
და იმანაც ფოთლებს ტკბილი კოცნა შეძლვნა.

2

და პირველი სხივი,
მოციმციმე, ნაზი,
ვით ალმასის მძივი,
ტურფა და მალხაზი,
დიდ ქალაქსაც მოხვდა...
მოიფშვნიტა თვალი
და, ვით ქალი კოხტა,
ტრფობის ეშხით მთვრალი,—
აკისკისდა ვნებით,
დაანთხია შხამი:
დევნილთათვის ბედით,
დადგა ტანჯვის წამი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

ვაკვირდები ქუჩას—ამ ცხოვრების სარკეს:
ვხედავ გაჭივრებას, ვხედავ სივაგლახეს...
მინდა ვუმკურნალო, მაგრამ ველარ ვწვდები
და ხმა-მაღლა ვყივი, მესაყვირეთ ვდგები:
სულ ვერ ზიდავს მიწა ბოროტების საბანს;
აფეთქდება, ტანჯვის ცრემლებს ცეცხლით გაბანს!

1915 წ.

ლ ი ლ ა

დანელდა,
დაფერფლდა
ღამე საზარო.
გათენდა,
აჟღერდა
ფრინველთ სამყარო.
ატოკდა,
არეკდა
ბუჩქი, ფოთოლი.
ასხივდა,
ამძივდა
ნამი ობოლი.
მოჰფრინავს
მოჰბზინავს
მზის ოქროს გემი
და გული,
დაგული,
შვებას ჰგრძნობს ჩემი!

უწერის მწვერვალზე

ფრთაფარფატა თეთრი ნისლი მწვერვალებზე ხოხავს რხევით,
ხან ნაპრალში ჩამოწვება, ხან მიცოცავს ზევით-ზევით,
ხან წერწეტ ნაძვთ ყელთ ეხვევა, ტროიალების იპყრობს ენება,
ხან, დაჭრილი სხივთ ისრებით, კანკალებს და ცრემლათ დნება!

თავ-ქოჩორა მთათ გრეხილებს, ერთმანეთზე აკიბულებს,
უხილავი ძალთა ხელით ლურჯ სივრცეში აზიდულებს,—
ხავერდათ შლილ ზურმუხტ კალთებს უფერადებს ყინულთ ზოლი
და ქვეშ ფაზი გრგვინვით მოჰყეფს, ხან მღვრიე და ხან კი ბროლი!

კლდის გულიდან ნაკადული მოკისკასებს, ნოჰხტის ცქვიტათ,
ფოთოლ-კვირტებს მარგალიტებს ყურზე ჰკიდებს ყურსაკიდათ;
ფირუზ ცასა სხივებს ჰპარავს, გულში იკრავს, ქაფში ჰფარავს
და დაბლისკენ მიჩუხჩუხებს, ჭალა-მინდვრებს სჭრის და ღარავს!..

მე მწვერვალზე ვდგავარ ობლათ, შორს მიმაფრენს ფიქრთა ფრთები,
ხან ბრძოლის ველს დავსტრიალებ, ხან ქოხებში შევიპრები,
მაგრამ ყველგან ცრემლებს ვხედავ, წინ მიდგება სისხლის ტბები
და, დაჭრილი კაცთ სიავით, ისევ ჩანგურს ვუბრუნდები.

მსურს რითმებში ჩავაქსოვო სულის ღელვა განაცადი,
მაგრამ, ვაგლახ! იდუმალი ხმა ჩამძახის: „რასა სჩადი?
ვის რათ უნდა შენი ლექსი, ნალვლით სავსე, გრძნობით თქმული,
დღეს ომია: ტვვიამ შთანთქა ქვეყნის ფიქრი, ქვეყნის სული!“

და ვიძახი: მაშ რათ არის ეს ბუნება ეგრე ნაზი,
რათ ამშვენებს ველსა -მოლი, მთას—ნაძვნართა მწვანე ხაზი,
კორდს—ყვავილთა თაიგული, სამყაროს—მზის ბრწყინვალება,
თუ გვირგვინი ქმნილებათა—კაცი სისხლში ჩაიხრჩვება?!

1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემომალამდა

შემომალამდა მთაწმინდაზე, შემომალამდა ..
საღმრთო ბილიკი მაინც კიდევ არ დამიკარგავს:
სინათლის ხილვის კიდევ უფრო აღმეძრა მადა,--
ვით დავივიწყო ჩემს ოცნებას რაც მოუქარგავს?

—

კვლავ გათენდება და მეც ისევ გზას გაუდგები,
ვნახავ მსოფლიოს განახლების დღესასწაულსა:
კიბეთ მექნება ტანჯულ მოძმეთ ტანჯული ძვლები,
რომ შეეწირენ ძმობის დროშას და სიყვარულსა!

პირველ მაისს

პირველ მაისო! აღტაცებით მოგელი შენა,
შენს მოლოდინში გული ხარობს, მუსიკობს ენა.
რათ მეხარება შენი მოსვლა? მისთვის ხომ არა,
რომ ჯანყს მოიცლის მოკასკასე ლურჯი კამარა,
ტყე-მინდორ-ველი ტანთ ჩაიცვამს ზურმუხტს და ლალებს,
მოფარჩულ მთა-ბარს მზე დააყრის ოქროს დალალებს,
ფრინველთ სამყარო ამღერდება, აწკრიალდება,
სიო ფრთებს გაშლის, ბუჩქ-ბალახი ამრიალდება?..
არა, სულ სხვა რამ მაგონდება უფრო დიადი
და გულს იმედი აცისკროვნებს, ვით განთიადი.
რა მაგონდება? რომ აღსდგება ყველა ჩაგრული,
მონის უღელში ქედ-მოხრილი, ჯვარზე გაკრული;
ააფრიალებს ხსნის სიმბოლოს—წითელ ალამსა;
ტანჯული ტანჯულს თანაგრძნობით უძღვნის სალამსა;
ქვეყნის მტარვალებს გაბედულათ შეუთვლის წყევას
და შემოსძახებს: გაუმარჯოს შრომის სუფევას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სიმღერა

სარდლათ არ ვარგვარ, მაგრამ ვაცხადებ:
ჯარისკაცობა კი შემიძლია;
თუმცა დროთა სვლამ თავზე დამთოვა,
გული კვლავ გულობს და მაჯაც მძლეა!
ერთს მეც განვგმირავ საკუთარ ხელით
თავისუფლების მოსისხლე მტერსა
და ვალმოხდილი წინ წარვუდგები
კაცობრიობას და მშობელ ერსა!

ჰო, მართალია მე მგოსანი ვარ
ძმობა-ერთობის და სიყვარულის,
მაგრამ იქ, სადაც სიტყვა ვეღარ სჭრის,
მხოლოდ ხმალია მკურნალი სულის!
მაშ წინ, ბელადო! მეც თან მოგყვები,
თუ რომ ჩამოგრჩე—გულში მკარ ტყვია:
ვფიცავ მაგ დროშას, ეს ჩემი სული
თავისუფლების მონა და ტყვეა!

გ ა ნ ც დ ა

ცის სივრცეში ციაგათ შლილს ცისკრის ყვავილს მივეპარე,
მღელვარ გულით ალ-დართულით ალტაცებით ვუძღვენ კოცნა;
აცახცახდა, აკანკალდა, ათრთოლდა და მორთო არე,
ვით მზე-მთვარე, მოელვარე სხივთ ისრები შემომტყორცნა.
დამწვა, დამწვა, დამიმონა... დამავიწყდა წუთით სევდა:
ჩემი ქნარი, ხმა ნარნარი, სულ სხვა ჰანგზე აწკრიალდა
და გულს დაჭრილს, დაგულს, დასჯილს, ბედი შხამსა რომ
ანთხევდა,—
ეწვია ბზე, ცეცხლის ფრთაზე შეისვა და გასრიალდა!..

1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ მღეროდი!..

შენ მღეროდი!.. მორაკრაკე ხმა, ვით ზარი, წკრიალებდა,
შენს გარშემო ტევრი სდუმდა, ფოთოლი არ შრიალებდა,
ერთ წერტილზე შემდგარიყო მოსისინე ნიავქარი,
ნისლიც კი არ ირხეოდა, გრძნობის ცრემლად ჩამომდნარი.

შენ მღეროდი!.. შენს ჰანგებში ხალხის სული მწარეთ ჰკვნესდა:
შიგ ხანგლოვის ზარი რეკდა, ხან იმედ-ხსნის ცეცხლი ჰკვესდა,
ხან ბორკილი ჟღარუნებდა, ხან ყიჟინი ჰქუხდა ბრძოლის
და მსხვრევის ხმა სანატრელი გაისმოდა ხუნდთა რგოლის.

შენ მღეროდი!.. თაღათ შეკრულს ცას სწვდებოდა ხმა
გრძნეული.
ყურს გიგდებდა ვარსკვლავთ ჯარი, ლურჯ სივრცეში გაპნეული.
ცაც და მიწაც გრძნობის ცეცხლით იწვებოდა შენთან ერთად.
მეც გისმენდი და გსხავდი ხელოვნების ქურუმ-ღმერთად!

1917 წ

მომაკვდავი არწივი

(სპ. მცირიშვილის ხსოვნას)

ბნელ ორწოხებში, უფსკრულის პირათ,
მკერდში დაჭრილი ეგდო არწივი,
ენატრებოდა მზის თფილი სხივი,
მაგრამ სიკვდილი თავს ადგა გზირათ
და ეძახოდა სამარე ცივი!

და მიგდებული ლოდებზე ყირათ,
განწირულის ხმით ჰკვნესოდა ასე:
,,მე ცა მიყვარდა შვენებით სავსე!..
ვეტრფოდი გულით!.. მიღირდა ძვირათ
ლურჯათ გაშლილი და მოკასკასე!..

,,ხშირათ ფრთა გაშლით ღრუბლების ზევით
დავნავარდობდი მახლობლათ ღვთისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმოდა რხევა ანგელოსთ ფრთისა
და ოქროს თმების ყელზე მოხვევით
მკოცნიდა ტკბილათ, ასული მზისა! .
,,ჩემსკენ ვუხმობდი ქაობის შვილებს,
მსურდა—შვენება მისი ენახათ,
მისდამი ტრფობა გულს დაემარხათ
და ტანჯვის ცეცხლში რკალებ მოხრილებს,
სიმბოლოთ ხსნისა გამოესახათ!..
,,მაგრამ დღეს აგერ უფსკრულის პირათ
სიკვდილსა ვებრძვი, მტრისგან დაჭრილი...''
ასე ჰკვნესოდა... და ფრთა გაშლილი
კვლავ გასაფრენათ იწევდა ხშირათ...
ძირს ეცემოდა სისხლით დაცლილი!
მე ყურს ვუგდებდი სულ-განაბული,
გულის სიღრმეში ტკივილსა ვგრძნობდი,
რადგან ჩვენ შორის კავშირსა ვცნობდი:
მასში ჰკვნესოდა თვით ჩემი სული!
და მომაკვდავსა დაფნით ვამკობდი.

და ქვითინებდა სული მწუხარე...

შრომით დაღლილმა საღამოს ჟამზე
გავისეირნე ქალაქის გარეთ,
რომ გამეფანტა ბილმა ნაღველი,
შემოწოლილი გლახ გულზე მწარეთ.
მზე ჩადიოდა. ოქროს სხივები
ესალმებოდენ თვალუწვდენ ქედებს,
ვით სატრფო სატრფოს, უკანასკნელათ
კოცნას უძღვნიდენ ნისლთა თეთრ გედებს.
მე სერზე ვიდეგ. ხან მთას გავსცქერდი,
ხან გავყურებდი ხასხასა ველსა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემუნვა ნელნელა ფრთებსა ჰკეცავდა
და მივყვებოდი ოცნებას ჭრელსა.
მაგრამ უეცრად იქვე მახლობლათ
რაღაც შავ საგანს თვალი მოვკარი,
მიველ, დავხედე... შევკრთი... გავშეშდი...
ვიცანი მოძმე და მეგობარი!
გულ-განგმირული უწყალო ტყვიით
ეგდო მიწაზე, სისხლში მოსვრილი,
და ხელით ეჭირა წერილი, სადაც
მისი ვარამი იყო მოთვლილი:
„დიახ, თავს ვიკლავ!.. ან კი ღირს განა
სიცოცხლე, სადაც სული ტყვეთ ქმნილა,
ბორკილი მეფობს, თავისუფლება
ტანჯვის ხუნდებში რკალებრ მოხვრილა!?
ყველა ბობოქრობს, მაგრამ უმიზნოთ,
მინელებულა ცეცხლი ციური:
არც სიყვარული, არც მეგობრობა,
დაწვრილმანება ყოველ დღიური!
ძმა ძმას ღალატობს და მამა-შვილსა,
ანგარიშია ცხოვრება მთელი:
თუ გამოჩენას არ მოელიან,
სუყველას სძულხარ, ვით მგესლი გველი!
შენს გაჭირვებას არვინ კითხულობს,
შენს გულში არვინ არ იხედება:
ფეხზე ჰკიდიათ შენი მიზანი,
მისწრაფება და სულის კვეთება!
ან ყველას ფეხს ქვეშ უნდა დაეგო,
ფინიასავით უქნიო კუდი,
ან, დაგმობილი, შიმშილით მოკვდე,
ან და—ატარო ხელ-ფეხზე ხუნდი!
და ამგვარ ყოფას ნუთუ არა სჯობს
ერთხელვე მოკვდე და მოისვენო?!
და, ჰა, თავს ვიკლავ. . მაგრამ თან მიმაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენდამი ზიზღი, ადამის ძენო!“
გადავიკითხე და ცრემლ-მომდგარმა
დავხედე ისევ გულ-განგმირულსა:
შორს გამიტაცა შავმა ფიქრებმა,
ღრმათ დავუკვირდი მსოფლიოს წყლულსა.
და დავიკვნესე: ძმავ, მართალი ხარ:
მეტათ მძიმეა ჩვენი ცხოვრება;
მაგრამ ამისთვის თვითმკვლელობასა
ვით შეურიგდეს კაცის გონება?!
სადაც ეკალი ხაროობს, იქ ხშირათ
ვარდიც იშლება, სურნელთ მფრქვეველი, —
ეს კანონია დედა-ბუნების,
მუდამ უცვლელი, დაურღვეველი.
და ცხოვრებაშიც ასეა მარად:
ბოროტთან ერთად კეთილიც ზღვაობს
და ვინაც ამას ვერ ხედავს ნათლათ,
გრძნობის მორჩილი, გონებით ბრმაობს!
გმირი მაშინ ხარ, როს დაბრკოლებებს
ებრძვი და ებრძვი, არ უხრი ქედსა,
მით შენებრ ტანჯულს მაგალითს აძლევ,
რომ გაუმკლავდეს ულმობელ ბედსა!“
და ცას შევხედე, მზე არსად ჩანდა,
ღამეს გიშრის თმა გადმოეფინა,
და მომაგონდა, უკვე დრო იყო,
რომ მომეძებნა მეც ჩემი ბინა.
წამოველ, მაგრამ თვალთა წინ მედგა
„ყოფნა-არყოფნის“ საკითხი მწარე,
უკან მომსდევდა მეგობრის ლანდი...
და ქვითინებდა სული მწუხარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეი, მიხედეთ!

1

მთასა სწვევია ზამთრის ფერია,
მიდამო თეთრათ დაუფერია.
არსად სჩანს მოლი,
არც ბარდი ვაზის...
ზოლს მისდევს ზოლი
ყინულთა ხაზის
და ბროლის ტახტზე
ჰფეთქს სილამაზე.

2

ძირს კი ბარს თუმცა ჯერ არ სწვევია,
თეთრი ჩადრი არ მოუხვევია,
მაგრამ ალვის ხეს,
მუხას ჭალარას,
ხეივანს, თუ ტყეს,
ბუჩქნარს პატარას
ფოთოლი სცვივა...
ცახცახებს, სცივა!

3

სტირის ბუნება, ჰკვნესის ბუნება
და მას სოფელიც ეხმაურება.
რა ქნას ბედკრულმა?
არ იქვითინოს?
დაჭრილმა გულმა
ვით მოითმინოს?
ჭირი სწვევია,
დაუძლევია!

4

ეი! მიხედეთ სოფელს წამებულს!
მალამო დასდეთ მის დაკოდილ გულს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რომ ვყვირი,
ვინ გაიგონებს?
იმისი ჭირი
ვის დააღონებს?—
მას აზის ყველა,
სისხლს სწოვს ნელნელა!

1915 წ.

ბ ო რ ჯ ო მ ს

1

მე აქ მოვედი მზის სანახავათ,
შენ კი თავს ჯანყი მოგიხვევია,
რაც ასე მძულდა დასანახავათ,
რის გამოც ბევრჯერ სევდა მწვევია!
გადაიყარე ეგ შავი ნისლი,
რომ ვნახო შენი შვენება სრული,
თორემ ძარღვებში გაყინდა სისხლი
და კაეშანმა მოიცო სული!

2

ჰო, ეგრე, ეგრე... ვიშ, რა რიგ გშვენის
განიერ მხრებზე ოქროს პორფირი!..
შენდა საქებრათ ხამს ენა ბრძენის,
ენა-მეტყველი, ენა-მოქნილი!
ვისმა ტიტინმა ხელმა აგზიდა
მზის სამეფომდე, ვით ნათლის სვეტი;
ან ალმასები ყურთ ვინ დაგკიდა,
მოგაზურმუხტა უცხოთ საჭვრეტი?!

3

ზურმუხტ კულულებს, მხარ-ბეჭზე დაყრილს,
როცა გივარცხნის სიო ფრთამალი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეც შენს კალიებსა, ფრთებსავით დახრილს,
თავსა ვაფარებ, ვით ტყესა ალი.
და ფიქრი ჩემი, მოუსვენარი,
ელვის სისწრაფით გევლება თავსა
და შენთან ერთად მუსიკობს ქნარი
და მივაცურებ ოცნების ნავსა.
თვალწინ მიდგება ის დრო ნეტარი,
როდესაც შენით დასტკბება ერი,
ყვლას ერგება შენი ნექტარი,
ყველა იქნება სვე-ბედნიერი!

ჩემს ჩანგს

დღეს ჩვენი დღეა, ჩემო ჩანგო, დღეს ჩვენი დღეა
და ჩვენცა გვმართებს გადვიხადოთ დიდი დღეობა:
მოვიხმოთ ფუზა, ქოხის კარი დავტოვოთ ღია,
დე სხვებმაც ნახონ ჩვენი ლხინი, ჩვენი ღრეობა.
დავსხდეთ და ლხინში მოვიგონოთ ჩვენი წარსული,
თუ რა გადაგვხდა, რა შეგვემთხვა ეკლიან გზაზე
და სათითაოდ ჩამოვთვალოთ ნასმენ-ნახული,
წამების ჯვარი როს მიგვქონდა იქ, გოლგოთაზე!
ოცი წელია, რაც ამ გზაზე დავიარებით,
ოცი წელია, რაც რომ ვებრძვით უკულმართობას,
აივსო გული შხამ-ნაღველით და იარებით,
მაგრამ ჩვენ მაინც იგი გვიყვარს, არ ვუთვლით გმობას.
ნურც ვუღალატებთ, ისევ ისე ვიაროთ მაზე,
რაკი ერთხელვე ავირჩიეთ მეზარეობა,
ვრეკოთ და ვრეკოთ, რომ მის ძლიერ გუგუნის ხმაზე
აღსდგეს ქალაქი, აღსდგეს დაბა, აღსდგეს ხეობა!
ჰო, მართალია ბევრჯერ ვნახეთ შემოლამება,
მაგრამ ვიხილეთ განთიადიც ვარდისფერ ფრთებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ალმაფრენას დაემონა სულის წამება,
აზვირთდა ხალხი და მტარვალებს ეკვეთა გზნებით.
ამან აანთო ამ ჩვენს გულში რწმენის ლამპარი,
ამან ალზარდა ამ ჩვენს სულში უდრეკი ნება...
დე სხვებს ეგონოს ჩვენი მრწამსი მხოლოდ ზღაპარი,
ოღონდ ჩვენ გვრწამდეს ახალ ალთქმის ახალი მცნება!

1918 წ.

წაღვერს

მე ისე მიყვარს შენი რუ, ველი,
მე ისე მიყვარს შენი მთა-გორა,
როგორც ქართველებს შოთა რუსთველი
და ინდოელებს რაბინდთაგორა!

—

როს შენს მწვერვალებს, თავნაბულულებს,
ბროლ ნაკადებით შემოსალტულებს,
მზე თავს დააყრის ოქროს კულულებს
და დაამსგავსებს ლამაზ ქალწულებს, —

—

მეც, შენს კალთაში შეფარებული,
შენს ხუჭუჭ ნაძვებს და შენს ნაკენჩხლებს
ვკოცნი, ვით სატრფოს შეყვარებული,
და ლექსათ ვაფრქვევ გრძნობის ნაკვერჩხლებს!

—

მე ისე მიყვარს შენი რუ, ველი,
მე ისე მიყვარს შენი მთა გორა,
როგორც ქართველებს შოთა რუსთველი
და ინდოელებს რაბინდთაგორა!

30 ივლისი, 1919 წ. აგარაკი წაღვერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონს მოდით

1

წითელმა მამალმა იყივლა... გათენდა
თავისუფლების დილა მზიანი.
ჩაგრულთა უბნები დროშებით დაშვენდა...
აჟღერდა ჩანგი ამო ხმიანი.
შავ-ბნელი წეს-რიგი მიწაში ჩასვენდა,—
ნიშნათ სამარე მოსჩანს ჯვრიანი.

2

მაგრამ რა? ცხოვრების დიდი ზღვა კვლავ ღელავს,
ტალღები ტალღებს ისევ აწყდება;
ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ მახვილი კვლავ ელავს,
მსხვერპლი და სისხლი მაინც არ წყდება;
შიმშილი, წყურვილი წინსვლის გზას კვლავ ქსელავს,
მის ლაბირინტში ვინ უწყს რა ხდება!

3

წითელო მამალო! მითხარი, მახარე,
სადა აქვს ტანჯვას ბოლო, საზღვარი,
და იმით დამატკბე, და იმით მახარე,
ამინთე გულში რწმენის ლამპარი,
თორემ, ჰა, შვებისა დროშა ძირს დავხარე,
სევდა მეუფლა, სევდა, საზარი!

4

ეი! თქვენ, ერთმანეთს რომ ჰგლეჯთ და რომ წეწავთ,
რათ ემსგავსებით სულით სნეულებს?
ნუთუ მტერთ, სისხლის მსმელთ, კარებზე ვერ ხედავთ,
შიგნით და გარეთ შემოსეულებს?
გონს მოდით! თუ მართლა ხალხის ბედს კი სჭედავთ—,
ერთად ეკვეთეთ, ერთად, წყეულებს!

1918 წ.

საღამო ბათუმში

მზე სხივნართი დასავალზე შლის ვარდისფერ ფარჩის საბანს,
დასაწოლათ ემზადება, ზღვის ჰავლებში ახლად ნაბანს
თავზე იხვევს ოქროს თმებსა, ხელოვნურათ იქუჩუჩებს,
რომ ხვალ დილით კულულებათ დააყაროს მთის ქუჩუჩებს.
ზღვა ირწევა, ხუჭუჭ ჰავლებს ქარვის ტბაში წყნარათ ავლებს
და ცისკიდურს უერთდება, მკერდზე ვარაყ შემონავლებს...
იქ კი, შორს, შორს, ჰორიზონტზე, ნავი არღვევს ტალღათ
რკალებს,
შიგ ზის ღამის დედოფალი, აელვარებს გიშრის თვალებს.
ნიავს ფრთები გაუშლია, კიდე-ნაპირს დასისინებს,
აქ წერწეტ ნაძვს შეატოკებს, იქ ალვის ხეს აშიშინებს;
ხან ყვავილებს გადაფურცლავს, ჭრელ მარმაშის კაბას ახვევს
და ბინდბუნდით მოცულ ქალაქს სურნელების ზღვაში ახვევს!..

სულს დაეუფლა წითელი ფიქრი

სულს დაეუფლა წითელი სიტყვა,
სულს დაეუფლა წითელი ფიქრი,
არც იგი ვიცი, საიდან მოველ,
არც იგი ვიცი, საითკენ მივქრი;
მაგრამ პყროობილი წინსვლის ჟინითა,
მეც სხვებთან ერთად მივეშურები,
თუმცა არ ვიცი ღმერთს უკმევ გუნდრუკს,
თუ ტარტაროზსა ვემსახურები;
განუსაზღვრელი ჭეშმარიტება
არცა ყოფილა და არც იქნება,
მუდამ იცვლება მისი არსება:
რაც დღეს წმინდაა, ხვალ კი—იხრწნება.
მაგრამ დღეს რაც მრწამს, იმას ვსცემ თაყვანს,
თუნდ მატყვილებდეს შეგნება ჩემი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირს არ დაუშვებ გაშლილ იალქანს,
ვიდრე ნაპირთან არ მივა გემი!
მივალწევ მიზანს? თუ სადმე გზაზე
კლდეს შეეხლები, ვიქცევი მტრადა?—
ეგ შემთხვევაა და მეც ამაზე,
აბა, მითხარით, დაკფიქრდე რადა?
სულს დაეუფლა წითელი სიტყვა,
სულს დაეუფლა წითელი ფიქრი,
მიგორავს ტალღა, წითელი ტალღა,
და მეც იმასთან მივქრი და მივქრი!

მე მტერს ვეძებდი

მე მტერს ვეძებდი...
და მოძმე კი დამიდგა წინა,
აკვნესდა სული,
თვალზე ცრემლი ჩამომედინა
და ძირს დავუშვი
ბასრი ხმალი ზე ამართული.
ან კი რა მექნა?
მოძმისათვის გამეპო გული?—
ეს ხომ ღალატი იქნებოდა
და უგნურება!
მან კი? ოჰ, მან კი
ვერ შეიგნო ეს წმინდა მცნება!
მე, მისი მოძმე, არ დამინდო,
ვით მტერმა მტერი:
ზურგში ჩამარტო
ვერაგულათ მახვილის წვერი!
მე სისხლისაგან ვიწურები,
ის კი ხარხარებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გრძნობს უგნური
მით საერთო მტრის გულს ახარებს!
ეი, ძმობილო! გონს მოეგე,
გააღე თვალი,
თორემ დაგწყევლის
ისტორია და მომავალი!
საშიშ უფსკრულის
წინ რომ ვდგავართ, ვერ ხედავ განა?
მომეცი ხელი, ერთად ვიხსნათ
ჩაგრულ ქვეყანა!

1918 წ.

დე მასვე დარჩეს

ცისკარზე ნაშობს ოცნებებს, ფიქრებს
კუბოთ დავუწნი ლამაზათ რითმებს,
არ მოვისვენებ,
შიგ ჩავასვენებ
და დავასვენებ
საკურთხეველზე ტანჯულ ერისა.
დე კვნესა ჩემი ჩანგის ელერისა,
ბურანში წასულს,
ეკლით დაკაწრულს,
მის წამებულ სულს
ესმოდეს მარად, მთაში თუ ბარათ,
ხან ბრძოლის ჰიმნათ, ხან გლოვის ზარათ!
ეს იაოვარდი,—
შვება თუ დარდი,—
ცრემლით ნაზარდი,
ხომ მის ბალჩაში მოკრეფილია?
დე მასვე დარჩეს... მისთვის ტკბილია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი განცდა

(გ. ქუჩიშვილს)

გუშინ, ძმობილო, წითელ ზღვაში მიმოვცურავდით,
წითელ ქვეყნისკენ მიგვაფრენდა ფიქრი მზიანი,
განცდილ სიამეს გრძნობის თასში ცრემლათ ვსწურავდით,
ვგრძნობდით — ვიყავით სრულყოფილი ადამიანი!
თავისუფლების წითელი მზე სხივებს გვაყრიდა,
წითელ არწივებს გაეშალათ წითელი ფრთები
და წითელ ტყეში, ვიდრე მწუხრი ბინდბუნდს დაჰყრიდა,
დანავარდობდენ და ყიოდენ მოძავლის ძმები!
ჩვენ შევყურებდით... სიხარულის წითელ რითმებში
წითელ მაისის წითელ ლექსებს ვარდებათ ვშლიდით,
და დავცურავდით წითელი ზღვის წითელ ზვირთებში
და გამარჯვების სადღერგძელოს ვსცლიდით და ვსცლიდით!

19 აპრილი 1917 წ.

სიმღერა

(ვაჟა-ფშაველასებური)

მეც ჩამითრია ცხოვრებამ,
დავყვები ტალღებს მისასა,
ვერ ვისმენ საიდუმლო ხმებს
გუმბათად შეკრულ ცისასა,
თუმც ადრე, სიჭაბუკეში,
მეც დავდიოდი ღვთისასა.
ახლა კი? ახლა ცხოვრებას
ყურს ვუგდებ, ვეხმაურები:
რაც მომწონს — ქებით ვიხსენებ,
რაც არა — ვეზაურები...
ხომ იცით, ცხოვრება ზღვაა
და ჩვენ კი მეზღვაურები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეც, ვით შეჰფერს მეზღვაურს,
ნავს დავაცურებ სწრაფათა,
ვუსვამ და ვუსვამ ნიჩაბსა,
ვსჭრი ტალღებს, ქცეულს ქაფათა. .
ფუი მას, ვინაც მიზნისთვის
შრომა ჩათვალოს ჯაფათა!
ვიცი ნაპირი შორსაა,
გზა მეტის მეტათ გრძელია,
დაბრკოლებათა მთები სდგას,
მათი დაძლევა ძნელია,
მაგრამ მძებნელი სატრფოსი—
„ხელქმნილი“ ტარიელია!
1915 წ.

მოწოდება

დღეს ლამაზ სიტყვებს არ ვეძებ,
არც მხიბლავს რითმთა მრავლობა,—
დღეს ცეცხლის სიტყვა მჭირია,
რომ შევთხზა ბრძოლის გალობა..
აპოლონ! გემუდარები,
მოიღე ჩემზე წყალობა!
მინდა სამშობლოს გასაჭირს
შევუქმნა ჰიმნი ახალი,
რომ აღვძრა მისი შვილები—
ტანზე აისხან ფარ-ხმალი,
თორემ რომ ვხედავ ობლათ მყოფს,
გულზე მედება, ახ, ალი!
ის, ვისაც ხელი მივეცით,
ვისთანაც გვსურდა ღრეობა,—
დღეს უგნურებამ მოიცვა,
სრულად გაეხრწნა ზნეობა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინ ძმას ჰკლავს, გარეთ, მოსეულს
მტერს კი დაუთმო მძლეობა!
ამ გვარ ყოფაში ჩვენ რა ვქნათ?
კვლავ მასთან ერთად ვიაროთ?
მაშინ ხომ მისი სვე-ბედი
ჩვენც უნდა გავიზიაროთ?
არა! სჯობს დროშა უმწიკვლო
საკუთრათ ავაფრიალოთ!
ეს ხომ ღალატი არაა:
დაცვაა თავის თავისა.
ვინც გვიძმობს, ჩვენცა ვეძმობით,
არ ვართ მსურველი ავისა...
ვაი მას, ვისაც არ ძალუძს
გარჩევა თეთრ და შავისა!

—

ეი! ისმინე მოძმენო,
მცხოვრებნო მთად და ბარადა,
კახნო, იმერნო, გურულნო,
ფშავნო, ლომ-გულნო მარადა,
გეძახით დედა-სამშობლო,
შემოკრბით მის გარს ჯარადა!
მრავალ გზით დაჭრილს, დღეს კიდევ
ელის ახალი ჭრილობა,
რომ ეს არ მოხდეს, იცოდეთ,
გვმართებს სიმხნე და ფრთხილობა,
ამას გვავალებს მომენტი,
სიბრძნე, მამულიშვილობა!
ტყვილათ გვაწოვა მან ძუძუ?
ტყვილათ გვიკრავდა უბეში?
ის ჩვენი ტკბილი დედაა,
ჩვენც გავხდეთ მისი ნუგეში!
რაღა ვიქნებით, თუ იგი
ჩაახრჩვეს სისხლის გუბეში?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ ნუ ვაყოვნებთ, აბჯარი
ავისხათ ძველებურადა,
საზღვარზე დავდგეთ დარაჯათ,
მტერს მივეგებოთ მტრულადა:
ან არსებობა დავიცვათ,
ან გავწყდეთ ბარემ სრულადა!
ჩვენ ვაღვივებდით მუდამ ცეცხლს
თავისუფლების კერაზე, —
ნურც დღეს შევდრკებით მოსეულ
მტერთა მახვილის ჩხერაზე...
დავფიქრდეთ, ძმებო, დავფიქრდეთ
სამშობლოს ბედის წერაზე!!

1918 წ.

გურიას

მუდამ მიყვარდი, გურიავ,
მოკისკასევ და მზიანო,
მტრის—მტრულად მიმგებებელო,
მოყვასთან—თავაზიანო,
ქირში—კლდევ, გაუტეხელო,
ლხინის დროს—ამო ხმიანო!
მაგრამ დღეს ტრფობა შენდამი
კვლავ უფრო მიასკეცდება;
ვინც დამიწუნებს ამ გრძნობას,
ვფიცავ ჩანგს, დიდათ შეცდება;
ერის შვილს, შენზე უკეთესს,
ის განა სადმე შეხვდება?
დღემდეც შენ გეპყრა, ვაჟკაცო,
თავისუფლების კანდელი;
მთელ საქართველოს მაქედან
ეფინებოდა ნათელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ იყავ მისი ამირან,
შენ იყავ მისი შავთელი!
  და დღესაც, როცა მახვილით
კარზე მოგვადგა მტარვალი,
რომ დაგვიბნელოს ისევე
მზე, ახლად ამომავალი, —
შენვე პირველობ, ვერ გაკრთობს
გზა სახიფათო სავალი...
  ვაშა ჯავარო ერისა!
იკურთხოს შენი სახელი!
გაქებდეს ცა და ქვეყანა,
შენი გმირობის მნახველი!
ნუმც გაიხარებს ამიერ
შენი მტერი და მძრახველი!

საქართველოს მზეს

შენ დღეს ამოდი და თუმცა ჯერ ვერ ბრწყინავ ძალზე,
მკრთალი ხარ, მკრთალი, გარს გარტყიან ღრუბელთ გუნდები,
ჩვენ მაინც გვხიბლავ, სიხარულის ცრემლებს გგვრი თვალზე:
აშკარათ ვხედავთ—იმსხვრევიან შავი ხუნდები.
  გაიკაშკაშე, შორს გასტყორცნე სხივთა კონები,
  დე იგრძნოს ყველამ, რომ არა ვართ ისევ მონები!
შენ ხომ შეგმოსა, ჩემო კარგო, ნანატრმა სხივმა,
სხვებსაც მოფინე ეგ დიდება შუქ-სხივოსანი,
დე ვერ იხაროს შენს სხივებს ქვეშ სუსხმა ფრთა-ცივმა,
დე აჭიკჭიკდეს შენი ეშხით ტკბილათ მგოსანი:
  მაშინ იქნება სრულ ყოფილი დიდება შენი!
  მაშინ ვიხარებთ კმაყოფილნი ჩვენც, შენი ძენი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაკურიანში

აჰა, მხარე ედემის დასადარი,
აქ წერწეტ ფიქვთ, იქ ხუჭუჭ ნაძვთ, ნაკერჩხლებს,
მხარს უშვენებს წიფელა და ჭანდარი,
და თავს აყრის მზე სხივების ნაკვერჩხლებს!
ვიშ, ნაკადიც, ბროლ-თვალება, ცივცივი,
კლდიდან კლდეზე მოჰხტის, მოსჩქეფს, რძისფერი,
და მის ალმას-მარგალიტებს, ვით მძივი,
გულზე იბნევს ყვავილები ცისფერი!
ეს ბუჩქებიც, კულულებათ დაყრილი,
რა რიგ შვენის ჯიხვთა ბუდეს—სალკლდესა;
ქვეშ ფერდობი, ფრთებივით ძირს დახრილი,
გარს რომ ირტყამს ნაკადულის სალტესა!
ახ, შემოქმედს, ამ უდიდეს ხელოვანს,
რა ლამაზათ დაუხატავს ყოველი!
ეჯიბრება ცისარტყელს შვიდ-ფეროვანს
ფერადებით სულ-ჩადგმული, ცხოველი!
მაგრამ, ვაგლახ! ამ სამოთხე მხარეში,
სადაც უნდა მღერდეს შვების ღვთაება,—
განუწყვეტლათ ისმის არემარეში
მხოლოდ ლტოლვილთ გულ-მომწყვლელი ვაება!
მხარევ ტურფავ, ეგრემც მუდამ იხარე,
შენს კალთას ქვეშ ობლათ შემოფარებულთ,
განარიდე ტანჯვა და სიმწუხარე,
გაუწოდე ძმური ხელი წამებულთ!
ჩვენს კულტურას მათ დაურწეს აკვანი,
გაგვიზარდეს დიდი შოთა, სხვაც ბევრი,
მით დაამხეს უმეცრების საკანი,
მოგვცეს ენა ოქროვანი და მჭევრი!
მაგრამ დღეს კი, ურდოთგან დარბეულნი,
მოწყვეტილნი მშობლიურ სახლ-კერასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშიერნი და ძონძებში გახვეულნი,
აქ დაძრწიან, გმობენ ბედისწერასა!
ეჰ, სამშობლოვ! ვიცი, ცოდვით იწვები,
როცა ხედავ შენთა შვილთა წამებას,
მაგრამ მათ ჭირს უძლური რით მისწვდები?
რით-ღა შესძლებ მათ ტკივილთ დაამებას?
1918 წ.

ზ ე ი მ ი

ცივ შემოდგომის ყვითელ დილაზე,
როს სევდის ქარვა მეკიდა გულზე,
თვალთა წინ მედგა შენი სინაზე
და ვოცნებობდი შენს სიყვარულზე,—
გამომეცხადა შენი შიკრიკი
და შენს მოსვლაზე იწყო ჭიკჭიკი.

—

გამიზაფხულდა. შვების ვარდებით
შეიმკო ჩემი სიცოცხლის ბალი.
დარბაზი მოვრთე ძვირფას ფარდებით
და დავაშვენე ჭაღებით თალი.
ვუხმე მაყრიონს, მოვემზადენით...
და, ჰა, შენც მოდი, აგვავსე ლხენით!

—

ახლა ჩვენთან ხარ, გიხდით დღეობას,
სადღეგრძელოს ვსვამთ აზარფაშებით
და, დედოფალო, შენსა მზეობას
წითელ ლექსებით ვევაშვაშებით.
საუკუნეთ ღირს ამ განცდის წამი...
კურთხეულ იყოს მარად ეს ჟამი!
1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 მაისი

ბუნების წიალში მაისი ათრთოლდა,
კოკობ ვარდს თვალებში უბრწყინავს ალმასი,
მთას მოსწყდა ზეფირი და ველზე აქროლდა,
ბიბინებს ჯეჯილი ლურჯი და ხასხასი.

—

ჩაგრულთა უბანშიც დღეობა გათენდა,
ქოხებში შეიჭრა იმედი სულ-მნათი...
ხომ ხედავთ წითელ ტყეს, ქუჩებს რომ დაშვენდა?
მოდით და იხილეთ მომავალის სურათი!

1919 წ.

თფილისი 1 მაისს

ახ, რა ლამაზი იყო გუშინ ჩვენი თფილისი,
ისე შვენოდა ალისფერი ალამ-ბანტები,
ვით ყაყაჩოსა მოციმციმე ცვარი დილისა,
ან მზისუნახავს ბროლის ყელზე ბრილიანტები!

ყველგან სცვივოდა სილალის და შვების ვარდები,
არვის სახეზე არ ტიროდა ფიქრი დაღლილი,
ისე ცეკვავდენ შავ თვალებში ვანცდის ლანდები,
როგორც შუადღის მზის სხივები ტბაზე დაღვრილი!

ღელავდა ქუჩა, ალ-დაკრული, ფაფარ-აყრილი,
ისე ხიბლავდა სიდიადე ყველას იმისი,
ვით განთიადი, ფირუზ მკერდზე ვარდებ დაყრილი,
სად თინათინობს მზის ასული სახე ყირმიზი!

ახ, რა ლამაზი იყო გუშინ ჩვენი თფილისი,
ისე შვენოდა ალისფერი ალამ-ბანტები,
როგორც ყაყაჩოს მოციმციმე ცვარი დილისა,
ან მზისუნახავს ბროლის ყელზე ბრილიანტები

1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაუ! ჰაუ!

ჰაუ! ჰაუ! ყვავ-ყორნებო!
ნუ მიწუხებთ მშობელ დედას;
ბევრი ჭირი აიტანა
და გაუძლო ბევრ შავ სევდას;
თქვენს ჩხავილსაც გადაიტანს
და გაძახებთ „ვაი-დედას!“
ავათ იყო, მაგრამ მოორჩა,
მაგრათ უცემს ახლა გული:
დაუბრუნდა კვლავ სიცოცხლეს,
სასიკვდილოთ გათანგული...
დღეს შვილებიც მხარს უშვენებს,
დღემდე მისთვის დაკარგული.
დიდი ჰქონდა მოთმინება,
სულგრძელობას არც დღეს ჰკარგავს.
ის სიკეთის მიჯნურია:
ძმობის დროშას ჰქსოვს და ჰქარგავს..
ვაი იმას, მის ბალჩაში
ლალატის ბუჩქს ვინცა დარგავს!

ქუჩებში

მზე მიიწურა. ტახტზე დაჯდა შავ-პირი ზანგი.
სახეტიალოთ გამოვედი ფართო ქუჩებში,
ავყევ-დავყევი, შევერიე ხალხის ქუჩებში,
და კვლავ იმედით შეიმოსა ნატირი ჩანგი.

—

აქ ტანჯვის ცეცხლი ხმაურობდა და ბრძოლის ჰანგი,
ვით ზღვის ტალღები, გუგუნებდა და იშლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტს ვერ ითმენდა კაცის ჭკუა და იშლებოდა:
სურდა გულიდან მოერეცხა შიშ-ძრწოლის ქანგი.

—

და დაჭკრა კიდეც და დასცვინდა ძირს ბორკილები:
განთავისუფლდენ სამუდამოთ ხელ-ბორკილები.
სიცოცხლის ჩანგი აწკრიალდა. მოკვდა წამება.

—

და გულს, დამწვარსა სევდის ალით, დამდნარს წამებით,
შხამ-სამსალა სმულს მრავალ-წლობით, განა წამებით,—
ნეტარების მზემ გაუცინა, მოხვდა ამება.

1919 წ.

დამწვარი სული

სიჭაბუკეში არ მინახავს სულის მშვიდობა,
ვგრძნობ, ვერც ვიხილავ, ისე ჩავალ ცივ სამარეში...
რათ დავიბადე, თუ შემჭამდა სოფლის ფლიდობა
და გავხდებოდი ბედის მონა, პირისფარეში?!

—

მე აქ მოვედი ხელოვნების წმინდა მსახურად,
ეჰ, უნდო ხვედრმა ფულის ყუთთან დამიდგა ქსელი:
დაშრა აუზი შთაგონების—ეს სულის მწველი,
და ახლა მხოლოდ ჩოთქ-დავთარი დამაქვს ჩანგურად!

—

მე სილამაზეს დავეძებდი ცხოვრების ველზე,
მაგრამ გრძნობის სიმს შხამი მოხვდა და დააწყლულა:
მასაქეთია სევდის მერანს მოვეჭდე ყელზე,
ტანჯულ სიცოცხლემ წამების გზა ვერ დაასრულა!

—

ობლად ვიდოდი. მეგობრები თუმც ბევრი მყავდა,
მაგრამ ალერსი არ მრგებია წრფელი და ნაზი.

უთანაგრძნობოს საპყრობილეთ მიჩნდა დარბაზი:
გულს მიჯდა მღილი მარტოობის და ნელ-ნელ მხრავდა!

—

ბრძოლა მიყვარდა, არ მინახავს ველი ბრძოლისა,
და ისე ვჭკნები დამწვარ ფიქრთა უხმო თარეშში,
ვით მზე ასული, მომწყვდეული კოშკში ბროლისა,
ან შავი მუშა ბნელ სარდაფის სიმწუხარეში!

—

ახ, ერთხელ მაინც გაეშალა ფრთა გიჟურ გრძნობას
და გავყოლოდი აღტყინებულ ქარიშხლის ღელვას,
ყელთ მოვხვეოდი მგრგვინავ ტალღებს, ცეცხლფრთიან ელვას, —
მთელ ჩემ სიცოცხლეს შევსწირავდი ამ წუთის ტკბობას!!

1919 წ.

თავისუფალ საქართველოს

(26 მაისის გამო)

დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხივფერდები,
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტევრი,
აყივლდებიან არწივები იქ ბევრზე ბევრი, —
და დაინახავს შენი მტრები, რომ არ ბერდები!

—

დეე გაიგონ, რომ შენცა ხარ მსოფლიოს წევრი,
გიყვარს სიცოცხლე, განსაცდელის წინ არ ჩერდები,
უკეთეს შვილთა სისხლით მორწყე კლდე-ღრე, ფერდები
და სამუდამოთ მოიშორე მონობის კევრი!
და ეს იქნება უკეთესი საბუთი, მჭევრი,
რომ გეწვევიან უცხოეთით თეთრი მხედრები,
რომ მოკრძალებით მოიხარონ შენს წინ ქედები,
არ მოგიხადონ უნებურად მარანში ქვევრი!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხივფერდები,
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტევრი,
აყივლდებიან არწივები იქ ბევრზე ბევრი, —
და დაინახავს შენი მტრები, რომ არ ბერდები!

1919 წ.

უხილავი მხარე

როცა ტოროლა ცისკენ ნავარდით
მიჰქრის, თალხს იძროებს კავკასიონი,
ფეთქავს ცისკარი, გულ-მკერდ ნავარდი,
გუგუნებს ზარი ძველი სიონის, —
მეც ვტოვებ ბინას, ვით ცაზე მთვარე,
მივცურავ წინ-წინ, რწმენის ალმართით,
ვუახლოვდები უხილავ მხარეს,
განცდის ცეცხლი მწვავს, სულის ალმანთი.
სიზმრათ ნახული სატრფო-შვენება
თვალ-წინ მიდგება დიდებით სრულით:
ვეტრფიალები მე ამ ჩვენებას
და ნეტარების ცათ მიჰფრენს სული.
გრძნობათა სიმნი, ვით ვერხვი, თრთიან,
მიმახვილდება ხედვა და სმენა, —
მაშინ ვქმნი ჰანგებს მწველს, ცეცხლის ფრთიანს,
წკრიალებს ჩანგი, მუსიკობს ენაც!

—

ახ, მეგობარო! იმ უცხო მხარეს,
თუ წამომყვები, გაჩვენებ შენც:
სხვა გვარათ ბრწყინავს იქ მზეც და მთვარეც,
იქ სულ სხვა ხმები დაგვიტკბობს სმენას;
იქ არე-მარეც სულ სხვა ფერია:
წალკოტობს ბარი, ედემობს მთები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ სიმღერასაც სხვაფერ მღერიან:
ხალისიანათ და სულის გზნებით;
იქ ვერ მოისმენ გულ-მომწყვლელ კვნესას,
იქ არ იციან რა არის დარდი:
ვარდები სცვივა ცხოვრების ხესაც
და ფირუზი ცაც მანანას ბარდნის;
თავისუფლების ცეცხლი ანთია,
უმანკოების ლამაზობს თვალი;
შრომის სუფევას ლხინი დართვია,—
ცხოვრება იწვის სიცოცხლის ალით!

1919 წ.

---

* * *

დაჭრილმა გულმა წამოისხა სევდის მანტია,
ან კი უკეთესს სისხლის ზღვაში რას შეიძენდა?
ეს შავი აწმყოს ნაჩუქარი ბრილიანტია
მაშინ ვიპოვე, როცა ძმა ძმას ჰკლავდა, იჭერდა,
და თან ვატარებ საშვენებლათ, თითქო ბანტია!

ახ, ნუ მიძრახავთ: თუ პოეტი მართლა სარკეა,—
მასში უნდა ჩნდეს უტყუარათ ცხოვრების სახე,
და ცხოვრება ხომ საშიშარი მოჭანდრაკეა:
ხან იმედი გვფლობს, ხან კი გვახრჩობს კაეშნის მახე...
მე ვით გავექცე მის მსახვრალ ხელს ასე რაკია?

1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს არწივი

(კაკი წერეთელს)

საქართველოს არწივმა დაამსხვრია გალია,
ფრთა ფრთას ჰკრა და გაჰფრინდა, თავს მოევლო ამაყ მთებს,
ცხოველ მყოფელ მზეს მისწვდა, იქ ნექტარი დალია,
გამარჯვება დიადი მიულოცა მაშვრალ ძმებს.
და ჩამოჯდა იქ, სადაც ჰქუხდა ბრძოლის ყიჟინი,
ბოროკილი იმსხვრეოდა, ძირს სცვივოდა რგოლები,
წითელ დროშებს გაჰქონდათ საამურათ ბიბინი,
თავისუფლათ მღეროდენ გუშინდელი მონები.
და იმანაც ხმა მისცა, ცეცხლი ცეცხლზე დაჰკვესა,
ბევრი გული აანთო უშიშარი სიმღერით,
მოყვარე გაახარა, მტრის სული კი აკვნესა
და მოხიბლა მსოფლიო უჩვეულო სიმთ ელერით.
დღეს კი აქეთ მოჰფრინავს შარავანდედ მოსხმული
და მეც მსურს მივეგებო და შევძახო გზნებითა:
მრავალ გზით ჭირნახულო! შენ გმირი ხარ მორჭმული
და ღირსი ხარ გამკობდეს ერი ქებათ-ქებითა!

---

26 მაისი

1

მაისმა აისხა ვარდების ღილები,
ზურმუხტზე ალმასი მარცვლებათ დაჰყარა...
ვაკისკენ მოიხმო დიდი და პატარა...
შემოკრბენ ყოველ მხრით ქართლოსის შვილები.
იწვიან დროშები. ყველგან ჰქუხს ნაღარა.
გუგუნებს მიდამო. ზეიმი იზრდება...
ქვეყანა ვინც იხსნა, ბოროკილი აჰყარა, —
მას ჩემი სალამი! მას ერის დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

ხალხის მეგობრები დღეს ყველა აქ არის.
ხედავი ერის ბელადს, მზეს რომ ეცილება?
შარავანდედ-მოსხმულს, შვენის გაცინება,
ძვირფას მონაპოვარს თავზე რომ დაჰხარის.
მას მხარს უშვენებენ ცეცხლი რაინდები.
ამ სურათის ცქერა თვალს ვით მოსწყინდება?..
ვინც დღე გაგვითენა, ღამით ნაბინდები,—
მას ჩემი სალამი! მას ერის დიდება!

აბ, ერთხელ მაინც...

თეთრი ღამეა... მოვნახე ველი,
მიმოფენილი მწვანე ხალითა,
ჩამოვჯექ ბუჩქთან და სატრფოს ველი,
ვარდის ღაწვებზე გიშრის ხალითა.
მაგრამ დრო მიჰქრის, ის კი არ მოდის
და მოთმინების ძაფი მიწყდება.
უკვე თენდება და მზეც, ჰა, მოდის,
საცაა ღამის ლანდიც მიწყდება.
ძუნწი ცხოვრება, უფერო, სადა,
მომწყინდა... სატრფოვ! სადა ხარ, სადა?!
მოდი! დამათვრე განცდათა გრძნობით.
სევდათა ჟანგი გულზე მომბანე,
გვერდით მომიჯექ, ტკბილათ მომბანე...
აბ, ერთხელ მაინც მამღერე გრძნობით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნატვრის თვალი“

„გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის
შაირია ამად კარგი“.

შოთა.

თავი პირველი.

(ბნელით მოცულ ულრან ტყეში, სადაც მზის სხივები ვერ ატანს, აშმორებული ჭაობია. ამ ჭაობში ტანჯულ-წამებული ხალხი ლანდებივით დაბობღავს. ისმის საშინელი დრტვინვა ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით—ბოროტ სულთა სიცილ-ხარხარი).

ხალხი (დრტვინვით)

ვაი, გვიშველეთ!.. აქ, ამ ჭაობში,
ვიხრჩვებით ყველა დიდი ხანია!..
საით წავიდეთ, არ ვიცით, არა:
ჩვენ ტყვეები ვართ, ეს—საკანია!
გარს გვაკრავს ბნელი!..
გულს გვიღრღნის გველი!..
სად არის მხსნელი?!

ბოროტი სულნი (ხარხარით)

ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. ხი, ხი, ხი, ხი, ხი!..
ამაოთ დრტვინავთ, ეძახით მხსნელსა:
ის ჩვენ ტყვეთა გვყავს, ტყვეთ, ცხრაკლიტულში
და თქვენ საშველათ ვინ მოგცემთ ხელსა!?

ხალხი (მრისხანეთ)

ბოროტო სულნო! ნუთუ არ კმარა
დასაბამიდან რაც სისხლი გვწოვეთ?!

აწ შორს, შორს ჩვენგან!.. გზა დაგვიცალეთ!..
ჩამოგვეხსენით! ჩამოგვეთხოვეთ!
ვგრძნობთ მოვა მხსნელი!
შუქს გვფენს ნათელი!
გაჰქრება ბნელი!..

(ტყის სიღრმიდან მოისმის მზეჭაბუკის სიმღერა, რომელიც თანდათან ახლოვდება).

მზეჭაბუკი

ჰო, მახსოვს, მახსოვს, საღამოს ჟამზე
ზღვის პირს ვიდეგი, გავსცქერდი ზვირთებს,
მზე კი კვდებოდა ცის დასავალზე,
სისხლით ჰქარგავდა ღრუბლებში რითმებს.
ცელქი ტალღები ვერცხლებრ ელავდენ
და მათ გედები მკერდით სერავდენ.
მეც გედათ ვიქეცი, ოცნების გედათ,
ცხოვრების ზღვაში გავშალე ფრთანი,
მისკენ გავსწიე, ვინც მრწამდა ღმერთად,
დაბრკოლებათა გადავვლე მთანი;
ვნახე ნარ-ეკლით გარს შემორტყმული,
თაყვანი ვეცი, მივუძღვენ გული.
მასაქეთია იმას ვუმღერი,
მით გავაჯერე მთელი სამყარო:
მინდა ჩემსავით ის მშვენიერი
სხვებსაც ვაწამო და შევაყვარო,
რომ ყველა მისი ტრფობით იწოდეს,
თავ-განწირული მისთვის იბრძოდეს!

(შემოდის ჩირაღდნით ხელში და ყველაფერი განათლდება. სინათლის დანახვაზე ხალხი ჯერ შეკრთება, თვალებზე ხელს იფარებს, მაგრამ თანდათან ეჩვევა და ბოლოს აღტაცებით შეჰყურებს).

ეი, ისმინეთ, ტანჯვის შვილებო!
თქვენს მწარე კვნესას სულ განაბული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ყურს ვუგდებდი შორი-ახლოდან
და თქვენთან ერთად მიწუხდა გული.
თან ჩამძახოდა იდუმალი ხმა:
„წა, უწინამძღვრე დატანჯულ ხალხსო
და მიიყვანე აღთქმულ მხარეში,
დახსენ გასაჭირს, ვაი-ვაგლახსო“.
და, ჰა, მოვედი. თუ გამომყვებით,
ჭეშმარიტ გზასა მე მიგასწავლით...
მაგრამ ჯერ მარქვით დაუფარავათ:
ჩემ ნაჩვენებ გზას პირნათლად განვლით?

ხ ა ლ ხ ი

შხამათ შეერგოს დედის ტკბილი რძე,
იმ გზიდან ვინაც გადაუხვიოს,
ვინც შეუშინდეს თვით ჯოჯოხეთსა,
განსაცდელის წინ ვინც დაიხიოს!
ოღონდ გვასწავლე, ოღონდ გვიჩვენე
გზა, სინათლისკენ პირდაპირ მსვლელი:
ან მივალთ მასთან, ან ჩვენი სისხლით
შეიღებება ცხოვრების ველი!

მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი

კმარა! ისმინეთ: ხედავთ სასახლეს
იქ, მთის მწვერვალზე ცამდის ამართულს,
წინ რომ წალკოტი აჰყვავებია,
მოჩუქურთმებულს, უცხოთ დახატულს?
იცით ვისია თქვენ ის სასახლე?
ვინაა მისი პატრონ-მფლობელი?
შავი დევია, ბედკრულნო, თქვენი
ბედნიერების დამამხობელი.
ის რომ არ იყოს, მაშინ თქვენამდეც
ჩამოატანდა სხივები მზისა,
ამოაშრობდა ამ დამპალ ჭაობს,
სისხლს გაგითბობდათ ძარღვებში ისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი

— ოხ, ის წყეული, შეჩვენებული!
— ის ულმობელი, ის სისხლის მსმელი!
— როდის იქნება, რომ მოისპობა
სამარადისოთ მისი სახელი?!

მზეჭაბუკი

მაშინ, როდესაც მის ძლიერებას
დასცემს, დაამხობს ეგ თქვენი ხელი,
და ხელში იგდებთ იმ „ნატვრის თვალსა“,
რის წყალობითაც ბატონობს გველი!
(ხალხი ისევ ახმაურდება).

პირველი

ის ნატვრის თვალი უწინდელ დროში
ჩემს მამაპაპათ თურმე ჰქონიათ
და ქვეყანაზე კიდით კიდემდე
ტოლი, ბადალი არვინ ყოლიათ.
რასაც შესთხოვდენ, უსრულდებოდათ
და ნეტარებით ცხოვრობდენ ტკბილათ...

მეორე

ეს მართალია... მაგრამ პირველათ
სულ სხვას ჰქონია იგი ნამდვილათ...

პირველი

ვის?

მეორე

ვის და თვით ხალხს, მაგრამ რადგანაც
მათ არ სცოდნიათ თვისება მისი,
ვერ უხმარიათ და გადუგდიათ,
ვითარცა ჩვარი, რამ უვარგისი.
ბოლოს ჯადოქარს ერთ მათგანისთვის
მისი ლირსება უსწავლებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამდიდრებულა... თვისი მოძმენი
დაუმონია... უწვალებია.

მესამე (აწყვეტინებს)

დღეს კი ის შავ დევს უგდია ხელში
და ცხრაკლიტულში ჩაუკეტია...

მზეჭაბუკი

და არც დაუთმობს ნებით არავის,
ამაზე ფიქრიც, ძმებო, მეტია!

(ამ დროს შემოიჭრებიან შავი ძალები და ატყვევებენ მზეჭაბუკს).

ხალხი (სასოწარკვეთილებით)

ჰოი, წყეულნო! სად მიგყავთ, სადა?!

შავი ძალები (დაცინვით)

ჩვენ ამისათვის მზადა გვაქვს, მზადა,
სასახლე ვრცელი,
ტურფა, ნათელი:
იქ მოვათავსებთ...
შვებით ავავსებთ.
ვფიცავთ, ბუზსაც კი
არ მივაკარებთ,
ხელით ვატარებთ
და ვანეტარებთ!

მზეჭაბუკი (მხნეთ)

მშვიდობით, ძმებო! იყავით მტკიცეთ!
მე არ ვიქნები, — ნაცვლათ სხვა მოვა:
თესლი ყამირში თუ კი დაეცა,
რაც უნდა მოხდეს, მაინც ამოვა! (გაყავთ)

თავი მეოთხე

(განთიადია. თვალუწვდენელ ციცაბო კლდეზე ამართულ კოშკში, რკინის ბადით დახლართულ სარკმელთან სდგას მზეჭაბუკი და ვარდისფერად აფერადებულ ცის კიდურს გაჰყურებს).

მზეჭაბუკი

შეკრთა ღამე. ალმოსავლეთს
გულზე ცეცხლი მოეკიდა.
ლაჟვარდს მოსწყდა მარგალიტი,
ფოთოლს ყურზე დაეკიდა.
მთის შიკრიკმა—ცელქმა სიომ
სანავარდოთ ფრთა გაშალა,
ბუჩქ-ბალახებს ხუჭუჭი თმა
აუბურძგნა, აუშალა.
ფართოთ გაშლილ მწვანე მთა-ბარს
მოერია პირზე ღიმი...
იადონმაც ლამაზ ჩანგზე
გადასჭიმა ვერცხლის სიმი.
ვიშ, ბუნება, მშვენიერი,
რა რიგ ხაროობს, რა რიგ სტკბება!
მითხარ, მითხარ, განთიადო,
ჩვენთვის როდის გათენდება?!

(ტახტზე ჩამოჯდება და ღრმათ ჩაფიქრდება. შემოდის აჩრდილი სახე-ტანჯული და წელში ოთხათ მოხრილი, ბამბასავით თეთრი წვერი კოჭებამდე სცემს. მის დანახვაზე მზეჭაბუკი შეკრთება).

მითხარ, მოხუცო, ვინა ხარ შენა?
ან რათ გაქვს სახე ეგრე ტანჯული?

აჩრდილი

ხალხის სული ვარ, დასაბამიდან
წამების ჯვარზე ხელ-ფეხ გაკრული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეჭაბუკი

აქ რომ მოსულხარ, რას ითხოვ ჩემგან?

აჩრდილი

ერთგულ სამსახურს, გულ-წრფელ სიყვარულს...
სამაგიეროთ სამარადისოთ
ტახტათ დაგიდგამ ამ ჩემ ტანჯულ გულს.

მზეჭაბუკი

შენ რომ მიყვარდი, კიდევაც მისთვის
გამომანწყვდიეს ამ ოთხ-კედელში,
სადაც მზის სხივიც ვერ იჭვრიტება
და ვიმყოფები დღე და ღამ ბნელში.
ამგვარ ყოფაში ვით გემსახურო?
როგორ მოგწმინდო თვალზე ცრემლები?
(წამოვარდება)
ნეტა შემეძლოს, რომ მტვრათ ვაქციო
ეს საზიზღარი შავი კედლები!

(აჩრდილი გაჰქრება. მზეჭაბუკი ტახტზე დაეცემა და ქვითინებს. შემოდის სასოწარკვეთილება).

სასოწარკვეთილება

ჰო, ეგრე, ეგრე იტირ-იკვნესე,
გულის ვარამი ცრემლებში ლესე...
ვისთვისაც გმინავ,
მას ვერ იხილავ.
აქ, ამ საკანში, ოხრათ ჩაკვდები, —
კუბოთ გექნება შავი კედლები!

მზეჭაბუკი (მწარეთ)

მე აქ ჩავკვდე, დავიმარხო
და შენ კი იქ, ჩემო ხალხო,
ჭაობში და სიბნელეში
უნდა იკვნეს-ივაგლახო?!

ოჰ!.. ეს არის ჩვენი ბედი,
საუკუნით განაჭედი?!
როდის გვიმღერს ხსნის სიმღერას
იმედისა თეთრი გედი?!

(შემოდის იმედი)

ი მ ე დ ი

გმირო! ნუ უგდებ ყურს მაცდურ ხმასა:
თავს უკვდავების გვირგვინი გიმკობს.
თამამათ გაჰყევ შენს გულისთქმასა,
მოვალეობა საითაც გიხმობს!
შავი კედლები ვერ დაგიჭირავს,
მტკიცეთ იყავი, ნუ კარგავ იმედს:
ვინც ხალხისათვის სიცოცხლეს სწირავს,
მის წინ სიკვდილიც კი მოიხრის ქედს!
მაშ წინ თამამათ! ხსნის განთიადზე
აღსდეგ, ბნელეთის შემუსრე კარი!
ნუთუ ვერ ხედავ ჩაგრულთა ცაზე
უკვე გამოკრთა ძლევის ცისკარი?!

მზეჭაბუკი (აღტაცებით)

შორს ჩემგან, შავო ფიქრებო!
კმარა, რაც წიწკნეთ ეს გული!
აწ ვერვინ ისმენს ჩემს კვნესას,
თუნდ ცეცხლშიც დამწვან ტანჯული!
იმედის მთაზე კვლავ შევდექ,
ხელთ ვიპყარ რწმენის მახვილი,
დავწყევლე უიმედობა
და მისი ამოძახილი!
დეე დამჩხავლე, ყორანო,
თავს დამხითხითე, სატანავ:
ტანჯვის ქარ-ცეცხლში ნაწრთობსა
ძალმიძს ყველაფრის ატანა!
დღეს თუ თქვენ ლხინობთ, ზეიმობთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ მე გადვიხდი დღეობას:
სატრფოს ტახტს დავსვამ, ქვეყანას
ვაჩვენებ მისსა მზეობას!

(კუთხეში დაჟანგებულ ჯაჭვს დაინახავს და გახარებული აიღებს).

ჯაჭვო! თუ ხშირათ ბორკილობას სწევ,
ხსნაც შეგიძლია ხან და ხან, ვგონებ.

(სარკმელთან მივა, გამოგლეჯს რკინის ბადეს და ჯაჭვს გადააბამს).

ბნელო საკანო! აწ კი მშვიდობით,
ჩემს ხმას ვერასდროს ვერ გაიგონებ.

(ჩაჰყვება ჯაჭვს და იპარება)

თავი მესამე

(ახალ გათენებულია. ტყის პირას სერზე სდგას მგოსანი ჩანგით ხელში და ღიღინებს).

მგოსანი

ფიქრმა შეიპყრო გული, გონება,
სული მტერს მაინც არ ემონება
ის ამაყია, როგორც არწივი,
თავს რომ ევლება თვალ-უწვდენ მთებსა,
უყვარს ლაჟვარდი, უყვარს მზის სხივი
და სანავარდოთ მძლავრათ შლის ფრთებსა.

სურს ჯოჯოხეთის დაამხოს ბჭენი,—
იხილოს დილა, შვების მომფენი!

—

როს შემოდგომის ქარი სისინებს,
მზე სქელ ღრუბლებში წვება, იძინებს,
ყვითლდება მდელო, ხუნდება ველი,
ტყე იძარცვება, სცვივა ფოთოლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამჭკნარ ვარდს ყელზე ეხვევა გველი,
ბუნება ჰკვნესის, როგორც ობოლი,—
სული კი მაინც გაზაფხულს ხედავს,
მომავლის გრდემლზე ბრძოლის ჰიმნს სჭედავს!

(ქვაზე ჩამოჯდება. სახეზე მოუთმენლობა ეტყობა).

ოჰ!.. სად არიან? რათ არ მოდიან?
რაა მიზეზი დაგვიანების?
ეგება კიდეც გადაიფიქრეს?
ეგებ შიში აქვთ შავი ძალების?
თუ ეს ასეა, ცავ! გეაჯები,
რომ დაიჭექო, დაიგრიალო,
მონათ ქვეყანას თავს დავსცე მეხი,
გაანადგურო! გაატიალო!
ან კი რათ უნდათ მონებს სიცოცხლე,
რათ უნდათ ხედვა, რათ უნდათ ნიჭი,
როს ტანჯვის უღელს პირუტყვებრ ზიდვენ,
როცა ვერ ბედვენ წინ წასდგან ბიჯი!?

(ხალხი გამოჩნდება. მგოსანი გახარებული წამოვარდება).

ახ, სად იყავით ამდენხანს, ძმებო?
ლოდინით გული გადამელია:
ხომ იცით ამდროს წამი საათობს,
საათი—დღეობს, დღე კი—წელია.

ხ ა ლ ხ ი

სიბნელის გამო გზა აგვერია...

მგოსანი (აწყვეტინებს).

რაც მოხდა, მოხდა... დრო საშურია.
ნუ ვიგვიანებთ, საქმეს შევუდგეთ,
ეგებ ასრულდეს, რაც სულს სწყურია.
გუშინ გითხარით და ახლაც გეტყვით:
ამაო არის ცრემლების ფრქვევა;
ტანჯვის უღელი, წამების ჯვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთქმა-ტირილით არ დაიმსხვრევა.
მზეჭაბუკმა სთქვა: „ხსნა ბრძოლაშია“,
და ჩვენც ვიბრძოლოთ, გავსწიოთ წინა:
აი, ეს არის ჭეშმარიტი გზა
ყველგან, ყოველთვის, გარეთ, თუ შინა!
თუმც მზეჭაბუკი დღეს სააკნში ზის,
ჩვენშიც ბევრია მისებრ გულადი
და ჩვენც მათ შორის დაუყონებლივ
ამოვირჩიოთ, ძმებო, ბელადი.
თქვენ რაღას იტყვით?

ხალხი (ერთხმათ).

ამოვირჩიოთ.
ჩვენც ხელთ ავიღოთ ბასრი მახვილი
და უკან გავყვეთ, რომ მოვიპოვოთ:
ან გამარჯვება და ან სიკვდილი!
(მოისმის მომავალი მზეჭაბუკის სიმღერა).

მზეჭაბუკი

მუდამ ასე არ იქნება,
მოვა ჟამი, დაჭკრავს წამი,
სიხარულის დამჭკნარ ყვავილს
გააცოცხლებს შვების ნამი!
უკვდავია ხალხის ძალა,
უკვდავია ხალხის სული:
დღეს თუ კვნესის, ხვალ იმღერებს
ციურ ცეცხლით აგზნებული!
და წინ გასწევს, წმინდა მიზანს
უნანებლათ თავს შესწირავს
და გაქცეულ ნეტარებას
მოეწევა, დაიჭირავს!

ხალხი (გაკვირვებით)

— ნეტა ვინ არის?!

— არ ვიცი, მაგრამ
ხმა მზეჭაბუკის ხმას კი ჩამოგავს...
-- ვინ იცის, ეგებ გასტეხა კოშკი
და ახლა ჩვენსკენ მოჰქრის, მოგოგავს...

(ერთხმათ)

— ახ, ნეტა მართლა ის იქნებოდეს!

(შემოდის მზეჭაბუკი).

მზეჭაბუკი

სალამი თქვენდა, ტანჯვის შვილებო!
როგორც სჩანს, უკვე გაგიღვიძნიათ
და ემზადებით, გმირთა-გმირებო!
ჰა, მეც თქვენთან ვარ! მომეცით ხელი!
აწ და მარადის ერთად ვიაროთ:
ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი,
ჭირიც და ლხინიც გავიზიაროთ!
ვინც ულალატოს საერთო საქმეს,
სამარადისოთ იყოს წყეული,
ვერ მოიპოვოს სულის მშვიდობა,
მუდამ კვნესოდეს, როგორც სნეული;
ყველა სწყევლიდეს, ყველა დევნიდეს,
არ იკარებდეს არც გარეთ, არც შინ,
შხამ-კბილა გველი გულ-ღვიძლს ულრღნიდეს,
ეზიზღებოდეს თვით დედას...

ხალხი (აღტაცებით)

ამინ!

თავი მეოთხე

(მაღალ მთაზე ამართულ უცხო სასახლის წინ, აყვავებულ წალკოტში, ბროლის ტახტზე ზის შავი დევი. მის გარშემო ფერიებს ფერხული დაუბამთ და უმღერიან, ყოველ შემოვლაზე თითეული მათგანი დაიჩოქებს მის წინ და ყვავილებს შეაყრის).

ფერიები

ცის ლაჟვარდი,
მიწის მოლი,
ცელქი სიო,
ველათ მქროლი,
მთის ნაკადი,
კისკას-ბროლი,
შენ გიგალობს:
„არ გყავს ტოლი!“
ზამბახ-ვარდი,
ახლად შლილი,
ია, ბუჩქს ქვეშ
თავ-დახრილი,
და სოსანი,
კორდს რომ ამკობს,
სურნელებას
გიკმევს, გატკბობს!

ჩვენც, ფერია
მთელი კრება,
რომ დაგიცხროთ
გულის ვნება,—
ყვავილთ გიშლით
ფიანდაზათ
და გიმღერით
ხმა-ტკბილ-ნაზათ!
ნუ მოიწყენ,
გაიხარე,
იცინე და
იხარხარე:
ვიდრე ხელთ გაქვს
„ნატვრის თვალი“,—
გმონებს აწმყო,
მომავალი!

შავი დევი (თავისთვის)

დღეს სულ სხვა გვარი მაქვს წინათ გრძნობა,
თითქო ჩამძახის ხმა იდუმალი:
უბედურება მოჰქრისო შენსკენ,
ვით შევარდენი, სწრაფი და მალი.
წინეთ სხვა იყო: ფერიათ კრიმანჭს
ყურსა ვუგდებდი აღტაცებითა
და მათთან ერთად ვგრძნობდი სიამეს,
ვიმსჭვალებოდი ტრფობის ვნებითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მწარე ფიქრი, ყორნის ფრთიანი,
თავს დამსტრიალებს, დამჩხავის ავათ.
რაა მიზეზი? არ ვიცი, არა:
ცუდი რამ მელის, თუ ვარ მე ავათ?
ახ, ვინ ამიხსნის ამ გამოცანას?
ვინ გამიქარვებს ამ ნაღველს მწარეს?
(შემოდის კოჭლი დევი გაფითრებული)
ჩემო სარდალო! რას იტყვი ახალს,
რომ ესალბუნოს ჩემ გულს მწუხარეს?

კოჭლი დევი (თაყვანისცემით)

გთხოვ, ნუ შემრისხავთ, ჩემო ხელმწიფევ,
თუ სანუგეშოს ვერაფერს გკადრებ.

შავი დევი

თუ ცუდი რამის სათქმელად მოდი,
ფრთხილად: იცოდე არ დაგიმადლებ!
მაინც რა იცი?

კოჭლი დევი

აი, ეს არის
მივიღე ცნობა დასალონები:
მზეჭაბუკს კოშკი გაუტეხია...

შავი დევი (მრისხანეთ)

სად იყვენ მცველნი?! ოჰ, ის მონები!!
ახლა სად არის?

კოჭლი დევი

როგორც გადმომცეს,
საომრათ მოდის, თან მოჰყავს ჯარი...

შავი დევი (მთლად ანთებული).

გასწი! უბრძანე ახლავე ლაშქარს,
რომ შეჰკრან გზები, შეჰკრან მთა-ბარი!
(გამოჩდება მზეჭაბუკი, უკან ხალხი მოსდევს სიმღერით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ა ლ ხ ი

დადგა წამი შურის გების,
ხელთ ავიღეთ ბასრი ხმალი
და მოვდივართ, რომ უკანვე
დავიბრუნოთ „ნატვრის თვალი“.
წინ, წინ მედგრათ, ტანჯვის შვილნო:
ჩვენი არის მომავალი!

—

კმარა დღემდე რაც ვიტანჯეთ,
ცრემლთ ნაკადმა დაგვწვა თვალი,
დროა, აწ ჩვენც გავიხაროთ,
ვნახოთ ქვეყნათ სამართალი.
მაშ, წინ მედგრათ, ტანჯვის შვილნო:
ჩვენი არის მომავალი!

(მათ დანახვაზე შავ დევს სიკვდილს ფერი დაეკარგება და კანკალებს).

მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი

მკრალლო! რათ შეკრთი? რათ აკანკალდი?
გაშინებს განა ჩემი ხანჯალი? (გადააგდებს)
აჰა, ესეც შორს გადამიგდია...
რას უცდი? მოდი, თუ არ ხარ მხდალი!

(ერთმანეთს შეუტევენ. მზეჭაბუკი დასცემს შავ დევს, გულზე ფეხს დაადგამს და აღტაცებით შესძახებს ხალხს).

ხალხო, იხარე! აწ და მარადის
შენი იქნება ის „ნატვრის თვალი“
და მოგანიჭებს კეთილ ცხოვრებას
იმისი მადლი, იმისი ძალი!

(შემდეგ წამოაყენებს შავ დევს).

შენ კი, ბოროტო! აღსდეგ და ამ ხალხს
თაყვანი ეცი მუხლ მოდრეკილი,
ისიც შეგინდობს და შეგითვისებს,
თუმც არის შენზე გულ-გატეხილი.

ის არ იფიქრო სისხლი გვწყუროდეს,
ან ვიყოთ შენებრ გაუმაძღარი,
არა, ჩვენ მხოლოდ სიმართლეს ვეძებთ:
გვინდა დავუდოთ ტანჯვას საზღვარი!

913 წ.

ოქროს კერპი

(ქალაქის შუა გულში, მაღლობ ადგილზე ამართულია ოქროს კერპი და მზის სხივებზე თვალ-წარმტაცათ ელვარებს. მის გარს ფერიებს ფერხული დაუბამთ, უგალობენ და ფერად ყვავილებს უშლიან წინ).

ფერიები

შენ ღმერთი ხარ, ყველა ღერთზე დიადი,
შენ გცემს თაყვანს მოწიწებით ყოველი:
ერი, ბერი და თვით მეფე ზვიადი,
მდიდარი, თუ ქუჩის გლახა, მთხოველი!
შენ გიგალობს ქებათ-ქებას მგოსანი
და მხატვარიც შენთვის ხმაროობს ყალამსა,
შენთვის ცეკვავს მელპომენა ფრთოსანი...
შენ გიძღვნიან დიდებას და სალამსა!
მძლეთა მძლე ხარ!.. შენი ნება-წადილი —
კანონია, გარდუვალი და მტკიცე!..
ბრძანებლობ და კიდეც შეგწევს ქადილი,
რომ ქვეყანა მტვრათ აქციო, ცეცხლს მისცე!
დიდება შენ, დიდება შენ, ძლიერო!
ფიანდაზათ გიშლით ცისფერ ყვავილებს.
ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას, ციერო,
და ჩვენც გიმღერთ ჰანგებს ნაირ-ნაირებს.

ოქროს კერპი (თავისთვის)

დღეს მე მმორჩილებს ცა და ხმელი, ყოველი არსი,
გაისმის ყველგან ჩემი ქება, ჩემი დიდება,

ჩემ სადღეგრძელოთ ხელთ უპყრიათ ფიალა, თასი,
ჩემი სახელი, ჩემი ძალა დღით დღე იზრდება.
მაგრამ იყო დრო, როცა ქვეყნათ არავინ მცნობდა,
მიწაში ვეგდე შეუმჩნევლათ, მფარავდა ბნელი
და, ვიდრე ერი ჩემს ღირსებას კაგათ იგრძნობდა,
არვინ იცოდა მსოფლიოში ჩემი სახელი.
მაგრამ მოვედი და ავმართე მრისხანე ლახტი
და ძირს დავამხე ერთის დაკვრით სხვა ღმერთთა ტახტი...
დღეს მე ვარ ღმერთი! მე მმორჩილებს ერი ყოველი:
საბრალო მონა, თუ ბატონი, სისხლის მწოველი.

(შემოდის მეფე).

მ ე ფ ე

ქვეყნის მპყრობელო! შენთვის იბრძვის ჩემი მახვილი,
სისხლით შევღებე კიდით კიდე, მთელი ხმელეთი,
ზღვას უსწორდება ქვრივ-ობოლთა ცრემლი დაღვრილი,
სინათლის ნაცვლად გავამეფე ყველგან ბნელეთი...
კვლავ შემოგწირავ უთვალავ მსხვერპლს, ოღონდ მწყალობდე,
რომ შენგან მოძღვნილ წყალობითა გრძნობა-ვმთვრალობდე!

(შემოდის მგოსანი).

მგოსანი

მძლეთა მძლეველო! ჩემი ჩანგიც შენთვის ქებერს მარად,
შენთვის შევკონე ლამაზ ლექსთა თაიგულები
და მიმოვფანტე უცხო ხმებათ მთაში, თუ ბარად,
რომ თაყვანს გცემდენ შენი ტრფობით დაისრულები...
კვლავ გიმღერ ტკბილათ, დაუცხრომლათ, ოღონდ მწყალობდე,
რომ შენგან მოძღვნილ წყალობითა გრძნობა ვმთვრალობდე!

(შემოდის მოძღვარი).

მოძღვარი

ყოვლად ძლიერო! მეც შენ გიკმევ გუნდრუკს საამურს,
შენთვის აღვავლენ წმინდა ლოცვებს საკურთხეველში,
გაქებ, გადიდებ, გიმორჩილებ მტრობასა და შურს,
მსურს შენ მეფობდე მხოლოდ მზიურ სასუფეველში...

კვლავ შენთვის შევთხზავ ფერად ლოცვებს, ოღონდ მწყალობდე,
რომ შენგან მოძღვნილ წყალობითა გრძნობა-ვმთრალობდე!

(შემოდის სოვდაგარი).

სოვდაგარი

სწორუპოვარო! მეც შენ გმონებ, გეტფრიალები,
შენა ხარ ჩემი სალოცავი, ჩემი ღვთაება,
გიცქერ და ცქერით ვერ ძღებიან ჩემი თვალები:
ეს ჩემი გული სამუდამოთ შენთან დაება.
შენ შემოგწირავ ცოლს, შვილს, მოძმეს, ოღონდ მწყალობდე,
რომ შენგან მოძღვნილ წყალობითა გრძნობა-ვმთრალობდე!

ოქროს კერპი (თავისთვის)

ჰა მაგალითიც: ჩემს წინაშე დახოხავს ყველა,
ძლიერი მეფე, თუ მსახური ხელოვნებისა,
სოვდაგარი, თუ სულის მამა,—ეს კუდა-მელა,—
მქადაგებელი ხალხთა შორის ქრისტეს მცნებისა!..

(შემოდის ქალი).

ქ ა ლ ი

ცის და ქვეყნის მბრძანებელო! ჰა, ეს საროს ტანი
შენთვის ნაზობს და ირხევა, გულის თან წამტანი.
შენთვის ელავს ბროლის მკერდი, ბროლის ბორცვიანი...
შენთვის მინდა კოცნა მწველი, კოცნა ცეცხლიანი!
ვნების შარბათს გასმევ მარად, ვნებით განეტარებ,
ვნების ფრთებით აგიტაცებ, ლაჟვარდს მოგატარებ.
დე დაიწვეს შენს წინაშე მსხვერპლათ ჩემი გული,
ოღონდ, ოღონდ მომანიჭე ფუფუნება სრული!

ოქროს კერპი (ამაყათ)

ვინ შემედრება ქვეყანაზე?! ვინა მყავს ტოლი?!
თვით ვენერაც კი ჩემს წინაშე ქედ-მოხრილია!
ჩემთვის ფერადობს ყვავილები, ზურმუხტობს მოლი!
ჩემს ლექსიკონში სევდა-დარდი ამოშლილია!

ვის შეუძლია, რომ მეურჩოს, რომ მეთავხედოს?!
ვის შეუძლია ჩემი მტრობა, ვნება გაბედოს?!
(შემოდის მუშა ჩაქუჩით ხელში).

მ უ შ ა

მე!! მე დავამხობ სამუდამოთ შენს ძლიერებას,
კაცობრიობას მოუპოვებ ბედნიერებას!!

ოქროს კერპი (დაცინვით)

ხა, ხა, ხა, ხა, ხა! მიწის ჭიავ, ნუ თუ გგონია
შენებრ მღილი ვარ უსუსური, შე საძაგელო?!

მ უ შ ა (მკვახეთ)

გიცნობ ვინცა ხარ, ბევრჯერ, ხშირათ გამიგონია
შენი საქმენი საგმირონი და სასახელო:
მთელი სამყარო, სიტურფით და შვენებით სავსე,
სისხლით და ცრემლით შენ არ მორწყე, გაანადგურე!?
ციხე, ციმბირი ტანჯულ ხალხით შენ არ გაავსე
და ყველგან გლოვა, ვაი, ვიში დაასადგურე!?
შენ არ გაჭედე ბორკილები, თოფ-იარაღი!?
ღვთიური ცეცხლი კაცთა გულში შენ არ დაავსე
და მიუსიე ერსა ერი, როგორც ყაჩაღი!?
ჩვენი ცხოვრება შხამ-ნაღველით შენ არ ააავსე!?
გულზე მატყვია, საზიზღარო! შენი ბრჭყალები
და კვლავ არ მინდა, რომ გიცქერდეს ჩემი თვალები;
უნდა დაემხო!!.. (ჩაქუჩს შეუმართავს).

ოქროს კერპი (ტაშს შემოჰკრავს)

ეი! მცველნო! შემოდით ჩქარა!
სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეთ ეს სალახანა!
(მცველები შემოცვივიან და ატყვევებენ).

მ უ შ ა

მე ჩამომახრჩოს და გგონია შენთვის ეს კმარა?!
ტყვილათ ირჯები! დღეს სხვა დროა და სულ სხვა ხანა:
„სალახანებით“ სავსე არის მთელი ქვეყანა!
(გაჰყავთ, მაგრამ მის ნაცვლად ორი სხვა შემოდის ჩაქუჩებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს კერპი

თქვენ რაღა გნებავთ?!

მუშები

რაც ნებავდა ჩვენს ტანჯულ ძმასა,
რომელიც წელან გაგზავნე იქ, სახრჩობელაზე!..

ოქროს კერპი (მრისხანეთ)

თქვენც გაგაყოლებთ ამ საათში უკანვე მასა!..
(კვლავ ტაშს შემოჰკრავს)

მუშები

ვერ შეგვაშინებ! შენი რისხვა არ სჭრის ყველაზე!

(მცველები კვლავ შემოიჭრებიან და მათაც ატყვევებენ, მაგრამ მათ ნაცვლათ ოთხი სხვა შემოდის. მათაც ატყვევებენ, მაგრამ შემდეგ რვა შემოდის და ასე, ამგვარათ თანდათან ზღვავდება მუშათა ჯარი. თავზარ დაცემული ოქროს კერპი შიშით კანკალებს. ამ დროს ერთი მუშათაგანი ჩაქუჩს შემართავს და ერთი დაკვრით მტვრათ აქცევს ოქროს კერპს. მის ნანგრევებზე მშვენიერი ასული აიმართება, ხელში ზეთის ხილის რტო უჭირავს).

მშვენიერი ასული

მშვიდობა თქვენდა აწ და მარად უკუნისამდე,
გფარავდეთ ღმერთი სიმართლის და სიყვარულისა!

მუშები (აღტაცებით)

დიდება შენდა, შუქთა მფენო მიწიდან ცამდე,
მომნიჭებელო სიცოცხლის და სიხარულისა!
დღემდე შენ მხოლოდ ფერადობდი ჩვენს ოცნებაში,
მაგრამ თვალი კი ვერ გხედავდა მის სატრფიალოს
და გიყიოდით, ვით დაჭრილი არწივი მთაში
უყივის სატრფოს, რომ ვარამი გაუზიაროს.
ახლა ჩვენთან ხარ, მოვლენილო მფარველად ჩვენდა,
და ჩვენც გიგალობთ: მზის ასულო, დიდება შენდა!!

1917 წ.

ლეგენდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეთამზე

1

ვის უნახავს მზეთამზე,
სილამაზის ხატება?
თავის შვენიერებით
ედემს აღემატება.
ერთხელ თვალი თუ მოჰკარ,
გულში ჩაგეხატება.
მკერდ მოფარჩულს, ყელ-
ზურმუხტს,
ლურჯ სივრცეში ასულსა,
ორ ბუმბერაზ მთათ შორის
ნაზ დედოფლათ დასმულსა, —
სხივთ გვირგვინი ადგია
ისე, ვით მზის ასულსა!
სარკეთ ფირუზი ცა აქვს
და სავარცხლათ — ზეფირი;
ფარეშათ ცისკარი ჰყავს
და ლამაზობს მზეპირი...
იცით, მაზე რას ამბობს
გადმოცემა ზეპირი?

2

ძველათ, უხსოვარ დროში,
როს მზე მოსწყდა მთვარესა, —
ერთი კოშკი ამკობდა
ამ სამოთხე არესა...
თავს ვარსკვლავთ ჯარს იხვევდა
სხივებ მონარნარესა.
შიგ ცხოვრობდა მოხუცი,
ჰყავდა მხოლოდ ასული,
ტან-ლერწამი, პირ-ბადრი,
როგოც ალვა, ასული...
მას ნაკლს ვერ უპოვიდა
თვით დემონი ავსული.
„მზეთამზესა“ ეძახდენ
და მართლაც რომ მზეობდა.
მისი თვალთა ელვისგან
ბნელი ღამეც დღეობდა.
მიწიერ არსს არ გავდა,
ვით ცის შვილი, ზეობდა.
როს დილის მზე, ცხრა-
თვალა,
სხივებს შორს გასტყორცნიდა,
ბამბის ქულა თეთრ ღრუბლებს
ვარდისფრად ჩაჰკოცნიდა
და თმა-ხუჭუჭ მწვერვალებს
ნისლთ ფარდას ჩამოხსნიდა, —
ისიც ცივ ნაკადულებს
დაუვლიდა ცქრიალით,
რაკრაკებდა, ფოთლები
ბანს აძლევდენ შრიალით

და სტკბებოდა მიდამო
უცხო ჰანგთა წკრიალით.

3

ერთხელ, როცა მზეთამზე
ჩანჩქერში ბანაობდა,
ხან ტკბილად კისკისებდა,
ხან ჩუმათ ნანაობდა
და მისი გიშრის თმები
ტალღებში ქანაობდა, —
თვალი მოჰკრა შორით მზემ,
ტრფობის ქსელში გაება;
შესდგა, დიდხანს უცქირა,
თითქოს მასთან დაება.
ბოლოს გზნებით შესძახა:
„შენ ხარ ჩემი ღვთაება!“
შვიდ-ფერ სხივთ თაიგული
ოქროს ძაფით შეჰკონა,
ძღვნათ მიართვა სულის სწორს;
ისიც ზედ დაეკონა;
თუ უეცრათ დასწვავდა
ბედკრულს ეს რა ეგონა.
მაგრამ რა მიეკარა,
ვით ალი აპრიალდა,
დადნა და ალმასებათ
მიწაზე დაცქრიალდა
და სხივებზე ათასფრათ
აენთო, აციალდა.
და მას შემდეგ იმ ადგილს
მზე თვალს ველარ აშორებს,
მუდამ თავს დაქათქათებს,
ჯანყს და ბურსს აშორებს,
ლალ-ზურმუხტებით ჰქარგავს,
ედემსაც კი აშორებს!

წაღვერი 1917 წ.

ერის სულის მეფე

(ძღვნათ აკაკის)

I

ერის შვილი, ერის წყლულზე
ნაშობი და გამოზრდილი,
ჩანგით ხელში იდგა ერში
და მღეროდა ენა-ტკბილი:
„ნუ, ნუ გძინავს, გაიღვიძე,
თავი შენი იცანიო,
დაუკვირდი შენს ჭირ-ვარამს,
დაისახე მიზანიო!
უდრტვინველათ რომ დადიხარ,
თავს რომ უხრი კირთებასო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რატომ ვერ გრძნობ, რომ ასრულებ
მტრის სურვილს და მტრის ნებასო?!
ვინც არ იცავს თ[illegible]ის უფლებას,
თავისთავის მტერიაო
და ფურცლებზე ისტორიის
მკვდართა რიცხვში სწერიაო!"
მაგრამ ერი, ქედ-მოხრილი,
მისცემოდა საღათას ძილს
და ყურს სულაც არ უგდებდა
მგოსნის სიტყვას, ამოძახილს.
ზოგი ოქროს მოეხიბლა,
ზოგიც კიდევ—სხვა გვარ ჯილდოს
და ამბობდა: „რას დავეძებ
ერს, თუნდ ცეცხლიც მოეკიდოს!"
სხვებს სიბნელე უმეცრების
უხუთავდა სულს და გულსა
და რა ექნათ, არ იცოდენ:
ღვრიდენ ცრემლთა ნაკადულსა.
მგოსანი კი, გულ-მოკლული,
ეძლეოდა ფიქრებს მწარეს,
ხან სწყევლიდა, ხან კი ხსნის ღმერთს
ავედრებდა მწობელ მხარეს.

II

ერთხელ, როცა მარტოთ მარტო
იჯდა, სავსე მწარე გრძნობით,
ერის ბედზე ოცნებობდა,
გამსჭვალული მისი ტრფობით,—
ხმა მოესმა იდუმალი:
„თუ გსურს მისწვდე ერის გულსო,
მიაშურე გმირ ამირანს,
კლდეზე მაგრათ მიჯაჭულსო;
სთხოვე ცეცხლი, რომელიც მან
მაღლა ზევსსა მოსტაცაო,
აქ, მიწაზე, მოიტანა,
განირისხა მისთვის ცაო;
და ის ცეცხლი, მოგუზგუზე,
მარად გულით ატარეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაშინ კი შენი სიტყვაც
შეიქნება მგზნებარეო!“
და მგოსანიც გზას გაუდგა,
სიხარულით ფრთებ-შესხმული...
ვინ იტყვის, რას განიცდიდა
ოცნებაში მისი სული?

III

თაღათ შეკრულ ლურჯ სივრცეში,
სადაც ღრუბელთ გუნდი ჰფრინავს,
ვარსკვლავები ციმციმობენ,
მთვარე შუქს ჰფენს და მზე ბრწყინავს,—
ბროლის ტახტზე იჯდა ზევსი,
ხელში ეპყრა სავსე თასი,
გარს ეხვია მრავალ წყებათ
სხვა ღმერთების მთელი დასი.
თაყვანს სცემდენ, ადიდებდენ,
უგალობდენ ქებათ-ქებას
და, მპყრობელი ცის და ქვეყნის,
ეძლეოდა ნეტარებას.
მაგრამ ამ დროს მის წინაშე
წარსდგა ჰერმეს, დასძრა ენა
და ამბავი თავხედ მგოსნის
დაწვრილებით მოახსენა.
გაწყრა... ბრძანა: „მზევ! დაბნელდი,
მოიხვიე რიდე პირსო,
რომ წვდიადმა შთანთქას მიწა,
გადაშლილი იქ, ჩვენს ძირსო!
ჯოჯოხეთო! შენც ამხედრდი,
ავსულთ ჯარი შეყარეო,
მგოსანს გზები შეუკარი,
ჭირზე ჭირი შეჰყარეო!“
და დაბნელდა ყველაფერი,
გაბატონდა ბნელი ძალა,
დღე და ღამის კანონ-წესი
ერთიანათ შეიცვალა:
აღარც ზღვა ჩნდა, არც ხმელეთი,
ვერ ხედავდა ვერას თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად არ გინდა, იქ დაძრწოდა
„მაჯლაჯუნა“, „ქაჯი“, „ალი“...
მგოსანი კი მაინც კიდევ
მიდიოდა, არ დრკებოდა,
თუმც ათასგვარ დაბრკოლებას
და ხიფათსა აწყდებოდა.
მაგრამ შიში ვერ იპყრობდა,
ვერ აკრთობდა ავ სულთ მახე:
ბნელ გზას რწმენა უნათებდა,
როგორც მიჯნურს სატრფოს სახე!
და ამ გვარათ, წლიდან წლამდე,
ბევრი კლდე-ღრე გადალახა,
კავკასიის ქედს მიადგა
და ხმა-მაღლა გადასძახა:
„ამირანო! შენ დაგეძებ
ტყე და ველათ გაჭრილიო,
მაგრამ, ვაჰმე, ვერსად გპოვე—
და გული მაქვს დაჭრილიო!
შენს ძებნაში განვიცადე
ბევრი ტანჯვა, ჭირი მეო...
სად ხარ, სადა?! ხმა გამეცი,
გმირო, შენი ჭირიმეო!“

IV

დილა იყო. ცას ღრუბელი
გადაკვროდა კუპრებრ ბნელი,
სჭექდა, ჰქუხდა, ირყეოდა
ტყე, მინდორი, მთა და ველი.
თეთრ ჩადრ მოსხმულ კავკასიონს
მიებჯინა ცისთვის თავი,
ელვა ყელზე ეხვეოდა
და ბურავდა ნისლი შავი.
იქვე, კლდეზე მიჯაჭული,
ფეხზე იდგა ამირანი,
არწივი გულს უკაწრავდა,
დასჩხაოდა ყვავ-ყორანი.
მაგრამ გმირი არ დრკებოდა,
არ იხრიდა მონურათ ქედს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცას ამაყათ შეჰყურებდა,
მოთმინებით იტანდა ხვედრს!
და მოესმა მას ძახილი,
ნაღვლით სავსე, როგორც კვნესა,
გაუკვირდა, რადგან მისთვის
უჩვეულო იყო ესა.
— ეი, ვინ ხარ? — დაიძახა,
მოდი, თვალით დამენახე;
მას აქეთ, რაც აქ მიგჯაჭვეს,
არ მინახავს კაცის სახე.
წინ წამოდგა მყის მგოსანი,
დაბლათ თავი მოუხარა.
ამირანიც მიესალმა,
თვალი თვალში გაუყარა.
შემდეგ ტკბილათ გამოკითხა
სოფელ-ქვეყნის კარგი, ავი
და მგოსანმაც გადუშალა
წინ სურათი შავზე შავი.
ბოლოს ჰკადრა: „გმირთა გმირო!
სათხოვარი რამ მაქვს დიდი.
— ჩემ ხელთ თუა, აგისრულებ,
სთქვი, სთქვი ოღონდ, ნუ გაქვს რიდი.
— მიწყალობე მეც ის ცეცხლი,
შენ რომ ციდან მოიტანე,
რომ ავუნთო მით ერს გული,
თვისი კერა და სავანე
მოვაგონო, შევაყვარო,
სამოქმედოთ აღვძრა ყველა,
თორემ ახლა, ქედ მოხრილი,
სულს ლევს, ჰქრება ნელა ნელა!
არ სჭრის მასზე ჩემი სიტყვა:
გულში უდევს ყინულთ ლოდი!
გმირო! გთხოვ, ნუ გამაწბილებ:
მიწყალობე რასაც გთხოვდი!
გმირსა გული აუტოკდა,
ცას ეწია სიხარულით
და მგოსანს ყელს მოეხვია,
გადაკოცნა სიყვარულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან შესძახა: „ცეცხლი მისთვის
მოვიტანე ციდან მეცა,
რომ ტანჯულ და გზა-დაბნეულ
ერისათვის გადამეცა,
მაგრამ ზეცა გამირისხდა,
აქ მიმჯაჭვა, ამ შავ კლდეზე,
და სასჯელსა, რომ მანანოს,
მიორკეცებს დღიდან დღეზე.
მაგრამ მე ეს როდი მაკრთობს,
სულ სხვა არის ჩემი დარდი:
რომ მიზანს ვერ მივაღწიე,
ვერ გავფურჩქნე ერის ვარდი!
და თუ ამას შენ იკისრებ,
ესოდენი შეგწევს ძალი:
ჰა, წაიღე!.. მომიცია!—
და გადასცა ნაღვერდალი.
ის მგოსანმა გულს ჩაიდვა,
მოემატა სულის ძალი
და გამოჰკრთა მის თვალებში
ღვთაებრივი ნაპერწკალი.

V

კვლავ ეწვია მშობელ მხარეს,
კვლავ მომართა ტკბილათ ჩანგი,
სიმთ ჩამოჰკრა, აეფერა,
შორს გაისმა მწველი ჰანგი.
ცეცხლის სიტყვა გულში მოხვდა
ერს, გონება დაბნელებულს,
გამოფხიზლდა, ნათლად მიხვდა,
თუ რა ჭირიც სჭირდა ვნებულს,
და ამაღლდა, მტვრათ აქცია
უმეცრების ხუნდ-ბორკილი:
სულის მეფეთ აირჩია
მან მგოსანი ენა-ტკბილი!..

ზღაპრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფულის ძალა

ერთხელ ქრისტემ მოისურვა,
რომ გაეცნო ხალხი:
გლეხათ იქცა, მოიხვია
თავზე ჩაბალახი;
ხელში ჯოხი დაიკავა,
პირში — ყალიონი,
გზას გაუდგა, რა გამოჩნდა
ცაზე ალიონი.
გლეხს მიადგა, — მეზობელო,
მიქენ საქმე ძმური,
შიმშილისგან სული მძვრება,
მიწყალობე პური.
შენც გლეხი ხარ, მიწის მუშა,
ჩემებრ ჭირ-ნახული,
და მრწამს, რომ სხვის გაჭირ-
ვებას
იგრძნობს შენი გული.
გლეხმა თავით ფეხებამდე
აათვალიერა
და შემდეგ კი უპასუხა
დამშვიდებით, ნელა:
— პური კი მაქვს, მაგრამ
მუქთად
რათ დაგითმო, რისთვის?
დღეს ხომ იცი — უფულოთ
ხელს
არ ანძრევს ძმა ძმისთვის.
ქრისტეს ღიმი მოერია,
მაგრამ არა სთქვა რა,
გულ-ნატკენი მოტრიალდა,
ფეხი ააჩქარა.
მღვდელს ეწვია, მოკრძალებით
უთხრა: — მამავ სულის,
ვიცი, რომ შენ არ გექნება
ინტერესი ფულის;
გაჭირვებულს შეეწევი
ლატაკს შეიცოდებ...
და მეც მიტომ გიახელი,
შენს წინაშე ვგოდებ.
ვახ, მეუღლე გადამეღო,
განუტევა სული;
მინდა მიწას მივაბარო
ის სულ-ცხონებული.
ჰქენ სიკეთე, დამიმარხე
ქრისტიანულ წესით.
— მებრალები, — უპასუხა
წუწუნით და კვნესით, —
მაგრამ უნდა გითხრა, შვილო:
ეს არ იცი განა,
რომ ვერ შევა სამოთხეში
მკვდარი მაგისთანა!?
ჩემი ლოცვა მაშინ გასჭრის,
დაძლევს ცოდვას ავსა,
როცა ცალკე სამარხს მომცემ,
ცალკე საწირავსა.
ქრისტეს ღიმი მოერია,
მაგრამ არა სთქვა რა,
გულ-ნატკენი მოტრიალდა,

ფეხი ააჩქარა.
ბაზრისაკენ გაეშურა,
აჰყვა ფართლის დუქნებს,
სადაც თავი მოეყარათ
ვაჭრებს, კისერ-მსუქნებს.
—— რას ინებებთ? — ჰკითხა
ერთმა
მოკრძალებით დიდით
და თან შიგნით შეიწვია
საუბარით ფლიდით.
— საპერანგე ნარმა მინდა
ერთი ექვსი ადლი,
დამპალი არ შემატყუო,
თუ გრწამს ქრისტეს მადლი.
აბა, ბიჭო! — შეუძახა
ნოქარს, — დააჩქარე!
თან ანიშნა ჩუმათ თვალით,
სადაც ეწყო მდარე.
— მთლად დუნია მოიარო, —
უთხრა, — ამგვარ ფართალს,
ვერსად ნახავ, ვერ იშოვნი,
გკადრებ სიტყვას მართალს.
მოუზომა, ხუთი ადლი
მისცა ნაცვლათ ექვსის
და თან, რომ არ შეენიშნა,
მოუყვა მას ეს, ის.
ქრისტეს ლიმი მოერია,
მაგრამ არა სთქვა რა,
გულ-ნატკენი მოტრიალდა,
ფეხი ააჩქარა.
სასამართლოს მიაშურა,
იმისკენ ჰქნა პირი
და შესჩივლა მოსამართლეს
თავის გასაჭირი.
მუხლ-მოდრეკით შეევედრა,
სამართალი სთხოვა,
მაგრამ აქაც მარტოთ მარტო
ფულის ძალა ჰპოვა.
სთქვა: — უგნური ადამისძე
გადამცდარა გზაზე,
ღმერთად ფული გაუხდია,
სცურავს ცოდვის ზღვაზე!
უძღებ გულში ჩაჯდომია
ბოროტების გველი
და შხამს ანთხევს — მოუწამლავს
არსებობის ველი!
სთქვა და მყისვე გაჰქრა იგი,
მზის სხივს აჰყვა თანა,
და ფულს დარჩა სათარეშოთ
შემდეგ ეს ქვეყანა.

გლეხი

1

ერთ მიყრუებულ
სოფლის კუთხეში
ცხოვრობდა გლეხი,
ტლანქი, უხეში.
შრომობდა დღისით,
შრომობდა ღამით,
მაგრამ ვერაფერს
ხდებოდა ამით.
სიღარიბეში
სძვრებოდა სული:
არც მჭადი ჰქონდა,
არც გროში ფული.
კარებზე უდგა

ყოველ დღეს გზირი,—
არ შორდებოდა,
ვით სნეულს ჭირი.
— ეს სახელმწიფო,
ეს დრამის ფული...
ესმოდა მუდამ,
უწუხდა გული.
აქ არვინ ჰყავდა
ნუგეშის მცემი:
ცისკენ მიჰქროდა
მის ფიქრთა გემი.
მისგან ელოდა
ხსნასა და შველას
და თაყვანს სცემდა
წმიდანებს ყველას.
მაგრამ მისდევდა
თვეს თვე, წელს წელი,—
არვინ ჩნდა მისი
შემწყნარებელი.
ბოლოს ზეცაზეც
გაუტყდა გული,
გაუორკეცდა
სევდა და წყლული.

2

გავიდა ხანი.
მიეცა შვილი,
რომ მოენათლა
უნდოდა, ჩვილი;
მაგრამ ნათლიად
ვერვინ იშოვა:
ყველამ უარჰყო,
ვისაც კი სთხოვა.
სთქვა: „მიტომ არვინ
მკადრულობს ალბათ,
რომ ღარიბი ვარ,
არა მაქვს ჭარბათ
პური და ღვინო,
გულის სალხინო,
ყველა გავაძღო,
ყველა ვალხინო.
მქონოდა აბა
ესე ყოველი,
არ ვყოფილიყავ
ლუკმის მთხოველი,—
მაშინ ბატონ-კაცს
დამიძახებდენ,
ჩემს მოყვრობას თვით
განიზრახებდენ“...
დასწყევლა სოფლის
ადათი, რიგი,
და გზას გაუდგა
შორისკენ იგი.

3

მიმავალს კაცი
შემოხვდა გზაზე,
ჰკითხა: „სად მიხვალ?
ან ნაღვლობ რაზე?“
გლეხმაც აუხსნა
თავისი დარდი,
წინ გაუშალა
შავ ფიქრთა ვარდი.
მან ანუგეშა,
ვით მამამ შვილი,
არ დაიშურა
სიტყვები ტკბილი.
და ბოლოს უთხრა:
„თუ არ მდებ კილსო,
მე მოგინათლავ,
ძამიავ, შვილსო“.
კეთილი,— უთხრა,—
მაგრამ ჯერ მითხარ:
საიდან მოხვალ
და ანუ ვინ ხარ?“
„ქრისტე ღმერთი ვარ,

ქვეყნათ შუქ-მფენი“...
„არა! არ მინდა
მოყვრობა შენი!
აგერ სრულდება
ორმოცი წელი,
შენს ვედრებაში
მწყდება მე წელი:
ხან სანთელს გინთებ,
ხან გიკლავ კრავსა,
გემუდარები,
გაცოდებ თავსა,—
მაგრამ მე შენგან
ვერას ვეღირსე,
დამივიწყე და
გამწირე ისე.—
და ახლა გინდა
მოყვრათ მიგიღო,
სახლში შეგიშვა,
კარი გაგიღო?
ეს არ იქნება
არასდროს, არა!“—
შესძახა მკვახედ,
გაშორდა ჩქარა.

4

დიდხანს იარა,
იხეტიალა,
გადაიარა
ბევრი ტყე, ჭალა...
და საღამოს ჟამს,
როს ბინდმა დაჰკრა,
სიომ სისინით
ტყეს ფრთები გაჰკრა,—
კვლავ შეხვდა კაცი,
თმა-წვერ-ჭაღარა,
რომელმაც ბარგი
იქვე დაჰყარა
და ჰკითხა გლეხსა:
„სად მიხვალ, ძმაო,
ან შუბლზე სევდა
რათ გაზის ღრმაო?“
აუხსნა გლეხმაც
თავისი სევდა,
უთხრა — ნათლიას
რომ დაეძებდა.
„მე მოგინათლავ,“—
მიუგო მშვიდათ.
„მეც მადლობელი
ვიქნები დიდათ.
მაგრამ ჯერ მითხარ:
ვინახარ შენა?“
„ანგელოზი ვარ,
მცხოვრები ზენა“.
„რას გეძახიან?“
„მიქელ-გაბრიელს.
ვერ ნახავ ქვეყნათ
კაცს ჩემს მადლიერს:
ყველას,—დიდს, მცირეს,
სულელს, თუ ბრძენსა,—
ერთგვარათ ვუსვამ
სიკვდილის ცელსა“.
„ახ, ვენაცვალე
მაგ შენ გულს მართალს,
რომ არ ამრუდებ
სასწორ-სამართალს!“—
შესძახა გლეხმა,
მოხვია ხელი,
შინ წაიყვანა
სტუმარი ქველი,—
გააცნო თვისი
ეზო, სახლ-კარი...
და აქ გათავდა
კიდეც ზღაპარი.

გაუმაძღარი

ერთხელ, მათხოვრათ
გადაქცეული,
ვიდოდა ქრისტე
მარტო, ეული.
გზათ მოეწია
სოფლის მოძღვარსა,
ჩაკურატებულს,
მორგვივით რგვალსა.
სალამი მისცა;
უთხრა: „მამაო,
გაკურთხოს ქვეყნათ
მაღლით ცამაო!.
უცხო კაცი ვარ,
შორით მსვლელიო,
არც თვალი მიჭრის,
არცა ხელიო;
ნაჩუქარი მაქვს
სამი კვერიო,
მაგრამ შენახვა
ვერ შევძელიო;
გთხოვ, ამ აბგაში
ჩამილაგოო,
მაგრამ არც ერთი
დამიკარგოო“.
დასთანხმდა მღვდელი
დიდი ხალისით,
(სულ სხვა განზრახვით,
არ საკადრისით):
ორი ჩაუდო
იქვე აბგაში,
ხოლო– მესამე
იკრა კალთაში.
და გზას გაუდგენ...
მიდიან ნელა,
გლახა მოხუცი,
მღვდელი წვერ-გრძელა.
მიადგენ წყაროს,
ჩუხჩუხას, გრილსა,
კორდს ამწვანებულს,
ხავერდათ შლილსა.
უთხრა გლახაკმა:
ღირსო მამაო!
მოდი დავნაყრდეთ,
თუ გსურს ჭამაო.“
დასხდენ. გლახაკმა
როდესაც ნახა,
კვერთ ერთი აკლდა,
მკვახეთ შესძახა:
„განა შეშვენის
ქურდობა მღვდელსო,
ქრისტეს მოციქულს,
სიწმინდის მცველსო?!“
გაფითრდა მღვდელი,
დაეტყო წყენა:
ფიცით ქრისტე ძირს,
ჩამოასვენა
და დაარწმუნა:
უბრალოა ის,
კვერის შესახებ
მან არა იცის.
რალას იზამდა?
დამშვიდდა გლახა:
რასაც ფიქრობდა,
გულს დაიმარხა.
კვლავ გზას გაუდგენ...
მიდიან ნელა,
გლახა მოხუცი,
მღვდელი წვერ-გრძელა.
და უცბათ გზაზე
ხაზინა ნახეს:
გაეყოთ იქვე
მათ განიზრახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვა მღვდელმა: „მსჯვარი
სწორეთ დავდოთო:
ნაპოვნი განძი
შუა გავყოთო“.
გლახამ მიუგო:
„ეგრე არაო:
ვინაც ის კვერი
მოიპარაო,—
იმასაც ვარგოთ
ერთი წილიო
და ავაცილოთ
გასაჭირიო.
ალბათ შიმშილი
უკლავდა გულსო,
თორემ ქურდობას
ვით იქმდა, კრულსო!?“
მღვდელს გაეხარდა,
ასწია კაბა:
„მე მოვიპარე
ის კვერი აბა!“

სთქვა და ტომარას
ჩასჭიდა ხელი,
ისე, ვით კრავსა
მშიერი მგელი.
გლახაკმა მწარეთ
გადიხარხარა:
რასაც ფიქრობდა,
ველარ დაჰფარა.
უთხრა: „ჰა, ყველა
იყოს შენიო:
მაგრამ ვერ გაძღე
შენი დღენიო!“
და წამსვე გაჰქრა,
გაუჩინარდა,
სიწმინდე ცისა,
ცასვე მიფარდა.
მას აქეთია
ვერ ძღება მღვდელი:
გამოწვდილი აქვს
ორივე ხელი!

მდიდარი და მენახშირე

1

იყო ერთი მდიდარი,
მაგრამ ძუნწი გულითა,
გროშს გროშზე აწებებდა,
ვერ ძღებოდა ფულითა.
ოქრო-ვერცხლის მთა ედგა,
ეპყრა დაბა-სოფლები,
მაგრამ მაინც ცდილობდა—
გაეძარცვა ობლები.
სხვის სუფრაზე თუ იჯდა,
ქეიფობდა გულითა,
შინ კი კმაყოფილობდა
მხოლოდ შავი პურითა.

2

ერთხელ იგი ბაზარში
გამოვიდა დილითა,
ნახა სავსე დუქნები
სანოვაგით, ხილითა.
ხან ამას შეევაჭრა,
ხან იმას ჩაუხველა,
მაგრამ ხმაც არვინ გასცა,
რადგან იცნობდა ყველა.
ეწყინა. გულნატკენი
შეირხა, აიწურა,
მაგრამ რაღას იზამდა?
ისევ სახლს მიაშურა.

წინ შემოხვდა მეთევზე
ხელში ცოცხალ თევზებით.
პირში ნერწყვი მოადგა,
ჰკითხა სულის კვეთებით:
„როგორ ყიდი მაგ თევზებს,
რამდენ უზალთუნათო?
— ერთ მანეთად მოგართმევ,
თუ წაილებ სრულათო.
— რას ამბობ, ძმავ!?. ძვირია...
ამოდენა ფულითო
მთელ დღეს გავატარებდი
ქეიფ-კრიმანჭულითო!

4

ამდროს თავს წამოადგათ
მენახშირე ომარა*),
ზურგზე წამოეკიდა
მას ნახშირით ტომარა.
არც კი შევაჭრებია,
ხელთ ჩაუდო აბაზი.
„ხომ კი გაგიგონია,
უთხრა, პეტრე ხაბაზი?
მის გვერდით მჭედელია,
ბარ-სახნისის მქნელია,
ალბათ გენახულება,
ჯმუხა კაცი, სქელია?—
ამ ნახშირს მას მიუტან,
გამოვართმევ ხვედრ ფულსო
და დანარჩენსაც მოგცემ,
არ დაგწყვეტავ მით გულსო“.
და წავიდენ... მათ უკან
გაჰყვა ჩვენი მდიდარი,
თან თავს ეკითხებოდა:
„ცხადია, თუ სიზმარი?!
მენახშირე ტკბილ პურს ჭამს,
მე რა ცოდვა მეწია?!“

და, ამფიქრით მოცული,
ომარს წამოეწია.
უთხრა: „ერთ რამესა გთხოვ,
მოდი, ამისრულეო,
შემდეგ შენს პატივმცემელ
მოყვრათ მეც მიგულეო:
სადილათ დამპატიჟე,
რომ ვიხილო თვალითო—
რა ავლა-დიდება გაქვს,
ცხოვრობ რისი ძალითო.
— ბატონი ხარ... მობრძანდი!
მეამება ფრიადო:
ვინც მიკადრებს, მისთვის მეც
კარები მაქვს ღიადო“.
წაიყვანა. გულუხვათ
უმასპინძლა, ახარა:
სილარიბის უფსკრული
პურადობით დაჰფარა.

5

ზის და ხედავს მდიდარი
ქოხს უბრალოს, წახრილსა,
ფარღალალა კედლებსა,
სვეტებს შუა გახრილსა;
ცარიელ ტახტს, ძველ ფარდაგს,
ფეხ შიშველა ბალღებსა,
მაგრამ გულ-მხიარულებს,
დარდის თან არ წამღებსა...
ხედავს და ძალზე უკვირს:
„რატომ ხდება ასეო,
ღარიბი—მხიარულობს,
მე—ჯავრით ვარ სავსეო?!“
იმას კი ვერ მიმხდარა
მისი ჭკუა-გონება,
რომ მიზეზი ამისი—
არის ოქროს მონება.

---

*) სახელია კაცის.

6

როცა გამოეთხოვა,
უთხრა: „მეგობაროო,
ყური მიგდე, მწადია
რამე დაგიბაროო:
ხვალ სადილათ მეწვიე,
ერთად ვჭამოთ პურიო,
თუ გინდა, რომ არ დარჩე
ბედის უმადურიო.“
და წავიდა, ნახულით
მეტათ გაკვირვებული.
თავში უტრიალებდა
აზრი ახირებული:
„სიღარიბე, სიმდიდრე
სულ სხვადასხვა ხიდია,
კაცის ბედნიერება
რომელ მათგანს ჰკიდია?!“

7

მეორე დღეს ომარა
მიადგა მდიდრის კარსა,
კრძალვით და მორიდებით
ჩამოჰკრა ნელა ზარსა.
მიიღო მეგობრულათ,
უმასპინძლა გულითა,
პური პურათ აჭამა,
ღვინოც ასვა კულითა...
და, როცა გადიხარა,
საღამომ მოატანა,
ერთი ტოვსიკა *) ოქროც
თანვე გამოატანა.

8

შინ მივიდა სირბილით,
ეს თავის ცოლს ახარა;
მანც დაუდგა ბათმანი **)
და ოქრო შიგ ჩაჰყარა.
ორი თითი დააკლდა,
პირამდე არ აივსო:
იმ დღის შემდეგ მათ გულში
შვების ცეცხლი დაივსო.
სთქვეს: „თავამდე მოვყაროთ,
ნუ დავტოვებთ ნაკლულსო,
რომ გულს ჭეჭკათ არ ქონდეს,
სიღარიბით ჩაგრულსო“.
მუშაობდენ... სულისთვის
ვერაფერს იმეტებდენ,
გროშს გროშზე აწებებდენ
და იმას უმატებდენ.
ძარცვა-გლეჯის სურვილიც
ნელ-ნელ შემოეპარათ:
მუდმ იმას ფიქრობდენ —
ვისთვის რა მოეპარათ.
და ამგვარათ დღე ღამეს
და ღამე დღეს მისდევდა, —
ის კი არ ივსებოდა,
თითქო დაბღა იწევდა.
ითმინა მენახშირემ,
ბოლოს ვერ აიტანა, —
დაავლო ოქროს ხელი,
ძველ პატრონს მიუტანა.
უთხრა: „რა შინ წავიღე
ეს ლითონი, კრულიო,
შემდეგ სიხარბის გველმა
გამომიხრა გულიო.“
და გაშორდა... ნახშირით
მოიკიდა ტომარა
და ისევ ძველ ცხოვრებას
დაუბრუნდა ომარა.

---

*) ტოვსიკას იმერეთში პატარა ტოშარს ეძახიან.

**) სიმინდის სარწყავია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

დაუსრულებელი ძიება . 3
დე იტანჯე, ჩემო სულო. 4
ქალაქი 5
მგოსანი და მზე . . . 10
ბარათი 13
სიმღერები 14
ანდერძი 16
მომეცით ფრთები . . 17
ტყვე არწივი . . . . —
ქუჩის სურათები . . . 18
ოხ, სად არის გაზაფხული 20
ჩემ მუზას . . . . . —
არიან წამნი 22
ფერია 24
მიყვარს დილა. . . . 25
მეც ვნახე ზეცა . . . 26
სახრჩობელასთან . . . 27
მეც მყავს სატრფო გულის 28
ჰერკულესი. 29
მკვდრების სიცილი . . 30
მუსიკის ძალა 31
ოცნების ფერიას . . . 32
ხარება 33
მთაწმინდის ქარი . . . 34
უპასუხო კითხვები . . —
მოციქული 35
მზე იცინოდა 36
მზესუმზირა . . . . . —
სოფლის სურათი . . . 37
ხარება 38
მე სიცოცხლე ვარ . . —
ბესო 39
და ეს სიკვდილი არაა განა 40
მაშ კრულიმც იყოს . . 41
ზეშთაგონებავ შენ სად
ხარ, სადა 42
ამონაკვნესი 43
ტყის სტუმარი . . . 44
ჩემი ლოცვა . . . , 45
ტბა . . . . . , . . 46
ორი სურათი , . . , 47
გამოვეფედოთ ჩვენი ბედი 49
შენს მოლოდინში. . . 50
შენ ჩემთან მოდი. . . —
მშვიდობით წადი . . . 51
სატრფოს . . , . . —
ამონაკვნესი 52
შემოდგომა სოფლათ . . 53
სიმღერა 54
დღეს დაკრძალეს . . , 55
მეოცნებეს 56
დიდება ქუჩას 57
არ ავიწყდება 58
უმისოთ რაა სიცოცხლე
ჩემი 59
მეზღვაურთა სიმღერა. . 60
დღეს ჩვენთან არის . . 62
დიდება შენდა . . . —

ასე რად ხდება . . . 63
როდის ამოხვალ . . . —
ეჰ, ძნელია 64
ახ, ნუ მკითხავთ . . . 65
რათა?! 66
აჯანყდა სული . . . —
პოეტს 67
როდის ჩაკვდება . . . 68
ახლა სხვა მვიყვარს . . 69
ორი დრო 70
ქარშოშინია 71
ბაქოს . . . . . —
სოფლის სურათი . . . 72
სულ ვერ ზიდავს . . 74
დილა 75
უწერის მწვერვალზე . . 76
შემომალამდა 77
პირველ მაისს . . . . —
ჩემი სიმღერა 78
განცდა . . . . . —
შენ მღეროდი 79
მომაკვდავი არწივი . . —
და ქვითინებდა სული მწუ-
ხარე 80
ეი, მიხედეთ 83
ბორჯომს 84
ჩემს ჩანგს 85
წალვერს 86
გონს მოდით 87
საღამო ბათუმში . . . 88
სულს დაეუფლა წითელი
ფიქრი . . . . . —
მე მტერს ვეძებდი . . 89
დე მასვე დარჩეს . . . 90
წითელი განცდა . . . 91
სიმღერა . . . . . —
მოწოდება 92
გურიას 94
საქართველოს მზეს . . 95
ბაკურიანში 96
ზეიმი 97
1 მაისი 98
თფილისი 1 მაისს . . —
ჰაუ! ჰაუ! 99
ქუჩებში . . . . . —
დამწვარი სული . . . 100
თავისუფალ საქართველოს 101
უხილავი მხარე . . . 102
დაჭრილმა გულმა . . 103
საქართველოს არწივი . 104
26 მაისი . . . . . —
ახ, ერთხელ მაინც . . 105
ნატვრის თვალი . . . 107
ოქროს კერპი . . . 122
მზეთამზე 127
ერის სულის მეფე . . 128
ფულის ძალა . . . 134
გლეხი 135
გაუმაძღარი 138
მდიდარი და მენახშირე . 139

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება

გვერდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
19	ზევიდან	17	შვეშ	ქვეშ
—	„	18	ეღვრებოდა	იღვრებოდა
22	„	8	სიცოცხლს	სიცოცხლეს
26	„	18	გალს	გულს
30	„	6	გიღრღნის	გვიღრღნის
31	ქვევიდან	16	გადმაფრენს	გადამაფრენს
34	„	6	გაიშალა	გაიშლება
35	„	15	მოქადაგებლათ	მქადაგებლად
—	„	8	მტრიცკი	მტერიც კი
—	„	4	წვრას	წერას
—	„	1	ჩანგ სიმღერას	ჩანგის ჟღერას
41	ზევიდან	16	იცლება	იცვლება
43	„	1	ახალი	ახალ
—	„	2	მევთხზა	შევთხზა
46	ქვევიდან	16	ადგილის	ადგილს
47	„	8	აღმსავლეთი	აღმოსავლეთი
59	ზევიდან	19	იმასც	იმასაც
76	„	20	ტვვიამ	ტყვიამ
93	„	15	ისმინე	ისმინეთ

[illegible]

1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 25 მან.